ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№032 (12 409)
9 თებერვალი შაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



# სექტემბერში ტოპგუნდი გვეყოლება

## გადავწყვიტე: ვრჩები!

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან 3

## მიხეილ ყაველაშვილი სამეულით ბრუნდება



მოძრაობა ქართული ფეხბურთისთვის 2

## როდის დაეჭიდებიან



11

## ქურტანიძე და გოგშელიძე?

16:00, მიხეილ მესხი. საქართველო-რუმინეთი

# საქართველო vs რუმინეთი

## ავსტრალია vs ზელანდია



რუმინელთა ზელანდიელი მწვრთნელი ელის მიქენი და ჩვენი ავსტრალიელი ტიმ ლეინი პრესკონფერენციაზე

დღეს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები სეზონის მთავარ შეხვედრას გამართავს, ევროპის ერთა თასზე, რუმინეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ. გუშინ ნაშუადღევს გუნდების მწვრთნელები და კაპიტნები ჟურნალისტებს შეხვდნენ.

### ტიმ ლეინი,
საქართველო

- პორტუგალიელებთან თამაშის წინ მოსამზადებლად სამი დღე გვქონდა, ამჯერად კი - ხუთი. შესაბამისად ვარჯიშიც და შეთამაშებაც უფრო შევძელით. მორაგბეები ძალიან მონდომებულები არიან და კარგად მუშაობენ. რუმინეთის წინააღმდეგ შემადგენლობა საგრძნობლად შევცვალეთ, გვინდა რამდენიმე მოთამაშეც გავსინჯოთ. რამდენადაც ვიცი, ჩვენი მეტოქეც მნიშვნელოვნად გადახალისებული შემადგენლობითაა ჩამოსული და ექსპერიმენტს ატარებს.

ცხადია, გამარჯვების იმედი გვაქვს, ამის გარეშე მოედანზე გასვლას აბა რა აზრი აქვს? თამაში რთული იქნება, თუმცა მორაგბეები თუ ზუსტად იმას შეასრულებენ, რასაც დავავალებთ, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

### გოდერძი შველიძე,
ვიცე-კაპიტანი

- რუმინეთის ნაკრებთან თამაში ჩვენთვის ყოველთვის რთული იყო. ისეთი თამაშებიც მახსოვს, როცა ჩვენი შერკინება მეტოქისას ჩაგრავდა, იყო პირიქითაც, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე იმდენად კარგად ვართ მომზადებული, ნებისმიერი დიდი გუნდის შერკინებას დავუდგებით.

შევეცდებით, ყველა ღონე ვიხმაროთ, რომ 8 და 9 ნომრებს შერკინებიდან ბურთის გატანა გავუადვილოთ. მართალია, ახალი მოთამაშეების უმრავლესობა გამოუცდელია, მაგრამ თუ არ ითამაშეს, როგორ დააგროვებენ? უფრო გამოცდილები უნდა დავუდგეთ გვერდში და კიდევ უფრი განვვითარდეთ.

### ელის მიქენი,
რუმინეთი

- ჩვენი გუნდი საგრძნობლადაა განახლებული. უფრო გამოუცდელი ბიჭები გვყავს ჩამოყვანილი. მიუხედავად ამისა, ვეცდებით, სერიოზული ბრძოლა გავუმართოთ საქართველოს ნაკრებს.

მოთამაშეთა ნაწილს ფრანგულმა კლუბებმა შეუქმნეს პრობლემები. ამასთან 7 ნამყვანმა მოთამაშემ სანაკრებო კარიერა დაასრულა: სორინ სოკოლმა, იულიან დუმიტრაშმა, რაზვან მავროდინმა, ალექსნდრუ მანტამ, პეტრუ ბალანმა, რომეო გონტინიაკმა და გაბრიელ ბრეზოიანუმ.

ალბათ იცით, რომ ზელანდიელი ვარ, ამიტომ ვეცდები სათამაშო ტაქტიკა რაც შეიძლება დინამიური, სანახაობრივი გავხადოთ. გუნდი ორი კვირაა შეკრებაზეა და ამ მიმართულებით გარკვეული პროგრესი უკვე გვაქვს.

### კოსტიცა მერსოიუ,
კაპიტანი

- საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ სამჯერ მითამაშია. ერთხელ თბილისში, 2003 წელს, როცა თქვენი გუნდი 19:6 დავამარცხეთ. ვფიქრობ, ამჯერადაც ჩვენ მოვიგებთ. ამ გუნდის უმრავლესობა ახალგაზრდა და გამოუცდელია, მაგრამ ვფიქრობ, ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია კონკრეტული მატჩისთვის როგორ მოემზადები. ჩვენ ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ.

რუმინეთის ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც წინასწარ იყო გაცხადებული ორი ცვლილება მოხდა. ფლანკერ სტელიან ბურჩას ნაცვლად რუმინელთა მწვრთნელმა კიდევ ერთი პირველხაზელის, მარიუს ტინკუს დაყენება გადაწყვიტა. 10 ნომრად დან ვლადს იონუც დიმოფტე შეცვლის.

დღეს გათამაშდება ამ ორ გუნდს შორის საცილო ტრადიციული ჯილდო, ანთიმოზ ივერიელის თასი, რომლის ამჟამინდელი მფლობელი საქართველოს ნაკრებია.

ბესიკ ჯანგავაძე

**საქართველო**

15. ოთარ ბარკალაია, 14. გიორგი შკინინი, 13. დავით კაჭარავა, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე (კაპ); 1.გოდერძი შველიძე, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. კახა უჩავა, 5. მამუკა გორგოძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. დიმიტრი ბასილაია / 16. დავით დადუნაშვილი, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. რატი ურუშაძე, 19. ზვიად მაისურაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. მერაბ კვირიკაშვილი, 22. რეზო გიგაური

**რუმინეთი**

15. ფლორინ ვლაიკუ, 14.ჯორჯიტა ბიჯუ, 13. ჩაბა გალი, 12. კატალინ დასკალუ, 11. სტეფან ჩუნტუ, 10. იონუც დიმოფტე, 9. ვალენტინ კალაფეტიანუ; 1. რადუ ბასალაუ, 2. ბოგდან ზებეგა, 3. იონ პაულიცა, 4. ვალენტინ პოპარლანი, 5. ალინ კოსტე, 6. მიჰაი მაკოვეი, 7. მარიუს ტინკუ, 8. კოსტიკა მერსოიუ / 16. მარსელ მიჰალაკე, 17. მიჰაი ადასკალიტეი, 18. მარიუს ტინკუ, 18. ვასილი რუსი, 20. ჩიპრიან კაპლესკუ, 21. დან ვლადი, 22. კატალინ ფერკუ.

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# მიხეილ ყაველაშვილი სამეულით მოდის!

## ირგვლივ შიში და პირფერობაა გამეფებული, ეს კომუნისტებისგან მოგვდევს



მიხეილ ყაველაშვილი

დაზუსტებული და გადაწყვეტილი ამბავია - საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **მიხეილ ყაველაშვილი** მალე საქართველოში დაბრუნდება და დააფუძნებს მოძრაობას "ჩვენი ფეხბურთი".

ყაველაშვილი შვეიცარიაში ცხოვრობს და ქართულ ფეხბურთში მოსასვლელად დიდი ხანია ემზადება. საზოგადოებისთვის უცნობი ფაქტია, **ლევან ყიფიანთან**, ჟურნალ "ათიანის" რედაქტორ **გია გორგოძესა** და **დავით ყიფიანის** საქველმოქმედო ფონდთან ერთად, ტელეკომპანია "იმედში" საფეხბურთო გადაცემის გაკეთება სურდა, ტელეკომპანიის თანხმობაც მიიღო და პროექტზე მუშაობას იწყებდა. 7 ნოემბერს დატრიალებულმა მოვლენებმა კი არა მარტო პროექტი, "იმედიც" შეიწირა.

პიროვნება, ვინც "ჩვენი ფეხბურთის" ინიციატივა გაგვიმხილა, დეტალებზეც გვესაუბრა: *"ორგანიზაციას მიხეილ ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული და ლევან ყიფიანი დააფუძნებენ. სამივე ახლა უცხოეთშია, ჯამარაული იტალიაშია, ყიფიანი აზერბაიჯანში, ყაველაშვილი კი შვეიცარიაში, მაგრამ დღე-დღეზე ჩამოდიან და "ჩვენს ფეხბურთს" იურიდიულად დააფუძნებენ.*

*მათი მიზანი ქართული ფეხბურთში სამართლიანობის დამკვიდრებაა და არა აღდგენა, რადგან სამართლიანობა არასდროს ყოფილა. პოლიტიკოსებს ახლოს არ გაიკარებენ. სხვათა შორის, პოლიტიკოსებისგან წამოვიდა დაახლოების სურვილი, მაგრამ ეს თავად არ ისურვეს.*

*ყაველაშვილმა უკვე გააკეთა იმ პროგრამის მონახაზი, რომლითაც საზოგადოებას უნდა წარუდგეს. მას რომ მშვენიერი კავშირები გააჩნია, ყველას მოეხსენება. მიშას გვერდით ბავშვთა ფეხბურთის, ფიზმომზადებისა და ფეხბურთის განვითარების მოდელების ცნობილი სპეციალისტები დაუდგნენ და ქართულ ფეხბურთს დაეხმარებიან.*

*შვეიცარიაში სამეცნიერო ჯგუფები ყველაზე თანამედროვე მეთოდებს ამუშავებენ, ამინდს ქმნიან და შემდეგ სიახლეებს მთელ მსოფლიოში ნერგავენ. საუბარია იმ ადამიანებზე, პროგრამებს "აიაქსის", "იუვენტუსის", "ბარსელონის" ბავშვთა სკოლებს რომ უწერენ.*

*მიშას ნათქვამი აქვს, ჩემიანი იქნება თუ სხვისიანი, სახელგატეხილს გვერდში არ დავიყენებო. მისი პრინციპულობის ამბავი რომ ვიცი, ასეც მოიქცევა.*

*მალე სამივე თბილისში შეიკრიბება და "ჩვენი ფეხბურთის" პროგრამისა და მიზნების პრეზენტაციაც შედგება."*

მიხეილ ყაველაშვილს შვეიცარიაში დავუკავშირდით. მან ორგანიზაციის დაფუძნების სურვილი დაგვიდასტურა, მაგრამ ჯერჯერობით, ინტერვიუსგან თავი შეიკავა:

- თბილისში მალე დავბრუნდები, პრეზენტაციაზე მასმედიას მოვიწვევთ და ყველაფერზე დეტალურად იქ ვისაუბროთ.

სანამ მიხეილ ყაველაშვილი საუბარს ერიდება, მანამდე, ვფიქრობ, ჟურნალ "ათიანის" დიალოგში მისი საუბრის ის ფრაგმენტები დაგაინტერესებთ, რომლებიც ყაველაშვილის მსოფლმხედველობას მკაფიოდ ასახავს (ტექსტს "ათიანის" რედაქციის თანხმობით ვაქვეყნებთ).

- ტოპმიოლერის დანიშვნა შვეიცარიაში გავიგე, საიტებზე ინფორმაცია უცებ გაჩნდა და ძალიან გაუკვირდათ, ეტყობა, ყატარივით ძალიან მდიდრები ხართ, ამხელა ხელფასზე რომ დათანხმდითო. მისი კვალიფიკაცია მშვენივრად იციან, მაგრამ ყველა მწვრთნელს თავისი ფასი აქვს და აშკარად დიდმა ხელფასმა იყვირა. ტოპმიოლერს ვერავინ გაამტყუნებს. მწვრთნელიც ფეხბურთელივით არის, სადაც მეტს გადაუხდიან, იქ მიდის. მთავარი ჩვენი დამოკიდებულებაა, საიდანაც ჩანს, რომ დიდი ფეხბურთისგან ძალიან შორს ვართ...

- ბოლო ათ წელიწადში, ბავშვთა ფეხბურთში დილეტანტები მოვიდნენ და შედეგიც სახეზეა: ბავშვებმა არ იციან თამაშის ორგანიზაცია, ტაქტიკა, თეორია, სათამაშო დისციპლინა. 19-წლამდელებს რომ ვუყურებდი, საშინელება იყო, უნდა იტირო კაცმა, როდესაც ნიჭი ასე იფლანგება...

- პოლიტიკა არ მაინტერესებს, მაგრამ სხვა სფეროებშიც იგივე დამოკიდებულებაა და ამიტომაც მინდა, რომ სიმართლემ გაიმარჯვოს. დღეს ჩვენი საფეხბურთო ავტორიტეტების უმრავლესობა დუმს, რადგან დათრგუნული აზროვნება აქვს და კრიტიკას გაურბის. ყველა ფიქრობს, ჩემი ნათქვამით ვინმეს არ ვაწყენინოო და საბოლოოდ, ასეთი მიდგომით, საქმეს აფუჭებს.

გერმანიის ნაკრებს და კლუბებს ნეტცერი მკაცრად აკრიტიკებს, თანაც მიზანმიმართულად, მაგრამ პიროვნულ შეურაცხყოფას არავის აყენებს და ამას ყველა ნორმალურად აღიქვამს. ნეტცერის კრიტიკა ისევ გერმანული ფეხბურთისთვისაა სასარგებლო და ამას აცნობიერებენ.

- ირგვლივ შიშია გამეფებული. ეტყობა, ეს შიში და პირფერობა კომუნისტების დროიდან მოგვდევს. დათრგუნული აზროვნებით ფეხბურთს ვერ ითამაშებ და ვერც სიმართლეს იტყვი.

- ფეხბურთელი არის ეთიკა და ღირსება! თამაში ფეხბურთის სიყვარულით დაიწყე, დიდი სახელი მოიპოვე და მერე ამხელა ავტორიტეტის მქონე სიმართლეს არ ამბობ?! ეს პატარა კაცობაა! დათრგუნული აზროვნებით საქმესაც აფუჭებენ და ეს ღალატიცაა.

- შიში ჟურნალისტების მხრიდანაც იგრძნობა. კრიტიკა აუცილებელია, შენი ვალდებულებაა, მაგრამ პიროვნული შეურაცხყოფის გარეშე! მერე პასუხები მიდის, ამან ჩემზე ეს რატომ დაწერა და ა.შ. ნეტცერის მაგალითი ტყუილად არ მოვიყვანე. ყველას მკაცრად აკრიტიკებს, მაგრამ პიროვნულ ღირსებას არ ეხება.

- თუ შეგნებული არ გაქვს, ვინ ხარ და საიდან მოდიხარ, მხოლოდ მაშინ გაგახარებს ჯგუფში დაბალი ადგილი და ერთი მოგებით სახალხო დღესასწაულს მოაწყობ. ამიტომაც, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებმა ხმა უნდა ავიმაღლოთ.

- იტალიასთან თამაშამდე დათო ყიფიანმა ორი ვარჯიში გააცდინა და ბიჭები გავგიჟდით. უცებ წავიდა ჭორაობა, რა ხდება, მწვრთნელმა ვარჯიშები როგორ უნდა გააცდინოსო. მართლები იყვნენ და შევედი, რა ხდება დავიდოვიჩ, შენგან ბევრი რამ ვისწავლეთ და ვარჯიშებს გვიცდენ-მეთქი? ამას პრეტენზიებიც მოვაყოლე. მე ასეთი სიწრფელე მიმაჩნდა საჭიროდ და არა პირში წყლის ჩაგუბება. თურმე კალაძის საქმის გამომძიებელს დასდევდა. თავიდან კი იჯიჯღინა, მაგრამ ჩვენი სატკივარი გაიგო. იმიტომ გაიგო, რომ თავად იყო დიდი პიროვნება.

ისეთი ლიდერები უნდა გავზარდოთ, რომელიც მწვრთნელს უსიტყვოდ არ დაემორჩილება, ეკამათება კიდეც, მაგრამ მისი დასაყრდენი ძალა გახდება. ჩვენ კიდევ საბჭოური აზროვნებით ვცხოვრობთ, მწვრთნელს თუ შეეკამათება, უცებ უდისციპლინოს იარლიყს მივაწებებთ. არაა ასე. ევროპაში ასეთებს ეძებენ, ეგრევე კაპიტნის სამკლაურს მოარგებენ და ლიდერად ზრდიან.

- ნემსაძე ჩემი ძმაა, მაგრამ იმიტომ გაუჭირდა, რომ არჩევნებში ჩინოვნიკი ჩარია. აბა ყოფილიყო მარტო, ასე არ დაამთავრებდა. ლევან ყიფიანმა ხმა ამოიღო და ქართული ფეხბურთი მისთვის იქვე დამთავრდა. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?

- სანამ ჩვენნაირი სუფთა ძალა არ გამოჩნდება, სიმართლე არ ითქმება. რასაც აქ ვსაუბრობთ, იმავეს ხალხში რომ გავიმეორებთ, გვერდში მილიონები დაგვიდგებიან და ეჭვი არ მეპარება, პოლიტიკურ პარტიაზე ნაკლები ძალა არ გვექნება. ხალხს ფეხბურთი სხვაგვარად უყვარს, სიმართლე მოენატრა და ჩვენი ძალაც ეს იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

# დანაკლისი, რომელიც მარცხს ვერ ამართლებს



დინამოელთაგან ხმალაძემ გაიტანა

| დინამო-ნეფტიანიკი | 1:3 |
|---|---|

0:1 დავიდოვი (36), 0:2 კირილიოვი (40), 0:3 პოდკარიტი (51), 1:3 ხმალაძე (73)

დინამო: ოვონო, შ. კაშია (46. თომაშვილი), გ. კაშია, კრშკო, დობეში (63. გველესიანი), ქანთარია (56. ვაწაძე), ხმალაძე, ნერგაძე (80. ფირცხალავა), მერებაშვილი, ხუციშვილი, აკირემი.

თბილისის "დინამომ" გუშინ მეორე ანთალიური შეკრება დაამთავრა. **დუშან უპრინის** გუნდი თბილისში დღეს გამოემგზავრება. დინამოელები ხვალ დაისვენებენ, ორშაბათს კი ბაზაზე გააგრძელებენ მზადებას. სამშობლოში გამომგზავრებამდე საქართველოს ჩემპიონატის ლიდერმა დასკვნითი ამხანაგური მატჩი უკრაინის უმაღლესი ლიგის აუტსაიდერთან, ახტირკის "ნეფტიანიკთან" და სამწუხაროდ 1:3 დამარცხდნენ. თბილისელებს რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ. **შოთა გრიგალაშვილი** ნაკრებში იყო გამოძახებული. გუნდის კაპიტან **დავით დიღმელაშვილს, ილია სპასოევიჩსა** და **დავით ოდიკაძეს** მსუბუქი ტრავმები აქვთ. ავსტრალიელმა მცველმა **ნედ ზელიჩმა** ტრავმა კი მოირჩინა, მაგრამ ტრავმის გამიზეზება თავიდან რომ აეცილებინათ მწვრთნელებმა არ გარისკეს და არ ათამაშეს. თუმცა ეს დანაკლისი ვერ ამართლებს მარცხს გუნდთან, რომელსაც უკრაინის ჩემპიონატში მხოლოდ 3 მატჩი აქვს მოგებული და ბოლოსწინა ადგილზეა.

უკრაინელებმა სწრაფი კონტრშეტევებისა და თბილისელთა შეცდომების ხარჯზე შეძლეს გამარჯვება. ასე გაიტანა "ნეფტიანიკმა" 4 წუთში ორი გოლი. დინამოელთაგან გატანის შესაძლებლობა აკირემმა, მერებაშვილმა და ქანთარიამ ვერ გამოიყენეს. თბილისელთა რიგებში ყველაზე აქტიური **მიხეილ ხუციშვილი** გახლდათ. ერთი საპასუხო გოლი კი **ლევან ხმალაძემ** მრავალსვლიანი კომბინაციის შედეგად გაიტანა.

**დავით ცაბაძე**



## არველაძეს დავალიანებას გაუსტუმრებენ

გუშინდელ ნომერში ვწერდით, ქართველმა ფორვარდმა **შოთა არველაძემ** სასამართლოს რომ მიმართა - კლუბი კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს არ ასრულებს. ხელფასის მიუღებლობის გამო კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ჩივის სასამართლოში. ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ მორიგი ცნობა გავრცელდა. როგორც ირკვევა, "ლევანტს" პრეზიდენტი **ხულიო რომერო** მზადაა ფეხბურთელების დავალიანებები დაფაროს.

*"ფეხბურთელთა დავალიანებაა გასასტუმრებელი? ეს პრობლემა არ იქნება. კრედიტს ავიღებ და ფეხბურთელთა დავალიანებას დავფარავ. იმ კრედიტს კი ჩვენი კლუბიდან გაყიდულ ფეხბურთელთა სანაცვლოდ შემოსული თანხით დავფარავ. ასე რომ ყველა ფეხბურთელის დავალიანებას გავისტუმრებთ",* - განაცხადა "ლევანტეს" ბოსმა.

## თოდუა და გოგინაშვილი ვიტ ჯორჯიას ეთამაშებიან

ბრესტის "დინამო", რომელშიც ორი ქართველი **რომან გოგინაშვილი** და **გია თოდუა** ირიცხებიან, თურქულ შეკრებაზე "ვიტ ჯორჯიას" გაეჯიბრება. ჩვენებურთა გუნდი აქამდე სამშობლოში ემზადებოდა და ოთხთა ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა. ბრესტელებმა ოთხ გუნდში (მოგილიოვის "დნეპრი", ლუცკის "ვოლინი", ჟოდინოს "ტორპედო") 6 ქულით (2 მოგება) მეორე ადგილი დაიკავეს. ახლა კი, ორი დღეა, რაც თურქეთში გადიან შეკრებას.

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

# ირლანდიასთან, ისეთი გუნდი უნდა გვყავდეს, როგორიც საქართველოს არასდროს ჰყოლია!

## გადავწყვიტე: კონტრაქტს ვაგრძელებ, საქართველოში ვრჩები!



საქართველოს ნაკრების მწვრთნელს კლაუს ტოპმიოლერს გუშინ შუადღისას სასტუმრო "თბილისი მარიოტში" შევხვდით და ლატვიასთან მატჩის შესახებ ვესაუბრეთ. საუბრის დასასრულს ტოპიმ აღნიშნა, რომ საღამოს ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებით ბევრი რამ უნდა გარკვეულიყო. შესაბამისად, ჰერ კლაუსს მოგვიანებით დავუკავშირდით და მანაც გვამცნო, რომ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას წინ არაფერი უდგას და რომ ახალ, ორწლიან კონტრაქტს უახლოეს მომავალში ხელს მოაწერს. გუშინ საღამოს ტელევიზიითაც გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტოპმიოლერი კანცელარიაში იმყოფებოდა, სადაც საქართველოს პრემიერმინისტრ ლადო გურგენიძეს შეხვდა. ტოპიმ პრემიერმინისტრთან შეხვედრა არც უარყო და არც დაადასტურა - შეხვედრის დეტალებზე არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ გვამცნო, რომ კონტრაქტის გაგრძელებას წინ არაფერი უდგას.

ინტერვიუს ბოლო საუბრით დავიწყებთ.

**- ჰერ ტოპმიოლერ,** თუ საიდუმლო არ არის, კანცელარიაში ვისთან გქონდათ შეხვედრა?

- მოდით, საიდუმლოდ დავტოვებ. მთავარი ის არის, რომ გარკვეულია ყველაფერი ის, რაც აქამდე იყო გასარკვევი. ძალიან ნაყოფიერი და საინტერესო საუბარი შედგა და მეც ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი ხელშეკრულება გაფორმდება. ლატვიასთან მატჩისწინა პრესკონფერენციაზეც აღვნიშნე, რომ კონტრაქტის მხრივ პატარ-პატარა დეტალები იყო შესათანხმებელი. გარკვეული საკითხების მოსაგვარებლად ეს აუცილებელი იყო და მეც მიხარია, რომ ყველაფერს წერტილი დაესვა.

**- ნაყოფიერ და აუცილებელ შეხვედრაზე საუბრობთ. დეტალებს არ გაგვიმხელთ?**

- ჩემთვის უპირველესი და უმთავრესი ნაკრების განვითარება და წარმატებაა. სხვა საკითხები ნაკლებად მაინტერესებს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს ნაკრებს აქვს შანსი, ითამაშოს მსოფლიო ჩემპიონატზე.

**- ლატვიასთან მარცხის შემდეგ ორი დღე გავიდა. ცხადია, მატჩი უკვე შეაფასეთ ცივი გონებით და საინტერესოა, რა დასკვნები გააკეთეთ. რატომ წავაგეთ საკუთარ მოედანზე ლატვიასთან ასეთი ანგარიშით?**

- პირველი ტაიმი - ეს იყო აბსოლუტური კატასტროფა, რომლის მსგავსიც, საქართველოს ნაკრებს ჩემი ხელმძღვანელობით მანამდე არ ჩაუტარებია. პირველი ნახევრით თუ ვიმსჯელებთ, ეს იყო ყველაზე ცუდი თამაში, რომელიც გუნდმა ჩემს ხელში ჩაატარა. დიახ, ჩვენ წავაგეთ ლატვიასთან და იმედი მაქვს, არავინ ფიქრობს, რომ ამ მარცხმა გული არ დამწყვიტა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარ და გუნდის მარცხი პირველ რიგში ჩემი მარცხია.

**- ამ მარცხმა გულშემატკივრები უკიდურესად პესიმისტურად განაწყო...**

- ...რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი. მაგრამ ქომაგებს მინდა შევახსენო, რომ ეს ტესტ-მატჩი იყო. ირლანდიასთან მატჩი, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი თამაში იქნება, ყველა იმ მატჩზე მნიშვნელოვანი, რომელიც საქართველოს ნაკრებს აქამდე ჩემი ხელმძღვანელობით ჩაუტარებია. მანამდე კი ჩვენ ტესტირების სტადიაში ვართ. ყველა კანდიდატი მაქსიმალურად უნდა გამოიცადოს. მე ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ძირითადი ბირთვი ნაპოვნია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ფეხბურთელებს ნაკრებს აღარ გავაკარებთ. პირიქით, ირლანდიასთან მატჩამდე ყველას უნდა მიეცეს თავის გამოჩენის შანსი. ჩემს გუნდში შემთხვევითი არაფერი უნდა იყოს, მე მხოლოდ ციფრებს ვენდობი - ანუ, იმ სისტემას, რომელიც ჩვენ სტადიონზე დავამონტაჟეთ და რომელიც თითოეული ფეხბურთელის გარჯას ციფრებში, დეტალურად ასახავს. საერთოდ კი, ეს ტესტირების პროცესი იმისათვისაა, რომ ირლანდიასთან მოედანზე გვყავდეს უძლიერესი გუნდი, რომლის დარიც საქართველოს ნაკრებს არასდროს ჰყოლია. აი, ეს არის ჩემი პირველი მიზანი. ირლანდიასთან გამარჯვებას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ. ის თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ! მაგალითად, გუშინ საღამოს მე და რალფ მინგე დავსხედით და ჯერ ირლანდიისა და ბრაზილიის მატჩი გავაანალიზეთ, მერე კი ჩრდილოეთ ირლანდიისა და ბულგარეთის დაპირისპირება...

**- მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც განაცხადეთ, რომ ზოგიერთმა ფეხბურთელმა თქვენი დავალებები ვერ შეასრულა...**

- ვერ შეასრულა ან არ შეასრულა, მაგრამ არ დავკონკრეტდები. რომელიმე მოთამაშის საჯაროდ გაკრიტიკება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ტესტმატჩები ამიტომაცაა, რომ გამოვიკვლიოთ, ვინ ასრულებს დავალებებს და ვინ არა. ცოტა არ იყოს, გასაკვირია კიდევ ერთი ფაქტი: დავასახელებ შემადგენლობას და მყისვე ქვეყნდება ინტერვიუები ფეხბურთელებთან, რომლებიც იმ მომენტში არ არიან გამოძახებულები და იწერება: "რატომ არ იძახებენ ამა და ამ ფეხბურთელს?" არადა, ფეხბურთელები, რომლებზეც საუბარია ხოლმე, ან უკვე გამოცდილი მყავს, ანაც მათ გამოცდას მომავალში ვაპირებ. ამიტომაც მინდა, რომ ირლანდიასთან შეხვედრამდე მაქსიმალურად ყველა კანდიდატი გამოვცადო. არ მინდა, რომ ბოლოს ვინმეს ჰქონდეს სათქმელი, მე რატომ არ გამომცადესო...

**- ლატვიასთან 1:3 - ეს მართლაც სამარცხვინო შედეგია. ასეთი ანგარიშით საკუთარ მოედანზე იტალიასთან დავმარცხდით და საფრანგეთთანაც კი არ წაგვიგია პირველი ტაიმი 0:3. რაში მდგომარეობდა მთავარი პრობლემა? მოტივაციაში? ფეხბურთელების განწყობაში?**

- იტალიასთან და საფრანგეთთან შეძლებისდაგვარად საუკეთესო შემადგენლობა ვათამაშეთ... ლატვიასთან კი ისეთ ფეხბურთელებს მივეცით შანსი, რომლებიც დიდი ხანია, ნაკრებში აღარ ყოფილან. ასე იქნება მომდევნო ტესტ-მატჩებშიც - მე არ მჭირდება იმ ფეხბურთელების გამოცდა, რომელთა შესაძლებლობებშიც დარწმუნებული ვარ. რაც შეეხება მეორე საკითხს: როგორც გამოჩნდა განწყობის მხრივაც იყო პრობლემა. მაგალითად, მინდვრის საფარი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და დიდხანს ვფიქრობდით, გვეთამაშა თუ არა. ძალიან გთხოვთ, ისე არ გამიგოთ, რომ თითქოს თავს ვიმართლებ. ცუდად ვითამაშეთ და ეს ფაქტია, წავაგეთ და ეს იმის ბრალი იყო, რომ პირველ ტაიმში გუნდი ყველაფერს ჰგავდა გარდა გუნდისა!

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ მატჩის შემდეგ რომელიმე ფეხბურთელი მარცხის გამო დამწუხრებული არ იყო?**

- არა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი - წაგება არავის უხარია. მადლობა ღმერთს, ასეთი რამ არ შემიმჩნევია. მე რომ დავინახო, რომ რომელიმე ფეხბურთელს წაგება არ ეწყინა, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან გავბრაზდები.

**- შეიძლება არსებობდეს ფეხბურთელი, რომელიც თქვენს წინააღმდეგ იმოქმედებს და განგებ დაუშვებს შეცდომებს? დაგვეთანხმებით, ერთ ფეხბურთელსაც კი შეუძლია ის, რომ გუნდს ერთი შეცდომით განგებ წააგებინოს...**

- ამ საკითხზეც ნაფიქრი მაქვს და ღმერთმა არ ქნას, რომ ასეთი რამ ვინმეს შევამჩნიო. სამწვრთნელო კარიერაში ამის მაგალითებიც მქონია და ასე რომ, ამ მხრივაც გამოცდილი ვარ. ერთი სიტყვით, ასეთი შემთხვევა არ გამომეპარება. ყოველ თამაშს დეტალურად ვაანალიზებ, თითოეული ფეხბურთელის თითოეულ მოქმედებას ვაკვირდები...

**- ლატვიასთან თამაშში გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდ ძალას წარმოადგენს გუნდისთვის მენთეშაშვილი, რომელიც უდიდეს სამუშაოს ასრულებს ხოლმე...**

- აბსოლუტურად გეთანხმებით! მენთეშაშვილის სარგებელი შესაძლოა, იმდენად თვალნათლივ არ ჩანს, როგორც მაგალითად ლევან ყენიას ერთი ფინტი, რომელიც მთელ სტადიონს აღაფრთოვანებს, მაგრამ ზურა უდიდეს სამუშაოს ასრულებს ხოლმე, შავ სამუშაოს, რაც ზემოთ ხსენებული სისტემის ანალიზში ყოველთვის კარგად ჩანს.

**- რას იტყვით გოგიტა გოგუაზე? ეს უკანასკნელი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გუნდში დააბრუნეთ. როგორი შთაბეჭდილება დატოვა, რამდენად ნაყოფიერი გამოდგა ის დრო, რომელიც მას მიეცით, რამდენად კმაყოფილი ხართ მისი მოტივაციითა და განწყობით?**

- გოგუას განწყობა ყოველთვის საბრძოლო აქვს. აბსოლუტურად კორექტულად იქცეოდა, მაგრამ მისი თამაშით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ.

**გოტფრიდ ლენცი**

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ალექსანდრ ომელიანოვი

# გეგუჩაძემ გეზი ისევ თურქეთისკენ აიღო

## ბოსკამპი გაგრას ფეიენოორდთან შუამავლობს

"გაგრის" ხელმძღვანელთა მონდომება და მიზანმიმართულობა გაოცებას იწვევს. გუნდი პირველ ლიგაში გამოდის, მაგრამ მისი მეპატრონე გუნდის ნორმალური მომზადებისთვის არაფერს იშურებს.

თურქეთში გამგზავრებას ბევრი უმაღლესლიგელი ვერ ახერხებს. ამ დროს, "გაგრა" 3 თებერვალს პირველი შეკრებიდან დაბრუნდა ანთალიიდან, 11 თებერვალს კი ისევ იქ ბრუნდება მეორე შეკრების მოსაწყობად. ვიცე-პრეზიდენტ **გოდერძი ჩიხრაძის** თქმით, თურქეთში გუნდს **იოჰან ბოსკამპი** შეუერთდება. ანთალიაში "გაგრა" ოთხ შეხვედრას გამართავს. ერთი მეტოქე კიშინიოვის "ნისტრუ" იქნება, ერთიც ბელგიის უმაღლესი დივიზიონის "დერდენი", რომელსაც ბოსკამპი წვრთნის. დანარჩენი მეტოქეების ვინაობა ადგილზე გაირკვევა. გუნდი თბილისში 25 თებერვალს დაბრუნდება.

"გაგრის" პრეზიდენტმა **ბესარიონ ჩიხრაძემ** საპარტნიორო ხელშეკრულება იანვრის დასაწყისში ჯერ "ლე მანთან" გააფორმა, შემდეგ კი - "დერდენთან". ეს გუნდი ბელგიის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში შარშან დაწინაურდა. "დერდენსა" და "ფეიენოორდს" ერთი მეპატრონე ჰყავს და პარტნიორული ურთიერთობის დაწყება ჰოლანდიურ გრანდთან დაახლოებასაც ითვალისწინებს. ეს ყოველივე ბოსკამპის ინიციატივაა, რადგან "გაგრაში" პერსპექტივა დაინახა და რამდენიმე ფეხბურთელს თვალი დაადგა.

ბოსკამპი "გაგრას" ლექციებს სავარჯიშო საკითხებზეც წაუკითხავს და წაავარჯიშებს კიდეც. მან "გაგრა" შარშანაც ავარჯიშა, მაშინ **გია გეგუჩაძე** კიევში პროფლიცენზიის მისაღებად იმყოფებოდა.

თემა გარკვეულწილად "გაგრას" უკავშირდება და აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ფორვარდი **ვახტანგ ფანცხავა** მომჯობინდა და "ლე მანის" დუბლებში ითამაშა. ის საფრანგეთში სწორედ ამ კლუბიდან მოხვდა.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ რუსთავის "ოლიმპში" გააგრძელებენ კარიერას მცველი **ნიკა მგელაძე**, თავდამსხმელი **ზვიად მეტრეველი** და ნახევარმცველი **თემურ აფრიამაშვილი**. ეს უკანასკნელი "გაგრამ" შარშან ზაფხულში ახალციხის "მესხეთში" გაანათხოვრა. თბილისის "მერანიდან" "ცხინვალში" გადავიდნენ **ლაშა მამუკაშვილი** და **გიორგი ტყეშელაშვილი**, რომლებიც ასევე "გაგრას" ეკუთვნოდნენ.

და ბოლოს: "ალმა-ატის" და "გაგრის" მატჩის შემდეგ, ყაზახურმა ინტერნეტ-გაზეთმა "სპორტმა" დაწერა, რომ აფხაზეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერთან გაიმარჯვეს. გუნდის ხელმძღვანელთა ჩარევის შემდეგ, ყაზახურმა გაზეთმა მოიბოდიშა და დაწერა, რომ კლუბი ქართულია და არა აფხაზური.

შეცდომის პირველწყარო "ალმა-ატის" პრესატაშე აღმოჩნდა. მან "გაგრის" წარმომადგენელთან საუბრისას, შეცდომა ორიგინალურად ახსნა, სახელიდან გამომდინარე ვიფიქრე, რომ აფხაზეთის ჩემპიონატის ლიდერი იყოო. თუმცა თუკი არაფერი იცოდა, ის საიდანღა მოიტანა, ლიდერი რომ იყო?

**მერაბ მამულაშვილი**



ოლიმპი

# ომელიანოვი დაბრუნდა

## პისკოვეცი გულდაწყვეტილია: მეგონა, ყველა უკრაინელს დავიმატებდით

საქართველოს ჩემპიონმა, რუსთავის "ოლიმპმა" ძლიერი თავდამსხმელის შეძენის შანსი დაკარგა. "თანამეგობრობის თასის" გათამაშების დაწყებისთანავე, "ოლიმპი" **ალექსანდრუ პოპოვიჩმა** დატოვა. 30 წლის მოლდოველმა თავდამსხმელმა პირველ შეხვედრაში სერბეთის ოფკ-სთან ფეხი იტკინა და გუნდს დაემშვიდობა.

როგორც ჩანს, პოპოვიჩი მომჯობინდა და ამჟამად ლუგანსკის "ზარიასათან" ერთად, თურქეთში ემზადება. თავად პოპოვიჩი მოუყვა უკრაინულ "სპორტ-ექსპრესს", "ზარიას" პირველ შეკრებებზე რატომ არ ჩანდა.

*"კრემენში შეკრების შემდეგ, საქართველოს ჩემპიონ "ოლიმპში" გადასვლა შემომთავაზეს. მის შემადგენლობაში "თანამეგობრობის თასზეც" ვითამაშე, მაგრამ პირველივე მატჩში დავშავდი და ქართველებმა ჯგუფური ეტაპი უჩემოდ გაიარეს. მე ლუგანსკში დაბრუნება და მკურნალობა მომიხდა. ახლა ყველაფერი კარგადაა და ვვარჯიშობ. თურქულ შეკრებაზე მსურს დავამტკიცო, რომ "ზარიას" ძირითადში ადგილს ვიმსახურებ,"*- განაცხადა პოპოვიჩმა.

დასანანია, რომ რუსთაველებმა სასურველი ფეხბურთელების უმრავლესობა ვერ დაიმატეს. თუმცა "თანამეგობრობის თასზე" **ანატოლი პისკოვეცმა** საინტერესო მოდელი შემოგვთავაზა, რაც სამომავლოდაც არ გვაწყენდა. სხვათა შორის, ერევნის "ბანანცის" პრეზიდენტმა **სარგის ისრაელიანმა** თბილისში ყოფნის დროს გაგვიმხილა, ევროთასებზე ქვეყანა კიდევ უფრო რომ არ შერცხვეს, რუსებსა და უკრაინელებს ვიმატებთ და უკეთეს შედეგებს ვაღწევთო.

ისევ "ოლიმპს" დავუბრუნდებით: გუშინ შევიტყვეთ, რომ გუნდს ბათუმის შეკრებაზე უკრაინელი ლეგიონერი მაინც დაემატა - **ალექსანდრ ომელიანოვი**, რომელმაც სერბეთის ოფკ-სთან დუბლით გამოიჩინა თავი. ინფორმაცია რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა დაგვიდასტურა.

- ომელიანოვის დაბრუნებამ ძალიან გამახარა. სამწუხაროა, რომ ის მარტო დაგვიბრუნდა და ანტონ კოვალევსკისთან დუეტში ველარ ითამაშებს. არადა, ერთმანეთს კარგად ავსებდნენ, "თანამეგობრობის თასზე" ძალიან კარგად და სასარგებლოდ ითამაშეს. მარტო ომელიანოვი ისეთივე ეფექტური ვერ იქნება.

**- ომელიანოვმა რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმა?**

- ალბათ, 1+1 სისტემით გაფორმდება კონტრაქტი, თუმცა ჯერ კიდევ მოსალაპარაკებელია. ტრანსფერს ჯერ კიდევ ველოდებით. ის კარგი ფეხბურთელია, აქამდე ხორვატიასა და უნგრეთში უთამაშია.

**- სხვების დამატება რატომ ვერ მოახერხეთ?**

- საკმაოდ ვრისკავდი, როდესაც პირველი წრის შემდეგ ერთბაშად თხუთმეტი კაცი გავუშვი. საბედნიეროდ, ყველამ თავი გამოიჩინა. პოპოვიჩი "ზარიაში" რომ მიიწვიეს, ეს გცოდნიათ. სხვებიც არ იყვნენ ჩამოსაწერები. ტურნირის შემდეგ, კოვალევსკი ყაზანის "რუბინმა" მიიწვია, სერგეი პატულა კი - ყაზახეთის ჩემპიონმა "აქტობემ". მათ თავის გამოჩენის საშუალება მივეცით და რეალური კლასი გამოაჩინეს. მოკლედ, შემთხვევითი ხალხი არ მომიწვევია.

ახლა გუნდში სამუშაო ატმოსფეროა, რადგან მოსამზადებელ ეტაპზე უდიდესი ფუნქციონალური და ტექნიკურ-ტაქტიკური სამუშაო ჩავატარეთ. გული კი მწყდება, როდესაც გავიგე, პატულას და კოვალევსკის ველარ ვიმატებდით. პოპოვიჩი ხომ საერთოდ, ძალიან მაგარი იქნებოდა... თავიდან ეს ამბავი რომ გავიგე გავოგნდი, მაგრამ ახლა უკვე დავწყნარდი და მგონია, რომ მეორე წრეში მაინც არ გვეყოლება ცუდი გუნდი.

**- ურეკში საკონტროლო შეხვედრები ვისთან გამართეთ?**

- 3 თებერვალს ზუგდიდის "მგლებთან" ორი შემადგენლობით ორი მატჩი ჩავატარეთ - წაგება (0:2) და ფრე (1:1). 6 თებერვალს "ბათუმთან" ფრედ ვითამაშეთ (2:2). ხვალ ბოლნისის "სიონს" ვხვდებით და 22-ვე ფეხბურთელის გამოყენებას და ისევ ორი მატჩის გამართვას ვაპირებთ. თამაშებს დაღლილობის ფონზე ვატარებდით და შედეგებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. ამის შემდეგ რუსთავში დავბრუნდებით. თუმცა დღემდე არ ვიცი, 16 თებერვლამდე სად უნდა ვივარჯიშოთ. ეს დიდი პრობლემაა.

**- ტრავმირებულებიდან ვინ მომჯობინდა?**

- საბედნიეროდ, უკვე ყველა მწყობრშია. ეტყობა, სამედიცინო სამსახური ურიგოდ არ ავაწყე, რადგან ყველა ჯანმრთელადაა. ამას დიდი ყურადღებას ვაქცევ. მახარებს ისიც, რომ საკმაოდ დიდ და უჩეულო დატვირთვებს ქართველმა ბიჭებმა უპრობლემოდ გაუძლეს და გამოჩნდა, რომ გაცილებით უკეთ თამაშიც შესძლებიათ.

**მერაბ მამულაშვილი**

### ბურდულმა ვოლინთან ითამაშა

ლუგანსკის "ზარიამ" ტესტმატჩში ლუცკის "ვოლინი" 5:1 გაანადგურა. "ზარიას" ქართველ ნახევარმცველ **ლადო ბურდულს** გოლი არ გაუტანია, იგი ძირითადში იყო და მოედანი შესვენების შემდეგ დატოვა.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ზესტაფონი

# მარცხი არკადიის ფინალში



თემურ მახარაძე

ბელექში მიმდინარე "არკადიის თასის" გათამაშებაში 'ზესტაფონი" აქამდე დაუმარცხებლად ასპარეზობდა. ფეროელებმა გუშინ ამ ტურნირის ფინალში ითამაშეს უნგრული "ჰონვედის" წინააღმდეგ და დაძაბულ ბრძოლაში 0:1 დამარცხდნენ. გამარჯვების გოლი მეტოქემ 71-ე წუთზე გაიტანა. "ზესტაფონს" გათანაბრება რამდენიმეჯერ შეეძლო, მაგრამ ბოძებული შანსი ვერ გამოიყენა და მეორე ადგილს დასჯერდა.

**თემურ მახარაძემ** "ჰონვედთან" ეს შემადგენლობა ათამაშა: **ქანტურია, საჯაია, თოდუა, ვიეირა, ლობჟანიძე, ბენაშვილი, კესანი, რ. ონიანი (71. შ. ღონღაძე), ნ. კვასხვაძე (60. დაუშვილი), ბიტოო, იონანიძე (54. ფიფია).**

გუნდს აკლდნენ ის ფეხბურთელები, რომელიც **კლაუს ტოპმიოლერმა** ლატვიასთან ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა (**ბექა გოცირიძე, გიორგი ხიდეშელი, როინ კვასხვაძე**).

აქვე იმასაც გეტყვით, რომ "ჰონვედთან" შეხვედრის 76-ე წუთზე "ზესტაფონს" **ეტიენ ბიტოო** გაუძევეს.

"ზესტაფონი" საქართველოში დღეს ბრუნდება. ქართულ სეზონს მახარაძის გუნდი თასის მეოთხედფინალური მატჩით განაახლებს, "ზესტაფონი" 17 თებერვალს სტუმრად "ოლიმპს" შეხვდება. ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველ შეხვედრას კი იმერლები ასევე სტუმრად, "ვიტ ჯორჯიასთან" ჩაატარებენ.

გუნდის დაკომპლექტება ფაქტობრივად, დასრულებულია. სეზონის მეორე ნახევარში "ზესტაფონის" ღირსებას თურქეთიდან ჩამოსული ფეხბურთელები დაიცავენ, ერთი ეგაა, კლუბის ახალწვეულმა **ნიკა გელაშვილმა** ბელექში მძიმე ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, ამ სეზონში მოედანზე ველარ ვიხილავთ. "ზესტაფონს" შეუერთდება ბრაზილიელი **ჟონატასი**, რომელიც თანაგუნდელებს შეკრებაზე არ გაჰყოლია და ზესტაფონში, დუბლშემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ილია კანდელაკი

ლეგიონერები

# მხოლოდ კანდელაკი

წუხელ მეორე ბუნდესლიგის მე-19 ტურის რამდენიმე მატჩი გაიმართა, ქართული ტრიოს "კარლ ცაისი" "ზანკტ პაულის" ეწვია და 2:2 დაუზავდა. **გიორგი ონიანი** და **გიორგი სეთურიძე** ტრავმირებულები არიან, მესამე ქართველმა მცველმა **ილია კანდელაკმა** კი მატჩის ბოლო ცხრა წუთი ითამაშა. კანდელაკი ჩეხი შემტევის **იან სიმაკის** ნაცვლად შევიდა, რომელმაც მანამდე მეორე გოლი გაიტანა. თუმცა ტაქტიკამ არ გაამართლა, 88-ე წუთზე მასპინძელთა ფორვარდმა **ფლორიან ბრუნსმა** ქულის გადარჩენა შეძლო. წუხელვე **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენმა" სტუმრად 2:1 აჯობა "კაიზერსლაუტერნს". მათე ტრავმირებულია. დღეს ქართულ დუელს ველოდით, **დავით სირაძის** "პადერბორნი" **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგს" მასპინძლობს. ხიზანეიშვილი, სავარაუდოდ, სათადარიგო იქნება, ხოლო სირაძე განაცხადში არაა.

"მიუნხენსა" და "ფრაიბურგს" 31-31 ქულა აქვთ და მეხუთე-მეექვსე ადგილებზე არიან, "კარლ ცაისი" 14 ქულით ბოლოსწინაა, "პადერბორნი" 12 ქულით ბოლოა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ხიზანიშვილს არსენალთანაც ძირითადში ელიან



**ზურაბ ხიზანიშვილი** ბოლო დროს "ბლექბერნის" ძირითად შემადგენლობაში სულ უფრო ხშირად ჩნდება და ხშირ შემთხვევებში, საკმაოდ რიგიან შთაბეჭდილებასაც ტოვებს ხოლმე. ქართველ მცველს თავისი გუნდის სასტარტო თერთმეტეულისკენ გზა ბოლოს იმის გამო გაეხსნა, რომ მის კონკურენტს, **კრისტოფერ სამბას** რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ეს უკანასკნელი ამ მიზეზით პრემიერლიგის ამ ტურსაც გამოტოვებს. ორშაბათს, 11 თებერვალს, "ბლექბერნი" სტუმრად ლონდონის "არსენალს" ეთამაშება და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "ვარდების" დაცვის ცენტრს ხიზანიშვილი და ჰოლანდიელი **ანდრე ოიერი** შეადგენენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ავთანდილ კუნჭულია

## მალაროელი უმაღლესს უმიზნებს

პირველი ლიგის დასავლეთ ზონის ერთპიროვნული ლიდერი ჭიათურის "მალაროელი" მოახლოებული ოფიციალური შეხვედრებისთვის აქტიურად ემზადება. იმერული კლუბი შეკრებაზე ბაკურიანში იყო. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბადრი ბრეგვაძე** ფეხბურთელთა მომზადების დონით კმაყოფილია და მიაჩნია, რომ ამ კონტინგენტით უმაღლეს ლიგაში ალზევება რეალურია. გულშემატკივართათვის ცნობილი ერთადერთი მოთამაშე, რომელიც "მალაროელს" ამ დროისთვის ჰყავს დამატებული, გამოცდილი მეკარე **დავით მამარდაშვილია**. ბოლოს ის თბილისის "მერანში" ირიცხებოდა.

## ბათუმი ოლიმპს დაუზავდა

"ბათუმმა" "ოლიმპის" შეკრებით ისარგებლა და რუსთაველებს ამხანაგურად უმასპინძლა. თავიდან სტუმრები 2:0 დაწინაურდნენ, თუმცა მეორე ტაიმში **ავთანდილ კუნჭულიას** გუნდი გააქტიურდა და თამაშის გადარჩენა შეძლო. მასპინძელთაგან გოლები **თურმანიძემ** და **ბაციკაძემ** გაიტანეს, რუსთაველთა მხრიდან კი თავი გენაძემ და მეტრეველმა გამოიჩინეს.

"ბათუმის" შემადგენლობა ასეთი იყო: **თოთლაძე, ვ. კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე, მაკარიანი, თურმანიძე, ბეჟანიძე, ცანავა, დემურაძე, ტულუში, ბაციკაძე.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბაჯელიძე, ოქრუაშვილი, კ. მახარაძე, ლ. მახარაძე.**

"ბათუმში" დაბრუნების შემდეგ ამ გუნდის შემადგენლობაში პირველად ითამაშა გამოცდილმა ნახევარმცველმა **გიორგი თურმანიძემ**. შეგახსენებთ, იგი აჭარული კლუბის ღირსებას შარშანაც იცავდა, მაგრამ მძიმე ტრავმის გამო, "ბათუმს" მხოლოდ ორიოდე მატჩში დაეხმარა. ამ სეზონის პირველი ნახევარი კი თურმანიძემ ახალციხის "მესხეთის" შემადგენლობაში გაატარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გამოძახილი

# მზად ვართ ღია დიალოგისთვის

ლატვიელებთან ამხანაგურ მატჩში 6 თებერვალს შინ განცდილმა მარცხმა საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ავტორიტეტი ზომაზე მეტად შეარყია და შელახა. ვფიქრობთ, ამ წაგებით თავის მართლების ლიმიტიც ამოიწურა და, იმედიც გადაიწურა. უკვე დადგა დრო, როცა გასატარებელია რადიკალური ზომები, თანაც სრული, რადგან ნახევარზომებმა არანაირი სახეირო შედეგი არ მოგვიტანა. "ლელომ" გადაწყვიტა "ღია დიალოგი" გამართოს, როგორც ფეხბურთის სპეციალისტებთან, ისე გულშემატკივრებთან. ვიმსჯელოთ, ერთად ვეძებოთ გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან.

გუშინ, რედაქციას დაუკავშირდა ცნობილი ვეტერანი არბიტრი **ელდარ ჩიფჩიური**, რომელმაც ინფორმაცია მოგვაწოდა იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის ფეხბურთი სულ მალე არსებობის მეორე საუკუნის პირველ წელს მიითვლის, ანუ 101 წლისა გახდება (სამწუხაროდ, თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ, შარშან 100 წლისთავს წაუყრუა. რედ.) და გვთხოვა კიდევ ერთხელ მივაწვდინოთ ხმა ვისაც ჯერ არს, რომ ქართული ფეხბურთის ისტორია მეტ ყურადღებას იმსახურებს.

ცხადია, ვისარგებლეთ შემთხვევით და ბატონ ელდარს თავისი აზრის დაფიქსირება ვთხოვეთ საქართველოს დღევანდელ საფეხბურთო ნაკრებთან დაკავშირებით. აი, რა გვითხრა მან: *"მე თუ მკითხავთ, პრობლემა ნაწილობრივ უცხოელ მწვრთნელთა მოწვევაშიც უნდა ვეძიოთ. ხომ ჰყავდა ჩივაძეს დღევანდელზე უკეთესი გუნდი. თუმცა, ახლა, ქართულ ფეხბურთს საერთოდ არ ულხინს და ვინც უნდა ჩაიბაროს ნაკრები, გაუჭირდება. ჩავარდნა ადრეც ყოფილა. მდგომარეობის გამოსწორება კი ერთბაშად შეუძლებელია, დროა საჭირო, ხელოვნურად სასურველ შედეგს ვერ დააჩქარებ. კრიზისის დაძლევა ბავშვთა ფეხბურთიდან უნდა დავიწყოთ. სელექციონერებმა ფეხდაფეხ უნდა შემოიარონ საქართველო და შეარჩიონ ნიჭიერი მოზარდები. ეს ბავშვები უნდა ჩამოიყვანონ თბილისში, თუნდაც სკოლა-ინტერნატში და მათ მომზადებას ხელი უნდა მოჰკიდონ კარგმა მწვრთნელებმა. ოღონდ, კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მათი ურთიერთობა მშობლებთან. ეს აფუჭებს საქმეს. ზოგჯერ ტალანტი პროტექციონიზმით იჩაგრება. ამავე მიზეზით არაჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი ისადგურებს მოზარდთა გუნდებში. პროტექციონიზმი რომ აღმოიფხვრას, მწვრთნელები კარგი ხელფასით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი. მკითხავთ, ალბათ, შედეგს როდის მივიღებთო. გიპასუხებთ, - 10 წლის შემდეგ. მოთმინება გვმართებს, მაგრამ გვაქვს კი მოთმენის უნარი? აი, ასეთია ჩემი მოსაზრება."*

"ლელო" დიდი სიამოვნებით გაახმოვანებს სხვების შეხედულებებსაც ზემოხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით.

იტალია. სერია A. XXII ტურის წინ

# განსაკუთრებულ რეჟიმში...

## ბუფონი ბრუნდება, მაგრამ დელ პიერო? ნახევარი უდინეზე, ნახევარი ლაციო...


ჯანლუიჯი ბუფონი უდინეზესთვის მზადაა

**დღეს**

**ატალანტა-ფიორენტინა**
**რომა-რეჯინა**

**ხვალ**

**კალიარი-პარმა**
**ემპოლი-ლაციო**
**ლივორნო-ჯენოა**
**მილანი-სიენა**
**სამპდორია-ნაპოლი**
**ტორინო-პალერმო**
**უდინეზე-იუვენტუსი**
**კატანია-ინტერი**

"ატალანტა"-"ფიორენტინის" მატჩისთვის, რომლითაც იხსნება სერია A-ს მორიგი ტური, ბერგამოელთა ორი წამყვანი მოთამაშე, მცველი **ჯანპაოლო ბელინი** და ფლეიმეიქერი **კრისტიანო დონი**, დისკვალიფიცირებულია. ამას გარდა, "ატალანტას" ტრავმირებული ჰყავს დაცვის ბურჯი **მორის კაროციერიც**. შესაბამისად, **ლუიჯი დელ ნერის** ძალების გადაჯგუფება მოუწევს. მაგალითად, **სერჯო ფლოკარის** თავდასხმაში **მიკელე პაოლუჩი** შეუწყვილდება. გაცილებით მძიმე დღეშია **ჩეზარე პრანდელი**, რომელსაც თავდასხმის ლიდერი და ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი **ადრიან მუტუ** დააკლდება. რუმინელის გარდა, ტრავმის გამო ვერ ითამაშებს საყრდენი ნახევარმცველი **ფაბიო ლივერანიც**.

"რეჯინასთან" საშინაო მატჩი "რომასთვის" ჩვეულებრივი დაპირისპირება არ იქნება. ჯერ ერთი, "ჯალოროსიმ" უნდა აჩვენოს, გამოვიდა თუ არა წინა კვირის სიენური შოკიდან (0:3); მეორეც: ამ მარცხის გამო გუნდს საკუთარი მაყურებლის თვალში რეაბილიტაცია მართებს და ესეც დამატებითი ფსიქოლოგიური ტვირთია. და ამ ყველაფრის გარეშეც, მატჩი მეტად მძიმე იქნება იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რომელშიც რეჯოკალაბრიული კრებულია. ახლა ის დროა, **რენცო ულივიერის** გუნდი ქულას ქულაზე აწებებდეს. დღეს ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობითაა, რაც შეხვედრისადმი ინტერესს თავისთავად ზრდის.

კვირის მატჩებიდან მთავარი იქნება "ბიანკონერული" დერბი: "უდინეზე" "იუვენტუსს" მასპინძლობს. სხვათა შორის, სწორედ "უდინეზე" იყო ის გუნდი, რომელმაც ჩემპიონატის მესამე ტურში "ქალბატონს" მისსავე მოედანზე პირველი მარცხი აგემა სერია B-დან დაბრუნების შემდეგ. ეს წელი გუნდებმა არასახარბიელოდ დაიწყეს. "იუვეს" მოგება ძალიან უჭირს, უდინური კლუბი კი მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა და იტალიის თასიდანაც გავარდა. შესაბამისად, ორივე გუნდი ძლიერ მოტივირებულია. ფრიულელთა მწვრთნელი **პასკუალე მარინო** მეტად რთულ მდგომარეობაშია. თავად განსაჯეთ, სხვადასხვა მიზეზით გუნდს 5 წამყვანი მოთამაშე აკლია. განსაკუთრებით თვალშისაცემია ნახევარმცველების, **კრისტიან ობოდოსა** და **ჯანდომენიკო მესტოს** არყოფნა. ამათ ემატებათ ფორვარდი **გიან ასამოა**, შემტევი ნახევარმცველი **სიმონე პეპე** და მარჯვენა მცველი, ბრაზილიელი **ფელიპე**, რომელთაც ტრავმები აწუხებთ. "იუვენტუსის" ბანაკში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, რომ არა ბოლო ინფორმაცია: ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო, შესაძლოა, ვერ ითამაშოს **ალესანდრო დელ პიერომ**. სამაგიეროდ, დიდი პლუსია, რომ მწყობრში ბრუნდება **ჯანლუიჯი ბუფონი**. რაც შეეხება ექსლაციოელ მცველ **გილერმო სტენდარდოს**, ის დისკვალიფიცირებულია. ცნობისთვის, ამ გუნდებს შორის "ფრიულიზე" გამართულ 33 მატჩში მასპინძელი მხოლოდ 3 გამარჯვებით იწონებს თავს, არადა, ტურინში 5 მატჩი აქვთ მოგებული.

"მილანი" მასპინძლობს "სიენას", რომელმაც გასულ კვირას "რომა" გაამწარა. შარშან, "როსონერიმ" ამ გუნდს შინ ვერაფერი დააკლო (0:0). არა გვგონია, კვირასაც ანალოგიური რამ მოხდეს. **კარლო ანჩელოტის** გუნდი გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა და იცის, რომ ამ ტიპის შეხვედრებში ქულების დაკარგვა, შეიძლება, ძვირად დაუჯდეს. მართალია, "მილანს" სერიოზული დანაკლისი აქვს **ალეშანდრე პატოს**, **ჯენარო გატუზოსა** (ორივეს ტრავმა აქვს) და **ალბერტო ჯილარდინოს** (დისკვალიფიკაცია) სახით, მაგრამ თავდასხმაში **რონალდოსა** და **ფილიპო ინძაგის** დუეტსაც არაფერი უჭირს, რბილად რომ ვთქვათ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ტრავმის გამო ვერ ითამაშოს **კაკამ**. რაც შეეხება "სიენას", **მარიო ბერეტას** ერთადერთი საფიქრალი ნახევარმცველ **დანიელე გალოპას** ტრავმაა.

საინტერესო თამაში უნდა იყოს "სამპდორია"-"ნაპოლი". ორივე გუნდი უეფას თასზე მოხვედრისთვის იბრძვის. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ერთ ქულას შეადგენს. ამიტომ, შეხვედრა პრინციპულ ხასიათს ატარებს. "ნაპოლი" უმძიმეს დღეშია. ვერ ითამაშებს ძირითადი მეკარე **ჯენარო იეცო**, ტრავმირებულები არიან მცველები - **მაურიციო დომიცი, მირკო სავინი** და **ანდრეა კუპი**, დისკვალიფიცირებულია კიდევ ერთი მცველი **პაოლო კანავარო**. თუმცა **ედი რეიას** თავდასხმაში **მარსელო სალაიეტასა** და **ეზეკილ ლავეცის** საღსალამათი ტანდემი რჩება. "სამპს" ორი ნახევარმცველი აკლია: **პაოლო სამარკო** და კაპიტანი **სერჯო ვოლპი**. ფორვარდი **ვინჩენცო მონტელა** კი კარგა ხანია მკურნალობს.

"ლაციოს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** იმედოვნებს, რომ გასულ კვირას "სამპდორიასთან" გამარჯვება (2:1) გუნდს ალმავლობის გზაზე დააყენებს. საინტერესოა, ასეთივე ოპტიმიზმითაა განწყობილი თუ არა "ბიანკოჩელესტეს" მწვრთნელი **დელიო როსი**, რომელსაც ძირითადი შემადგენლობის 5 ფეხბურთელი არ ეყოლება, თანაც დაცვასა და შუა ხაზში. ვერ ითამაშებენ **მასიმო მუტარელი, ლორენცო დე სილვესტრი, ლუჩანო ძაური, ფაბიო ფირმანი,** რომლებიც ტრავმებს იშუშებენ, და საყრდენი **გაბი მუდინგაი**, ვისაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. რაც შეეხება "ემპოლის", ტოსკანელებს დანაკლისი აქვთ დაცვასა და ნახევარდაცვაში, სადაც ვერ ითამაშებენ გამოცდილი მცველი **დანიელე ადანი** და გამთამაშებელი **ანტონიო ბუშე**.

"ტორინოსა" და "პალერმოს" დაცვაში გაუჭირდებათ. მასპინძლებს არ ეყოლებათ **ჩეზარე ნატალი**, ხოლო სტუმრებს **ანდრეა ძაკარდო**. სიცილიელებისთვის ტურინური გასვლა ყოველთვის რთული იყო. 1993 წლის შემდეგ გამართულ 17 დაპირისპირებაში მათ მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს. თამაშს ინტრიგას მატებს ის ფაქტიც, რომ **აიმო დიანა** და **მარკო პიზანო**, რომლებიც სეზონის პირველ ნახევარში "პალერმოს" ღირსებას იცავდნენ, ახლა "ტორინოში" არიან და ხვალ ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ მოუწევთ თამაში.

"კალიარი"-"პარმა" გავარდნის კანდიდატთა უშუალო პაექრობაა, რაც კომპრომისს იმთავითვე გამორიცხავს. ვგულისხმობთ იმას, რომ ორივე გუნდს მხოლოდ 3 ქულა დააკმაყოფილებს. სარდინიელებს ნახევარდაცვის ცენტრალური ფიგურა **პასკუალე ფოჯა** დააკლდებათ, ემილიურ კლუბს კი ასევე შუახაზელი **ანდრეა პიზანუ** არ ეყოლება.

"ჯენოა" საბრძოლო შემადგენლობით ჩადის ლივორნოში, სადაც კვლავ **მარკო ბორიელოს** იმედზე იქნება. საინტერესოა, რომ "მილანის" სკოლის აღზრდილის მიერ ჩემპიონატში გატანილი 12 გოლი "ჯენოას" მთლიანი მონაგარის 54 პროცენტია. ამიტომ, "ლივორნოს" დაცვას განსაკუთრებულ რეჟიმში მოუწევს მუშაობა.

ტურს დაასრულებს "კატანია"-"ინტერის" მატჩი, რომლის შარშანდელი ანალოგი მილანური გრანდის გამარჯვებით, 5:2 დასრულდა. ძნელი სათქმელია, რა და როგორ იქნება ამჯერად, რადგან სიცილიური კრებული საკუთარ მოედანზე ყოველთვის სახიფათოა. მასპინძელთა რიგებში ვერ ითამაშებს ურუგვაელი ნახევარმცველი **ხორხე მარტინესი**. გაცილებით სერიოზული დანაკლისი აქვს "ინტერს" (**ვალტერ სამუელი, ოლივიე დაკური, დეიან სტანკოვიჩი, პატრიკ ვიეირა, მაიკონი**), მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ **რობერტო მანჩინის** ლამის სამი თანაბარი ძალის შემადგენლობა ჰყავს, ჩემპიონს წესით სანერვიულო ბევრი არაფერი უნდა ჰქონდეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 21 | 16 | 5 | 0 | 44-13 | 53 |
| 2. რომა | 21 | 13 | 6 | 2 | 38-22 | 45 |
| 3. იუვენტუსი | 21 | 11 | 8 | 2 | 40-18 | 41 |
| 4. ფიორენტინა | 21 | 10 | 7 | 4 | 32-19 | 37 |
| 5. მილანი | 20 | 9 | 6 | 5 | 32-16 | 33 |
| 6. უდინეზე | 21 | 9 | 6 | 6 | 24-25 | 33 |
| 7. ატალანტა | 21 | 7 | 8 | 6 | 32-30 | 29 |
| 9. სამპდორია | 21 | 8 | 4 | 9 | 27-26 | 28 |
| 9. პალერმო | 21 | 7 | 7 | 7 | 28-34 | 28 |
| 10. ჯენოა | 21 | 7 | 7 | 7 | 22-28 | 28 |
| 11. ნაპოლი | 21 | 7 | 6 | 8 | 33-32 | 27 |
| 12. კატანია | 21 | 5 | 8 | 8 | 19-24 | 23 |
| 13. ლაციო | 21 | 5 | 8 | 8 | 24-30 | 23 |
| 14. ტორინო | 21 | 3 | 12 | 6 | 20-25 | 21 |
| 15. ლივორნო | 20 | 5 | 6 | 9 | 23-32 | 21 |
| 16. სიენა | 21 | 4 | 8 | 9 | 25-31 | 20 |
| 17. პარმა | 21 | 4 | 7 | 10 | 24-32 | 19 |
| 18. რეჯინა | 21 | 3 | 9 | 9 | 18-32 | 18 |
| 19. ემპოლი | 21 | 3 | 7 | 11 | 15-29 | 16 |
| 20. კალიარი | 21 | 3 | 5 | 13 | 16-38 | 14 |


ამანტინო მანსინის საგოლე შანსი

ინტერვიუ ამანტინო მანსინისთან

# რომა კიდევ იბრძოლებს

**ამანტინო მანსინი** ის ფეხბურთელია, რომელსაც "ჯალოროსი" ძალიან აფასებს, განსაკუთრებით, კლუბის გენერალური მენეჯერი როზელა სენსი. ამ ქალბატონმა ბოლო წლებში არაერთ კლუბს შეუთვალა უარი, როცა ბრაზილიელი გარემარბის გაყიდვა შესთავაზეს. თუმც ყოველთვის რჩებოდა და რჩება შთაბეჭდილება, რომ მანსინი რაღაცით მაინც უკმაყოფილოა და თვალი სხვაგან გაურბის. ერთი ხანობა, მას კონფლიქტი ჰქონდა მწვრთნელ ლუჩანო სპალეტისთანაც, თუმცა ახლა ისე ჩანს, რომ ყველაფერი მოგვარებულია. მაგრამ ღიად რჩება კონტრაქტის გაგრძელების საკითხი. აქტუალურია სიენაში გასულ კვირას განცდილი მარცხიც... ამ და სხვა თემებზე ის "კორიერე დელო სპორტის" კორესპონდენტს ესაუბრა...

**- მანსინი, მოდით კონტრაქტის გაგრძელების თემით დავიწყოთ...**

- მაინცდამაინც ამით? არ შეიძლება, სხვა თემა მოვძებნოთ?

**- კარგი, მაშინ ყველაზე აქტუალური: რა მოხდა სიენაში?**

- მიჭირს ახსნა... ყველაფერი წაღმა დატრიალდა, ფორტუნამ უმოწყალოდ გაგვწირა. უამრავი შეცდომა დავუშვით... მაგრამ მოდით, შევთანხმდეთ, რომ ეს იყო გამონაკლისი. საერთო ჯამში კი, "რომა" ყოველთვის ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს და არ შემეშინდება იმის თქმის, რომ არამარტო იტალიაში, არამედ ევროპაშიც გამორჩეული გუნდია.

**- გამოდის, რომ მწარე მარცხმა არ შეგაშფოთა?**

- არა, რადგან ვიცით, რისი ძალაც შეგვწევს. ვიცით ასევე ისიც, რომ შეგვიძლია სწრაფადვე დავუბრუნდეთ ძველ კალაპოტს. გაიხსენეთ ორი მძიმე მარცხი რომაულ დერბისა და "მანჩესტერ იუნაიტედთან"...

**- მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, "სიენასთან" მარცხი სკუდეტოს შანსებს სერიოზულად ამცირებს. ასე არ არის?**

- არავითარ შემთხვევაში! "ინტერს" ჯერ არაფერი მოუგია. თუკი რომელიმე ჩვენგანი სხვანაირად ფიქრობს, შეუძლია, არ დაელოდოს ზაფხულს ახლავე შვებულებაში წავიდეს. რა თქმა უნდა, წინ სერიოზული გამოცდა გველის, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. "რომა" ბოლო წუთამდე იბრძოლებს. ისე, თუ გახსოვთ, შარშან "ინტერს" პირველი მარცხი ჩვენ ვაგემეთ, თანაც "სან სიროზე".

**- მაშ კონტრაქტზე აღარ ვისაუბროთ?**

- ისევ კონტრაქტი? არა, არა... მოდით, შევცვალოთ თემა.

**- როგორ შეაფასებ სეზონს, თუკი "რომა" მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდება?**

- ვიტყვი, რომ ჩინებული სეზონი იყო.

**- ალბათ, იმიტომ, რომ ახლა "იუვენტუსიც" გიწევთ კონკურენციას...**

- "იუვენტუსს" ცალკე არ გამოვყოფდი.

**- კიდევ ვინ არის "რომას" კონკურენტი?**

- ჩემი აზრით, ყველაზე საშიში ოპონენტი "მილანია". ანჩელოტის გუნდი გამორჩეულად ბრძოლისუნარიანია. დაუმატეთ ამას მაღალი კლასი, გრძელი სკამი და უდიდესი გამოცდილება, რაც მას ჩამორჩენის დაძლევაში დაეხმარება.

**- და პატო? მისი დამსახურება ჯერ არ ჩანს?**

- ცხადია, ისიც ვიგულისხმე. არ გამკვირვებია, რომ ასე სწრაფად შეეგუა იტალიურ ფეხბურთს. მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს დასამტკიცებელი, მაგრამ პირველი ნაბიჯები მაინც ფანტასტიკურია.

**- და ეს ყველაფერი არის ის, რის გამოც "მილანს" "იუვენტუსზე" საშიშ მეტოქედ თვლი?**

- ვერ გამიგეთ. "იუვეც" სერიოზული კონკურენტია, მაგრამ "მილანმა" თუ ტემპი აკრიფა...

**- კონტრაქტზე საუბარი მაინც არ გსურს და, მაშინ ტრანსფერებზე გკითხავ. ამბობენ, "რომაში" მუტუ და დი ნატალე გადადიანო...**

- ძალიანაც კარგი, თუ ასე იქნა. რაც უფრო მეტი კარგი ფეხბურთელი გვეყოლება, მით უკეთესი.

**- კი, მაგრამ მუტუს მოსვლის შემთხვევაში ხომ შეიძლება ძირითადში ადგილი დაკარგო?**

- ვინ გითხრათ? მე სხვა აზრი მაქვს: მუტუ-მანსინი-ტოტი! აი, როგორი შეიძლება იყოს დიდი "რომა"!

**- შევადაროთ ერთმანეთს მუტუ და მანსინი...**

- არ მიყვარს ასეთი შედარებები. ეს თქვენი საქმეა, ჟურნალისტების...

**- სეზონის პირველ ნახევარში ნამდვილი მანსინი ვერ ვნახეთ. ისე ჩანს, თითქოს სენსის ოჯახთან შეხვედრის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა...**

- ეს მხოლოდ დამთხვევაა, დანარჩენი ჭორებია და გირჩევთ, არ დაუჯეროთ. საშობაო არდადეგების დროსაც კი არ შემიწყვეტია ვარჯიში. ახლა ნამდვილად კარგ ფორმაში ვარ.

**- ბრაზილიის ნაკრებში მიწვევაზე კიდევ ოცნებობ?**

- არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, იმედს არ ვკარგავ. ჩემი ერთადერთი არგუმენტი ის იქნება, რომ "ჯალოროსიში" ძველებურად ვითამაშო. დანარჩენი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**- სადაცაა "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩები გელით. უმრავლესობა ფავორიტად მადრიდულ გრანდს მიიჩნევს...**

- არ ვიცი, ვის რა ჰგონია, მაგრამ მე დარწმუნებული, რომ შანსები გვაქვს. "რეალი" მეტოქეს თავისუფალ სივრცეებს უტოვებს. აი, აქ უნდა დავიჭიროთ მომენტი...

**- რა უფრო ადვილია: "რეალის" დამარცხება თუ "ინტერის" დაწევა?**

- უაზრობაა ამაზე საუბარი. ორივე ამოცანა უაღრესად რთულია, მაგრამ ამავე დროს, შესრულებადიცაა. იცით, სიმართლე გითხრათ, ახლა "რეალზე" არც ვფიქრობ, რადგან მანამდე "რეჯინა" და "იუვენტუსი" გველოდება.

**- სკუდეტო თუ ჩემპიონთა ლიგა?**

- ჰმ, ისე ისე! საიდან გებადებათ ჟურნალისტებს ასეთი კითხვები?!

**- მოდი, აღიარე, რომ ამასწინათ "რომას" ოფისში ბრუნო კონტის შეხვდი და ახალი კონტრაქტის დეტალებზე ელაპარაკე...**

- არ მეშვები... დიახ, ამას არ დავმალავ. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ რომში ჩემი ბიძაშვილი კაიო ჩამოვიდა სინჯებზე და მალე იტალიურ პასპორტსაც მიიღებს.

**- იმ შემთხვევაში, თუკი მაინც მოგიწია იტალიის დატოვება, რომელ ჩემპიონატში ისურვებდი თამაშს?**

- მე მგონი, სერია A-ს იდეალურად ვერგები. ისე, ესპანეთის ჩემპიონატიც მომწონს...

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტურის წინ

# მანჩესტერული დერბი და ტრადიციული დაპირისპირება სტემფორდ ბრიჯზე



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ტოტენჰემთან მატჩისას მიღებული ამ გაფრთხილების გამო უეინ რუნი მეორე მაჩესტერულ დერბისაც გამოტოვებს

**დღეს**

**ასტონ ვილა-ნიუკასლი**
**ბოლტონი-პორტსმუთი**
**დერბი ტოტენჰემი**
**ევერტონი-რედინგი**
**მიდლსბრო-ფულჰემი**
**სანდერლენდი-ვიგანი**
**ვესტ ჰემი-ბირმინგემი**

**ხვალ**

**მანჩესტერ იუნ.-მანჩესტერ სიტი**
**ჩელსი-ლივერპული**

**ზეგ**

**არსენალი-ბლექბერნი**

მანჩესტერულ დერბიში კიდევ ერთხელ მიაგებენ პატივს მიუნხენური ტრაგედიისას დაღუპულთა ხსოვნას. თამაში წუთიერი დუმილით დაიწყება. "მანჩესტერ იუნაიტედი" 1958 წლის მსგავს ფორმაში გამოეწყობა. იმ დროის შესაფერის ფორმას მორგებს "მანჩესტერ სიტიც". მიუნხენში **ბასბის** ბიჭების გარდა, "სიტის" ყოფილი მეკარე **ფრენკ სვიფტიც** დაიღუპა, რომელიც იმხანად უკვე სპორტული მიმომხილველი იყო.

გასულ უქმეებზე "იუნაიტედმა" „ტოტენჰემთან" ფრედ ითამაშა და პირველი ადგილი „არსენალს" დაუთმო. რაკი „მეთოფეები" ორშაბათს თამაშობენ, "მენიუ" გამარჯვების შემთხვევაში, მინიმუმ ერთი დღით მაინც დაიბრუნებს პირველ ადგილს. წინა ტური "სიტისთვისაც" უიღბლო გამოდგა. ის "არსენალთან" დამარცხდა და წაუგებელ საშინაო სერიას დაუსვა წერტილი.

დღეს რიგით 149-ე დერბია. მხოლოდ ინგლისის ჩემპიონატში დაუძინებელი მტრები 138-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. მიმდინარე სეზონში, ამ გუნდების პირველი წრის მატჩში "სიტიმ" მინიმალური ანგარიშით მოიგო. მას "იუნაიტედთან" დუბლი (სეზონის ორივე მატჩის მოგება) 1969-70 წლების შემდეგ არ შეუსრულებია. „ოლდ ტრეფორდზე" კი უკანასკნელად 1974 წელს მოიგო, მაშინაც მინიმალური ანგარიშით და "იუნაიტედი" მეორე დივიზიონში გაისტუმრა. ამ სეზონში **სერ ალექს ფერგიუსონის** შეგირდებმა საკუთარ მოედანზე მხოლოდ ორი ქულა გაანიავეს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ ვინ მიიჩნევა წყვილის ფავორიტად.

**უეინ რუნიმ** პირველი წრის დერბი ტრავმის გამო გამოტოვა. ის ამჯერადაც ვერ დაეხმარება თავის გუნდს. რუნიმ ხუთი ყვითელი ბარათი დააგროვა და ავტომატურ ერთმატჩიან სასჯელს გამოჰკრა ხელი. დისკვალიფიკაციას მოიხდის "იუნაიტედის" მარცხენა მცველი **პატრის ევრაც**. დაშავებულია თავდამსხმელი **ლუის საა**. მარჯვენა მცველმა და კაპიტანმა **გარი ნევილმა** ვარჯიში განაახლა, მაგრამ საამმატჩო განაცხადში არ შეუყვანიათ.

"სიტის" შემადგენლობაში პირველად ითამაშებს ზიმბაბველი თავდამსხმელი **ბენჯანი მვარუვარი**, რომლის ტრანსფერი ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ გაიჩარხა. ტრავმის მოიშუშა **მიკა რიჩარდსმა**. დისკვალიფიკაციათა გამო „სიტისაც" ორი წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდება: **ელანო ბლუმერი** და **ვედრან კორლუკა**...

**ავრამ გრანტი** "ჩელსის" მეოცე კალენდარულ მატჩში გაიყვანს. დღემდე ჩატარებული 19 შეხვედრიდან "არისტოკრატებმა" 13 მოიგეს (68 პროცენტი) და 57 შესაძლებლიდან 43 ქულას მოუყარეს თავი (73 პროცენტი). **რაფა ბენიტესის** ლივერპულური კარიერა უკვე 138 თამაშს მოიცავს (მხოლოდ პრემიერლიგაში). ბარემ მის სტატისტიკასაც გაგაცნობთ: მერსისაიდელებმა 73 თამაში მოიგეს (მხოლოდ 53 პროცენტი) და 414 შესაძლებლიდან 251 ქულა მოიხვეჭეს. ეს საინტერესო სტატისტიკა ბი-ბი-სიმ მოგვაწოდა.

"ჩელსი" და "ლივერპული" ბოლო წლების ყველაზე დაუძინებელი მეტოქეები არიან. თავად განსაჯეთ: 2004 წლის შემდეგ, სამწელიწადნახევარში, ისინი 17-ჯერ (ყველა ტურნირში) შეხვდნენ ერთმანეთს. "ჩელსიმ" რვაჯერ გაიმარჯვა, "ლივერპულმა" – ხუთჯერ. ოთხი მატჩი ფრედ დასრულდა. მიმდინარე სეზონში ისინი უკვე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. "ენფილდზე" პირველი წრის მატჩი 1:1 დასრულდა, ხოლო ლიგის თასის მეოთხედფინალში "ჩელსიმ" შინ 2:0 მოიგო.

"ჩელსის" გათამაშების ლიდერ "არსენალისაგან" ექვსი ქულა აშორებს. მან წინა ტურში „პორტსმუთთან" ფრედ ითამაშა. ამიტომ თუ არ უნდა, რომ სხვაობა კიდევ გაიზარდოს, უნდა მოიგოს. "ჩელსის" საჩემპიონო შანსები რეალურია. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ გუნდი ორ ძირითად კონკურენტს, "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" შინ შეხვდება. გრანტს საკადრო პრობლემები ისევ აწუხებს: აფრიკის ერთა თასისა და ტრავმების გამო მას ხუთი ფეხბურთელი (**დროგბა, კალუ, ესიენი, შევჩენკო** და **ტერი**) დააკლდება. გამოჯანმრთელდა **ფრენკ ლემპარდი** და შეიძლება, ითამაშოს. **რიკარდო კარვალიომ** სასჯელი მოიხადა და განაცხადში იქნება. **ჯონ ობი მიკელის** ნიგერია აფრიკის ერთა თასს გამოეთხოვა. ფეხბურთელი გუშინ საღამოს უკვე ლონდონში უნდა ყოფილიყო.

პრობლემები აქვს ბენიტესსაც. **ფერნანდო ტორესი** ესპანეთის ნაკრებიდან დაშავებული დაბრუნდა. ტრავმები აქვთ **რაიან ბაბელს, ანდრეი ვორონინს, ფაბიო აურელიოს, ალვარო არბელოასა** და **დანიელ აგერს**. **ჩაბი ალონსო** დისკვალიფიცირებულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, "არსენალი" "ბლექბერნს" ორშაბათს შეხვდება. **ტომაშ როსიცკი** გამოჯანმრთელდა. ის განაცხადში იქნება. დაშავებულია **მატიო ფლამინი** ტრავმები აღარ აწუხებთ **რობინ ვან პერსისა** და **იოჰან ჯურუს**, მაგრამ ფორმაში არ არიან. ამიტომ **არსენ ვენგერი** მათ ისევ დაასვენებს. "ბლექბერნს" სამი ფეხბურთელი - **სამბა, დანი** და **პედერსენი** ჰყავს დასჯილი. ორი – **ნელსენი** და **ოოიერი**, დაშავებულია. აფრიკის თასიდან დაბრუნდა **აარონ მოკოენა** და წესით, ძირითად შემადგენლობაში უნდა ითამაშოს.

მეოთხეადგილოსანი "ევერტონი" "რედინგს" უმასპინძლებს. ლივერპულელებმა განაცხადში არ შეიყვანეს ნიგერიელი თავდამსხმელი **იაკუბუ აიეგბენი**. ის აფრიკის თასიდან ორი დღის დაგვიანებით დაბრუნდა. იაკუბუს ფინანსური სანქციაც არ ასცდება. მკითხველს შევახსენებთ, რომ ის 9 გოლით "ევერტონის" საუკეთესო ბომბარდირია. უცნობია, ათამაშებენ თუ არა ფეხბურთელს სამშაბათს, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში, ნორვეგიულ "ბრანთან".

"ასტონ ვილისა" და "ნიუკასლის" მატჩს მასპინძლები საკადრო პრობლემებით ხვდებიან. დაშავებულია თავდამსხმელი **გაბრიელ აგბონლაორი**, რომელმაც ტრავმის გამო ინგლისის ნაკრებშიც ვერ ითამაშა. ისვენებს **სტილიან პეტროვი**. გარემარბმა **ეშლი იანგმა** სასჯელი მოიხადა. ცენტრალურმა მცველმა **კერტის დევისმა** ტრავმა მოიშუშა. "ნიუკასლს" **ხოსე ენრიკე** გამოუჯანმრთელდა. ის დასჯილი **შარლ ნზოგბიას** ადგილს დაიკავებს. **კევინ კიგანს** აფრიკული ლეგიონი დაუბრუნდა. **ბეიე, ფაიე** და **მარტინსი** ძირითად შემადგენლობაში უნდა ვიხილოთ.

დაძაბული პაექრობა გაიმართება გასავარდნი ზონის სიახლოვეს. "სანდერლენდი" "ვიგანს" შეხვდება. ამ გუნდებს ბოლოდან მეხუთე და მეოთხე ადგილები უკავიათ და სარისკო ტერიტორიისაგან ორი და ერთი ქულა აშორებთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 25 | 18 | 6 | 1 | 52-18 | 60 |
| 2. მანჩ. იუნ. | 25 | 18 | 4 | 3 | 49-12 | 58 |
| 3. ჩელსი | 25 | 16 | 6 | 3 | 38-17 | 54 |
| 4. ევერტონი | 25 | 13 | 5 | 7 | 40-23 | 44 |
| 5. ლივერპული | 24 | 11 | 10 | 3 | 40-17 | 43 |
| 6. ასტონ ვილა | 25 | 11 | 8 | 6 | 44-33 | 41 |
| 7. მანჩ. სიტი | 25 | 11 | 8 | 6 | 32-28 | 41 |
| 8. ბლექბერნი | 25 | 10 | 9 | 6 | 32-31 | 39 |
| 9. პორტსმუთი | 25 | 10 | 8 | 7 | 35-26 | 38 |
| 10. ვესტ ჰემი | 24 | 10 | 6 | 8 | 29-22 | 36 |
| 11. ტოტენჰემი | 25 | 7 | 8 | 10 | 45-41 | 29 |
| 12. ნიუკასლი | 25 | 7 | 7 | 11 | 28-43 | 28 |
| 13. მიდლსბრო | 25 | 6 | 8 | 11 | 22-38 | 26 |
| 14. ბოლტონი | 25 | 6 | 7 | 12 | 26-34 | 25 |
| 15. ვიგანი | 25 | 6 | 5 | 14 | 24-40 | 23 |
| 16. სანდერლ. | 25 | 6 | 5 | 14 | 24-45 | 23 |
| 17. რედინგი | 25 | 6 | 4 | 15 | 30-52 | 22 |
| 18. ბირმინგემი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-37 | 21 |
| 19. ფულჰემი | 25 | 3 | 10 | 12 | 25-43 | 19 |
| 20. დერბი | 25 | 1 | 6 | 18 | 13-52 | 9 |




ინგლისის პრემიერლიგა გლობალური ექსპანსიისათვის ემზადება

პრემიერლიგა

# ინგლისის ჩემპიონატი საზღვარგარეთ

## 2011 წლიდან პრემიერლიგის მატჩები უცხოურ სტადიონებზე უცხოელი გულშემატკივრების თვალწინ გაიმართება…

ინგლისის პრემიერლიგის ოცმა კლუბმა ერთხმად დაუჭირა მხარი ლიგის ხელმძღვანელთა წინადადებას, 2010-11 წლების სეზონიდან კალენდარული მატჩები საზღვარგარეთაც ჩაატარონ. ინგლისელები გლობალური ექსპანსიისათვის ემზადებიან. მათი პირველობა კომერციულად ყველაზე მომგებიანი საფეხბურთო ტურნირია. ის მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ორგანიზატორებს უფრო მეტი ფულის გაკეთება უნდათ. ამ სურვილის ასრულება უცხოეთის სტადიონებზეა შესაძლებელი.

ჩანაფიქრის განსახორციელებლად პრემიერლიგის ფორმატის შეცვლაა საჭირო. განიხილება ჩემპიონატისათვის ერთი ტურის დამატების ვარიანტი. პრემიერლიგის გუნდები სწორედ ამ ერთ ტურს გამართავენ უცხოეთის სტადიონებზე. გასვლითი ტური ერთ უქმეებზე მოეწყობა. ხუთი თამაში შაბათს ჩატარდება, ხუთი – კვირას და სულ სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში. ჯერჯერობით არც ამ ქვეყნების სახელები ხმაურდება და არც პოტენციური მასპინძელი ქალაქების.

ეს არ გახლავთ ორიგინალური იდეა. პრემიერლიგამდე უცხოეთში მატჩების ჩატარება ამერიკელებმა მოსინჯეს. ამერიკული ფეხბურთის, კალათბურთის, ჰოკეისა და ბეისბოლის ლიგებმა ცალკეული შეხვედრები საზღვარგარეთ, კერძოდ, ევროპასა და აზიაში გამართეს და დიდი თანხა მოიხვეჭეს. ამერიკის ბეისბოლის ეროვნული ლიგა სეზონს ზედიზედ მესამედ ტოკიოში გახსნის. შარშან ოქტომბერში ამერიკული ფეხბურთის ლიგის კალენდარული მატჩი "ნიუ იორკ ჯაიანთსსა" და "მაიამი დოლფინს" შორის ლონდონში გაიმართა. მას "უემბლიმ" უმასპინძლა. ტრიბუნებზე უკლებლივ ყველა ადგილი შეივსო. იმავე თვეში ლონდონს ეროვნული საკალათბურთო ლიგის კლუბები, "ბოსტონ სელტიქსი" და "მინესოტა ტიმბურვულვზი" ეწვივნენ და წინასასეზონო შეხვედრა ჩაატარეს.

ინგლისური კლუბების გლობალური ამბიციები გასაკვირი არ უნდა იყოს. პრემიერლიგის 20 კლუბიდან ცხრას უცხოელი მეპატრონე ჰყავს. ეს კლუბებია: "მანჩესტერ იუნაიტედი"(**მალკოლმ გლეიზერი**, აშშ), „ლივერპული" (**ჯორჯ ჯილეტი** და **ტომ ჰიკსი**, აშშ), „ასტონ ვილა" (**რენდი ლერნერი**, აშშ), "დერბი" (**ენდი ეპლბი**, აშშ), „ჩელსი" (**რომან აბრამოვიჩი**, რუსეთი), „მანჩესტერ სიტი" (**ტაქსინ შინავატრა**, ტაილანდი), „ფულჰემი" (**მოჰამედ ალ ფაიედი**, ეგვიპტე), „პორტსმუთი" (**ალექსანდრ გაიდამაკი**, რუსეთი) და „ვესტ ჰემი" (**ბიორგოლფურ გუდმუნდსონი**, ისლანდია). ამათგან, ოთხის მფლობელი, როგორც შეამჩნევდით, ამერიკელი ინვესტორია. პრემიერლიგის მატჩების ჩატარების სავარაუდო ადგილიც ამერიკის შეერთებული შტატებია. ამერიკაში ამ ინიციატივას უკვე დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. "ფოქს სოკერ ჩენელმა", რომელიც შტატების ტერიტორიაზე პრემიერლიგის მატჩების ჩვენების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს, ხელები დაიკაპიწა. ის შეეცდება, ამ ერთი, საზღვარგარეთული ტურის ჩვენების უფლება ხელთ იგდოს. უკვე ცნობილია, რომ უცხოეთში გამართული ათივე მატჩი ბრიტანეთში პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

ფიფას ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ინგლისელთა ინიციატივის შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ველოდებით ოფიციალურ წერილს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციიდან და პრემიერლიგიდან. მისი მიღებისთანავე წერილი გადაეგზავნება ჩვენს შესაბამის კომიტეტს. კიდევ ერთხელ გადავხედავთ ფიფას კანონმდებლობას, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის საყოველთაოდ აღიარებულ წესებსა და კანონებს არ ეწინააღმდეგება."*

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა **სერ ალექს ფერგიუსონმა** ამ ამბის გახმაურების გამო უკმაყოფილება ვერ დამალა. ის ყველაზე მეტად იმან გაალიზიანა, რომ ნოვაციის შესახებ ჟურნალისტებმა იქამდე შეიტყვეს, სანამ კლუბების ხელმძღვანელები მწვრთნელებთან კონსულტაციებს გამართავდნენ: *"გუშინ დევიდ გილმა დამირეკა და მითხრა, ეს ამბავი საიდუმლოდ შემენახა, რადგან პროექტზე მუშაობა დასრულებული არ იყო. დღეს კი ამ პროექტის შესახებ უკლებლივ ყველა გაზეთში წერია. ალმაშფოთებელია, რომ ამხელა თანამდებობის პირები ენას კბილს ვერ აჭერენ."* ფერგიმ ისიც თქვა, როგორც გავიგე, უცხოეთში პირველი მატჩის ჩატარება 2011 წლის იანვრისათვის იგეგმება, მე კი იმ დროს, შეიძლება, პენსიაში ვიყო გასულიო. ფერგისაგან განსხვავებით, პრემიერლიგის იდეა მოიწონა "არსენალის" დამრიგებელმა **არსენ ვენგერმა**. მან არ გაიზიარა რამდენიმე ინგლისური ფანკლუბის წევრთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თამაშების უცხეთში გადატანა წარმოქმნის უფსკრულს კლუბებსა და იმ თემებს შორის, რომელთაც ეს კლუბი ეკუთვნის. ვენგერის თქმით, ფეხბურთის გულშემატკივართა 90 პროცენტს ის ადამიანები შეადგენენ, რომელთაც თამაშებზე სიარულის საშუალება არ აქვთ. მოსიე არსენის აზრით, მატჩების ორგანიზატორებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ მატჩები მაქსიმალურად ბევრი ადამიანისათვის გახდეს ხელმისაწვდომი. თამაშების უცხოეთში გატანა ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტურის წინ

# სუპერდერბი და სუპერკლასიკა!

## მიუნხენში: ვერდერი VS ბაიერნი, დორტმუნდში: ბორუსია VS შალკე



დერბის დროა: შალკელი ფაბიან ერნსტი და დორტმუნდელი დედე

| გუშინ | |
|---|---|
| აინტრახტი-არმინია | 2:1 |
| **დღეს** | |
| ლევერკუზენი-ჰამბურგი | |
| შტუტგარტი-ჰერტა | |
| ბოხუმი-კოტბუსი | |
| ჰანოვერი-კარლსრუე | |
| ნიურნბერგი-ჰანზა | |
| ვოლფსბურგი-დუისბურგი | |
| **ხვალ** | |
| ბორუსია (დ)-შალკე | |
| ბაიერნი-ვერდერი | |

ორი სუპერ-ჯახი ერთ ტურში, ერთ დღეს და ერთსა და იმავე დროს - აფსუსია და ზედმეტი ფუფუნება. მაგრამ მაინც: ბუნდესლიგის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ გერმანიის ჩემპიონატის ორი საუკეთესო და ყველაზე საინტერესო დაპირისპირების დაწყების პერიოდები ერთმანეთს ემთხვევა. ხვალ, ერთის მხრივ გერმანიის ჩემპიონატის სუპერკლასიკაა - "ბაიერნი" "ვერდერს" მასპინძლობს, მეორესმხრივ კი, დორტმუნდში რურის დიდი დერბი იმართება - "ბორუსია" "შალკეს" მიიღებს. დღეს კი, "ლევერკუზენისა" და "ჰამბურგის" დაპირისპირება ხვალინდელი დღის ჩინებული პრელუდია იქნება.

ეს შეხვედრა დღევანდელი მატჩებიდან ყველაზე საინტერესოა, თანაც, "ლევერკუზენი" და "ჰამბურგი" სატურნირო ცხრილში მეზობლები არიან (მე-3 და მე-4 ადგილებს იყოფენ) და ქულების თანაბარი რაოდენობა აქვთ. ერთი ეგაა, რომ "ბაიერი" HSV-ს ბურთების უკეთესი შეფარდებით სჯობნის. თუკი **მიხაელ სკიბეს** "ფარმაცევტები" მოიგებენ, მინიმუმ 26 საათით მეორე ადგილზე გადაინაცვლებენ, მაგრამ აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ "ლევერკუზენს" მიმდინარე სეზონში ძლიერი გუნდების დამარცხება უჭირს, აუტსაიდერებს კი, იოლად აცამტვერებს ხოლმე. თავად განსაჯეთ, ამ სეზონში "ბაიერმა" გრანდებთან 12 შესაძლო ქულიდან მხოლოდ 1 მოიპოვა (1:1 "შალკესთან", გელზენკირხენში). "ჰამბურგს" კი მინი კრიზისი აქვს - ჩრდილოელებმა ბოლო 4 თამაშში ოდენ 3 ქულას მოუყარეს თავი. ამიტომაცაა, მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** ნავსის გატეხვას კატეგორიულად რომ ითხოვს. აქვე გეტყვით, რომ "ჰამბურგმა" "ლევერკუზენს" ბოლო ორი გასვლითი მატჩი მოუგო.

"ჰანოვერმა" და "კარლსრუემ", რომლებიც დღეს ერთმანეთს ხვდებიან, მეორე წრე კარგად დაიწყეს - "წითლებმა" ჰამბურგში ფრეს გამოჰკრეს ხელი (1:1), ბადენელებმა კი "ნიურნბერგი" დაამარცხეს (2:0). გამარჯვების შემთხვევაში "ჰანოვერი" **ალექსანდრე იაშვილის** გუნდს უკან მოიტოვებს. "96"-ს ვეტერანი **მიხაელ ტარნატი** უბრუნდება, რომელიც ყოფილი გუნდის წინააღმდეგ (ადრე კარლსრუეში თამაშობდა) განსაკუთრებული მოტივაციით იასპარეზებს. KSC-ს რიგებში კითხვის ნიშნის ქვეშაა ახალწვეული **იოშუა კენედის** თამაში, რომელმაც გასულ უქმეებზე "ნიურნბერგთან" გოლი გაიტანა. ავსტრალიელს მუხლის ტრავმა აწუხებს.

"შტუტგარტი" "ჰერტას" მასპინძლობს და უპრიანია შევახსენოთ, რომ პირველი წრე ორივე გუნდმა ამაზრზენად დაიწყო - მოქმედი ჩემპიონები "შალკესთან" განადგურდნენ (1:4), ბერლინელები კი "აინტრახტთან" შერცხვნენ (0:3). შვაბთა დამრიგებელმა **არმინ ფეემ** წაგების შემდეგ შეგირდები არაერთხელ დაცოფა და მათგან მაქსიმუმს ითხოვს, რათა "შტუტგარტმა" ევროტურნირების ზონა თვალთახედვის არედან არ დაკარგოს. "ჰერტას" ლაზარეთიდან კაპიტანი **არნე ფრიდრიხი** უბრუნდება. დღესვე, სატურნირო ცხრილის შუაში მეზობლად მყოფი გუნდები აუტსაიდერებს უმასპინძლებენ - "ბოხუმი" "კოტბუსს" მიიღებს, "ვოლფსბურგი" კი "დუისბურგს". შეიძლება ასეც ითქვას: მეორე წრის სტარტის ორი გამარჯვებული ორ დამარცხებულს მასპინძლობს. "ჰანზასა" და "ნიურნბერგის" სახით კი ერთმანეთს ელიტაში დარჩენისთვის ბრძოლის უშუალო კონკურენტები ხვდებიან. ფრანკებს **ანდრეას ვოლფი** დააკლდებათ (დისკვალიფიკაცია), "ჰანზას" კი არც **გლედსონი** ეყოლება, არც **აგალი** (დისკვალიფიკაცია) და არც **ჰენგე** (გრიპი).

ახლა კი კვირის სუპერმატჩებზე გადავიდეთ. "შალკე", რომელმაც მეორე წრე იდეალურად დაიწყო ("შტუტგარტი" გაანადგურა), მოსისხლე მტრის ბანაკში უმთავრესი გოლეადორის, **კევინ კურანის** გარეშე ჩავა. ეს გახლავთ რურის რიგით 72-ე დიდი დერბი, რომელშიც კურანი იმის გამო ვერ ითამაშებს, რომ წინა ტურში მაისურის გახდისთვის მე-5 ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია. ამ უკანასკნელს ალბათ, **სიორენ ლარსენი** შეცვლის, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ **მირკო სლომკა ვისენტე სანჩესს** ენდოს. ალბათ გახსოვთ, შარშან სწორედ "დორტმუნდი" იყო ის გუნდი, რომელმაც "შალკეს" ჩემპიონობისკენ გზა გადაუკეტა (2:0). ამიტომაც, გელზენკირხენულ კლუბს დორტმუნდში ბოლო სტუმრობა ძალიან ცუდ მოგონებებს აღუძრავს. BVB-ს კაპიტანი **კრისტიან ვიორნსი** იმედოვნებს, რომ "ბორუსია" ამ გუნდის ფანებისთვის უხსენებელ "შალკეს" ისევ გაამწარებს. **ლევან კობიაშვილი,** სავარაუდოდ, ისევ მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ითამაშებს - ყოველ შემთხვევაში **პეტერ ლოვენკრანდსი** ჯერ არ გამოჯანმრთელებულა. ეს გუნდები ერთმანეთს სულ 71-ჯერ შეხვდნენ. ბალანსი თითქმის თანაბარია - "ბორუსია" "შალკეს" ოდნავ სჯობნის: 26 თამაში BVB-მ მოიგო, 21 ფრედ დასრულდა, 24 შეხვედრაში კი გელზენკირხენელებმა იმარჯვეს. რაც შეეხება "ვესტფალენშტადიონზე" გამართულ დუელებს - 17 თამაში "ბორუსიამ" მოიგო, 10 ფრედ დასრულდა, 8 შეხვედრაში კი შალკელებმა იმარჯვეს.

სავარაუდო შემადგენლობები:

**ბორუსია (დ)**: ციგლერი, რუკავინა, ამედიკა, კოვაჩი, დედე, კელი, კრინგე, ტინგა, ფედერიკო, პეტრიჩი, კლიმოვიჩი (ან ფრაი).

**შალკე**: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ფ. ერნსტი, რაკიტიჩი, კობიაშვილი, ასამოა, ლარსენი.

იმ შემთხვევაში, თუ "ბაიერნი" "ვერდერს" დაამარცხებს, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უდიდეს ფორას მოიპოვებს, რომლის აღმოფხვრაც ბრემენელებს ძალიან გაუჭირდებათ. ერთი სიტყვით, თუ "ვერდერს" ჩემპიონობის ამბიცია აქვს და ამ მიზნის მიღწევა შეუძლია, ხვალ მიუნხენში მინიმუმ არ უნდა დამარცხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეკორდმაისტერი 6 ქულით დაწინაურდება, რაც, დაგვეთანხმებით, რომ დიდი უპირატესობაა. მიუნხენურ კლუბს ტრავმის გამო **ფრანკ რიბერი** გამოაკლდა, "მუსიკოსებს" კი **ნალდო** ჰყავთ დისკვალიფიცირებული. რიბერის ალტერნატივა "ბაიერნში" **ბასტიან შვაინშტაიგერია, თომას შააფი** კი, დაცვის ცენტრში ალბათ, **პეტრი პასანენს** გადასწევს, მარჯვენა ფლანგზე კი **მარტინ ჰარნიკს** გაამწესებს. არის **პატრიკ ოვომოიელას** ვარიანტიც. დაბოლოს: ბრემენელი **ტიმ ბოროვსკი** თავისი მომავალი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს - როგორც იცით, ამ უკანასკნელმა რეკორდმაისტერთან უკვე გააფორმა წინასწარი კონტრაქტი.

სავარაუდო შემადგენლობები:

**ბაიერნი**: კანი, სანიოლი, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ჰამით ალთინთოფი, ვან ბომელი, ზე რობერტო, შვაინშტაიგერი, კლოზე, ტონი.

**ვერდერი**: ვიზე, ჰარნიკი, მერტეზაკერი, პასანენი, ტოშიჩი, ბაუმანი, დ. იენსენი, ბოროვსკი, დიეგო, ჰანტი, როზენბერგი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 18 | 11 | 6 | 1 | 33-9 | 39 |
| 2. ვერდერი | 18 | 11 | 3 | 4 | 43-26 | 36 |
| 3. ლევერკუზენი | 18 | 10 | 3 | 5 | 35-18 | 33 |
| 4. ჰამბურგი | 18 | 9 | 6 | 3 | 25-14 | 33 |
| 5. შალკე | 18 | 8 | 8 | 2 | 30-18 | 32 |
| 6. კარლსრუე | 18 | 9 | 4 | 5 | 21-21 | 31 |
| 7. ჰანოვერი | 18 | 8 | 4 | 6 | 28-29 | 28 |
| 8. აინტრახტი | 18 | 6 | 8 | 4 | 22-23 | 26 |
| 9. შტუტგარტი | 18 | 8 | 1 | 9 | 25-29 | 25 |
| 10. ვოლფსბურგი | 18 | 6 | 5 | 7 | 31-30 | 23 |
| 11. ბოხუმი | 18 | 6 | 4 | 8 | 27-28 | 22 |
| 12. ბორუსია (დ) | 18 | 6 | 4 | 8 | 29-33 | 22 |
| 13. ჰერტა | 18 | 6 | 2 | 10 | 19-27 | 20 |
| 14. არმინია | 18 | 5 | 3 | 10 | 19-39 | 18 |
| 15. ჰანზა | 18 | 5 | 2 | 11 | 17-28 | 17 |
| 16. ნიურნბერგი | 18 | 4 | 3 | 11 | 21-30 | 15 |
| 17. კოტბუსი | 18 | 3 | 6 | 9 | 19-30 | 15 |
| 18. დუისბურგი | 18 | 4 | 2 | 12 | 17-29 | 14 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დიეგო: იუვეს ვუნდივარ, იუვეში მინდა!

## ვერდერის ბრაზილიელმა ვარსკვლავმა იტალიურ გაძეტა დელო სპორტს დიდი საიდუმლო გაუმხილა...



დიეგო

"ბაიერნთან" უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ, რომელიც, ასე ვთქვათ, გერმანიის ჩემპიონატის ნაადრევი ფინალია, "ვერდერის" გულშემატკივრებმა შოკისმომგვრელი ინფორმაცია შეიტყვეს. ინფორმაციის წყარო იტალიური გამოცემა "გაძეტა დელო სპორტია", რომლის გუშინდელ ნომერში ბრემენული კლუბის 22 წლის გამთამაშებლის ინტერვიუ გამოქვეყნდა. დიეგო ბრემენიდან წასვლაზე და ტურინის "იუვენტუსში" გადაბარგებაზე საუბრობს!

*"დასამალი არაფერია, ძალიან ვარ იმით დაინტერესებული, რომ კარიერა "იუვენტუსში" გავაგრძელო,"* - ამბობს ბრაზილიელი მსოფლიოში სახელგანთქმული იტალიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, რაც ბრემენი ქომაგებისთვის და უშუალოდ "ვერდერის" ხელმძღვანელობისთვის შოკისმომგვრელი განცხადებაა.

ბრაზილიელი ბრემენულ კლუბში მეორე სეზონია თამაშობს და როგორც ირკვევა, ახლა იტალიაში გადასვლა სურს. ის, რომ "იუვენტუსი" ახალგაზრდა ბრაზილიელით იყო დაინტერესებული, ადრეც არაერთხელ გაცნობეთ, მაგრამ საქმე კონკრეტიკამდე არასდროს მისულა. მეტიც, დიეგო გერმანული გაზეთებისთვის მიცემულ ინტერვიუებში რეგულარულად იმეორებდა, ბრემენში თავს იდეალურად ვგრძნობ და გამორიცხული არაა, რომ "ვერდერთან" კონტრაქტი გავაფორმოო. ამასთან, ყველამ იცის, რომ მისი ოცნება მადრიდის "რეალში" თამაშია. ისე, დაახლოებით ასეთივე შინაარსის მასალა ამას წინათ "გაძეტა დელო სპორტში" **რაფაელ ვან დერ ვაარტზეც** გამოქვეყნდა, სადაც "ჰამბურგის" ჰოლანდიელი ლიდერი ამბობდა, "იუვეს" უკვე შევუთანხმდიო, მაგრამ მერე ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, იტალიელმა ჟურნალისტებმა ეს ყველაფერი გამოიგონესო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიეგოს ინტერვიუც გამოგონილია. მაშ, რა ეშველება "ვერდერს"? "მუსიკოსებისთვის" დიეგოს დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება. ფაქტი ის გახლავთ, რომ ბრაზილიელი ვან დერ ვაარტისგან განსხვავებით, აბსოლუტურად კორექტულად იქცევა, რასაც მისი შემდგომი განცხადებაც მოწმობს.

*"ერთი სიტყვით, ჩემთვის ცნობილია, რომ "იუვეს" ჩემი შეძენა უნდა. ასეთ შემთხვევაში ტურინელებმა პირდაპირ "ვერდერს" უნდა მიმართონ. თუკი გუნდები შეთანხმდებიან, ტრანსფერი განხორციელდება, რადგან კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ "იუვეში" გადასვლით დაინტერესებული ვარ და ასეთი დონის კლუბში თამაშზე უარს არ ვიტყოდი. მოკლედ, თუ "იუვენტუსი" "ვერდერს" მოურიგდება, ჩემს შემთხვევაში პრობლემა არ შეიქმნება - "ბებერ ქალბატონთან" კონტრაქტს სიამოვნებით გავაფორმებ,"* - ამბობს დიეგო ხსენებულ ინტერვიუში.

აგერ უკვე მეორე სეზონია, რაც ბრაზილიელი ბრემენელ ქომაგებს თავისი თამაშით აღაფრთოვანებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიეგო "ვერდერის" ბრილიანტია, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ის ბრემენელი ფანების უსაყვარლესი ფეხბურთელია, რომელსაც ყველაფერს პატიობენ, რომლისთვისაც ყველაფერი დასაშვებია. მაგრამ დიეგოს ეს პრიორიტეტები ბოროტად არასდროს გამოუყენებია - ყოველთვის კორექტულად იქცევა ხოლმე. ერთადერთი, რის გამოც ბრაზილიელი მიმდინარე სეზონში უკმაყოფილოა, გახლავთ ის, რომ "ვერდერი" ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა. "იუვეში" კი ყველაფერი სხვანაირად უნდა იყოს. დიეგო: *"ძალიან მინდა, ტურინელებმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვონ, რათა მომდევნო სეზონში ამ ტურნირის მოგება შესაძლებელი იყოს!"* შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ განცხადებების წაკითხვის შემდეგ "ვერდერის" გენერალურ მენეჯერ **კლაუს ალოფსს** მინიმუმ მიკრო-ინფარქტის ნიშნები ექნებოდა.

"ვერდერი" თავისი ათიანის სანაცვლოდ 35 მილიონ ევროს ითხოვს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ბრემენელებმა ორი წლის წინათ დიეგო სულ რაღაც 5 მილიონად იყიდეს. მართალია, 35 მილიონი დიდი ფულია, მაგრამ დიეგოს შეცვლა "ვერდერისთვის" ურთულესი, თითქმის წარმოუდგენელი იქნება.

ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში ბრაზილიელი იმაზეც საუბრობს, რომ მას "ვერდერთან" უთანხმოება არ სურს. *"იუვენტუსის" ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ, რომ ბრემენში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. უნდა იცოდნენ, რომ ბრემენულ კლუბთან ჩხუბს არაფრისდიდებით არ დავიწყებ. ყველაფერი სუფთად და კანონების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ჩემი მხრიდან სხვანაირი მოქცევა წარმოუდგენელია, "ვერდერის" მიმართ ყოველთვის კორექტული ვიქნები, რადგან ეს არის გუნდი, სადაც სუპერვარსკვლავად ჩამოვყალიბდი, საიდანაც მსოფლიომ გამიცნო. და ეს არის გუნდი, რომელთანაც კონტრაქტი 2011 წლამდე მაკავშირებს,"* - აცხადებს დიეგო.

ინტერვიუს ბოლოს ბრაზილიელი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ "იუვენტუსის" დაინტერესება მისთვის დიდი პატივია და რომ მისი "იუვეში" ტრანსფერი რეალურია. ფაქტია, რომ ამ ამბავს გაგრძელება ექნება...

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXIII ტურის წინ

# რეალსა და ბარსას საკადრო პრობლემები დაუგროვდათ

**დღეს**

მურსია-ვილიარეალი
დეპორტივო-ხეტაფე
სევილია-ბარსელონა

**ხვალ**

რასინგი-ატლეტიკო
ოსასუნა-სარაგოსა
ბილბაო-ლევანტე
მალიორკა-ალმერია
ესპანიოლი-რეკრეატივო
რეალი-ვალიადოლიდი
ვალენსია-ბეტისი

პრიმერა დივიზიონის მორიგი ტური მორიგ იმედებთანაა დაკავშირებული. გასული უქმეების შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატში ინტრიგა გაცოცხლდა. "რეალმა" წააგო, "ბარსელონამ" მოიგო. ამ ყველაფრის შედეგად კი პირველ და მეორეადგილოსნებს შორის არსებული სხვაობა 9 ქულიდან ექვსამდე შემცირდა. გამორიცხული არ არის, დღევანდელი და ხვალინდელი შეხვედრების შემდეგ გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ცვლილება ვიხილოთ. თუმცა, ამ ეტაპზე ვერავინ იტყვის, ცვლილების შემთხვევაში რომელი გუნდი იხეირებს.

**ბერნდ შუსტერი** შეგირდებს ჩვეული სიმშვიდითა და აუღელვებლობით ამზადებდა. თუმცა, გერმანელ სპეციალისტს სამედიცინო შტაბმა უსიამოვნო ინფორმაცია მიაწოდა და მას განწყობა გაუფუჭდა. **გუტიმ** გუშინდელ ვარჯიშზე ფეხი იტკინა და მუშაობა შეწყვიტა. შუსტერს იმედი ჰქონდა, რომ სახიფათო არაფერი იყო, თუმცა სამეფო კლუბის ერთ-ერთი ექიმი შეშფოთებას ვერ მალავს: *"ხოსე მარიას მარცხენა ტერფის მყესები დაეჭიმა. ეს ძალიან მტკივნეული ტრავმაა და ხშირ შემთხვევაში რამდენიმეკვირიან მკურნალობას საჭიროებს. იმედია, საქმე ამდენად არ გართულდება, თუმცა სერიოზული საფრთხე არსებობს, რომ მან კვირას "ვალიადოლიდს" წინააღდეგ თამაში ვერ შეძლოს. მთავარი მწვრთნელი, რა თქმა უნდა, უმალ საქმის კურსში ჩავაყენეთ. მან იცის, რომ შესაძლოა, გუტი ვერ ათამაშოს."*

იმავე ვარჯიშის მინურულს ტკივილმა **რაული** და **მიჩელ სალგადოც** შეაწუხეს. თავდამსხმელმა და მცველმა მოედანი კოჭლობით დატოვეს, თუმცა მოგვიანებით ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ ცხადჰყო, რომ მათ ტრავმა არ მიუღიათ. უბრალოდ, ორთაბრძოლებისას შეჯახებისგან წვივის ძვალი იტკინეს. იმ შემთხვევაში, თუ ხოსე მარია გუტიერესი გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს, "რეალის" მთავარ მწვრთნელს მის ნაცვლად **ჟულიო ბაპტიშტას** გამოყვანა მოუწევს. შუსტერს ერთი დილემაც აქვს მოსაგვარებელი. ჰერ ბერნდი გულწრფელად ამბობს, **დიარასა** და **გახოს** შორის საუკეთესოს არჩევა ძალიან მიჭირსო.

საკადრო პრობლემები აქვს **ფრენკ რაიკაარდსაც**. სასწაული თუ არ მოხდა, "სევილიასთან" გასვლით შეხვედრაში ჰოლანდიელი სპეციალისტი **ბოიან კრკიჩსა** და **ჯანლუკა ძამბროტას** ვერ დაიხმარს. ბოიანის მწვავე ფალარათს საშველი არ დაადგა. მას ისევ კუჭი აქვს აშლილი და ასეთ მდგომარეობაში ფეხბურთს, რა თქმა უნდა, ვერ ითამაშებს. ძამბროტას რაც შეეხება, ის იტალიის ნაკრების ამხანაგურ შეხვედრაში დაშავდა. აპენინელ მცველს ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. ჯანლუკას სავარაუდოდ, **ოლეგერი** შეცვლის. ბოიანის ნაცვლად კი ალბათ, **ჯოვანი დოს სანტოსი** იასპარეზებს. სპეციალისტებმა ვერაფრით დაადგინეს, დააყენებს თუ არა რაიკაარდი **რონალდინიოს** ძირითად შემადგენლობაში.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 22 | 17 | 2 | 3 | 46-18 | 53 |
| 2. ბარსელონა | 22 | 14 | 5 | 3 | 41-14 | 47 |
| 3. ესპანიოლი | 22 | 11 | 6 | 5 | 32-24 | 39 |
| 4. ვილიარეალი | 22 | 12 | 3 | 7 | 40-34 | 39 |
| 5. ატლეტიკო | 22 | 11 | 5 | 6 | 36-23 | 38 |
| 6. რასინგი | 22 | 9 | 7 | 6 | 23-23 | 34 |
| 7. სევილია | 22 | 10 | 2 | 10 | 41-30 | 32 |
| 8. ალმერია | 22 | 9 | 5 | 8 | 20-21 | 32 |
| 9. ვალენსია | 22 | 9 | 3 | 10 | 24-33 | 30 |
| 10. სარაგოსა | 22 | 7 | 8 | 7 | 35-35 | 29 |
| 11. მალიორკა | 22 | 6 | 9 | 7 | 32-34 | 27 |
| 12. ვალიადოლ. | 22 | 7 | 6 | 9 | 30-34 | 27 |
| 13. ხეტაფე | 22 | 8 | 3 | 11 | 27-31 | 27 |
| 14. ბეტისი | 22 | 6 | 7 | 9 | 23-31 | 25 |
| 15. ბილბაო | 22 | 5 | 8 | 9 | 19-23 | 23 |
| 16. ოსასუნა | 22 | 6 | 5 | 11 | 23-28 | 23 |
| 17. დეპორტივო | 22 | 6 | 5 | 11 | 23-33 | 23 |
| 18. მურსია | 22 | 5 | 8 | 9 | 20-31 | 23 |
| 19. რეკრეატივო | 22 | 5 | 7 | 10 | 18-30 | 22 |
| 20. ლევანტე | 22 | 3 | 4 | 15 | 17-40 | 13 |

ბარსელონა

# დეკუ: რეალის გამწარებაზე არ ვფიქრობთ

## რა ბედი ელის რაიკაარდს? მოურინიო ლაპორტას ზარს ელოდება, პორტუგალიელი დიდი ხნით მოცდას არ აპირებს...

პრიმერა დივიზიონის წინა ტურში განვითარებული მოვლენები აქტუალობას დღემდე არ კარგავს. მოგეხსენებათ, "ალმერიასთან" მადრიდის "რეალის" წაგებისა და "ოსასუნასთან" "ბარსელონის" გამარჯვების გამო, ესპანეთის ჩემპიონატმა ინტრიგა დაიბრუნა. კატალონიური გრანდი მადრიდულ გიგანტს ახლა ექვსი ქულით ჩამორჩება. გაცოცხლებული ინტრიგა ჟურნალისტებს მოსვენებას არ აძლევს. ისინი ცდილობენ, მკითხველებს სამეფო კლუბისა და "ბარსას" ფეხბურთელების განწყობის შესახებ სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია.

ამჯერად "დიარიო მარკას" კორესპონდენტი **მანუ საინსი დეკუს** გაესაუბრა. ალმოჩნდა, რომ პორტუგალიელ ვარსკვლავს პრიმერა დივიზიონის წინა ტურში განვითარებულმა მოვლენებმა ჩემპიონის ტიტულის მოპოვების იმედი გაუღვიძა. არადა, 9-ქულიანი ჰანდიკაპის პირობებში დეკუს ოპტიმიზმი ფაქტობრივად, გაქარწყლებული ჰქონდა. 21-ე ტურის შემდეგ მან პირდაპირ და დაუფარავად განაცხადა, ვგონებ, დღეს ბევრი რამ გაირკვა. სასწაული უნდა მოხდეს, "რეალს" რომ გავუსწროთ და პირველი ადგილი დავიკავოთო... მაგრამ გავიდა სულ რაღაც ერთი კვირა და **ბერნდ შუსტერის** ბიჭებმა სრულიად მოულოდნელად "ალმერიასთან" წააგეს: *"გულწრფელად გეტყვით, არ მეგონა, თუ "ალმერია" ასეთ საჩუქარს გაგვიკეთებდა. ბუნებრივია, ანდალუსიელები საკუთარ თავზე ფიქრობდნენ და ჩვენი ინტერესი საერთოდ არ აღელვებდათ, მაგრამ ფაქტია, ამ გამარჯვებით "ბარსელონას" ესპანეთის ჩემპიონობის რეალური შანსი მიეცა. ახლა თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ პრიმერა დივიზიონში გარკვეული არაფერია. რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ, მხოლოდ საკუთარ თავზე არ ვართ დამოკიდებულები. "ბარსამ" კარგად უნდა ითამაშოს, ქულები მოიპოვოს და იმედი იქონიოს, რომ სამეფო კლუბი კიდევ არაერთ შეხვედრაში წაიფორხილებს. შეუძლებელი მართლაც არაფერია. "ალმერიასთან" მადრიდელების წაგებამ განწყობა გაგვიუმჯობესა და არნახული ოპტიმიზმი შეგვძინა. ახლა მთავარია, ჩვენ აღმოვჩნდეთ მონოდების სიმაღლეზე. თუ საკუთარ შეხვედრებს ვერ მოვიგებთ, ყველაფერი ფუჭი გახდება. "ოსასუნასთან" საშინაო დაპირისპირებაში ბეწვის ხიდზე გავიარეთ. პირველ ტაიმში უდიდეს უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ვერ გავიტანეთ. შესვენების შემდეგ კი სახიფათო მომენტების შექმნა გაგვიჭირდა. მადლობა ღმერთს, ჩავიმ საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე გაიტანა. წარმოდგენაც არ მინდა, რა მოხდებოდა, ეს გოლი რომ არ გასულიყო."*

"დიარიო მარკას" კორესპონდენტმა დეკუს ბარსელონელი ფეხბურთელების მდგომარეობაზე ჰკითხა. პორტუგალიელმა თავად აღნიშნა, რომ გუნდს "ოსასუნას" დამარცხება ძალიან გაუჭირდა, თუმცა ამის მიუხედავად, ის ფიქრობს, რომ კატალონიური გრანდი აღმავლობის გზაზე იმყოფება: *"2007 წლის მიწურულს ბევრი შეცდომა დავუშვით, რაც ძალიან ძვირად დაგვიჯდა. ყველაზე მტკივნეული, რა თქმა უნდა, "კამპ ნოუზე" გამართული სუპერკლასიკოს წაგება გახლდათ. საბედნიეროდ, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ვფიქრობ, "ბარსა" გაცილებით უკეთ თამაშობს. ბილბაოში დაკარგული ორი ქულა აზრს ვერ შემაცვლევინებს, თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ "სან მამესზე" განცდილი წარუმატებლობა უაღრესად მტკივნეული იყო. ჩემი აზრით, "ბარსელონა" ახლა შეუდარებლად ძლიერია. გუნდი ნელ-ნელა იბრუნებს სასურველ კონდიციებს. ფრენკ რაიკაარდს წამყვანი მოთამაშეები დაუბრუნდნენ. დასამალი არ არის, რომ მესისა და რონალდინიოს გარეშე "ბარსა" სხვა გუნდია. სადაცაა, სამუელ ეტოოც დაგვიბრუნდება. მისი კამერუნი აფრიკის თასის ფინალში გავიდა. ბედნიერი ვიქნები, თუ სამუ ტიტულით დაგვიბრუნდება. აღსანიშნავია, ტიერი ანრის გასაოცარი პროგრესიც. ფრანგი ფორვარდი ახალ გარემოს თითქმის ბოლომდე შეეგუა. დამეთანხმებით, ის უაღრესად პოზიტიურ როლს ასრულებს. ეტოოს არყოფნის მუხედავად, მიმაჩნია, რომ იანვარში "ბარსელონამ" სერიოზული პროგრესი განიცადა. მჯერა, მომავალში კიდევ უფრო კარგად ვითამაშებთ."*

მანუ საინსი დარწმუნებული გახლდათ, რომ "რეალის" გამწარების, მასზე რევანშის აღების სურვილი "ბარსელონას" ფეხბურთელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. ის ფიქრობდა, რომ სწორედ ეს წყურვილი შეაძლებინებდა მათ საბრძოლოდ განწყობას... თუმცა გაირკვა, რომ დეკუსა და მის თანაგუნდელებს "რეალის" გამწარება ფიქრადაც არ მოსდით: *"არავითარი რევანში, არავითარი გამწარება! ღრმად მწამს, რომ ამ მიმართულებით სიარული ჩიხში მოგვაქცევს. არ შეიძლება მიზნად ვინმეს გამწარება დაისახო. ჩვენი მიზანი ესპანეთის ჩემპიონობაა. "ბარსა" სწორედ ამ მიზნისკენ იმოძრავებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მთავარი კონკრეტული მატჩების მოგებაა. თუ ყველა შეხვედრაში გავიმარჯვებთ, ჩემპიონები გავხდებით. "რეალი" აუცილებლად დაკარგავს ქულებს. აი, ეს განსხვავებაა მიზანსწრაფულობასა და შურისმაძიებლობას შორის. შურისძიების წყურვილით შეპყრობილი ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი ვერასოდეს ავა უმაღლეს მწვერვალზე. ნებისმიერ საქმეს შრომა და სიყვარული სჭირდება. სხვების გამწარებას კი ამასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია."*

ამასობაში, ესპანურ მედიაში **ჟოზე მოურინიოს** "კამპ ნოუზე" შესაძლო მისვლასთან დაკავშირებით ახალი სტატიები გაჩნდა. ამასწინათ თქვენს სამსჯავროზე **ჟოან ლაპორტას** ის განცხადება გამოვიტანეთ, რომელიც **ფრენკ რაიკაარდისადმი** ერთგულებას შეეხებოდა. კატალონიური გრანდის პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვნად თქვა, ჰოლანდიელ სპეციალისტს უსიტყვოდ ვენდობით და მის გაშვებას არ ვაპირებთო. მიუხედავად ამისა, რაიკაარდის მოურინიოთი შეცვლაზე საუბარი არა და არ წყდება.

"დიარიო მარკას" მტკიცებით პორტუგალიელი მწვრთნელი თანახმაა "ბარსელონასთან" მოლაპარაკება დაიწყოს და კონტრაქტიც გააფორმოს. როგორც ამბობენ, გარიგება მხოლოდ ორი მიზეზის გამო შეიძლება ჩაიშალოს. თუ ლაპორტა ძალიან დაბალ ხელფასს შესთავაზებს და თუ კონკრეტული წინადადება დიდ ხანს დააგვიანებს. თურმე, სეუ ჟოზე ყოველ დღე ელოდება "ბარსელონას" პრეზიდენტის ზარს. მნიშვნელოვანია, რომ სახელგანთქმული სპეციალისტი მალე გაერკვეს სიტუაციაში. ის უსასრულოდ მოცდას არ აპირებს. ცნობილია, რომ მოურინიოს "ბარსას" გარდა სხვა ევროპული გრანდებიც იწვევენ. თუ პორტუგალიელი კატალონიელებს გამოეკიდება და ბოლოს მათგან უარს მიიღებს, უმუშევარი დარჩება, რადგან სხვა კლუბები მას უსასრულო დროს არ მისცემენ. ასე რომ, ბატონმა ლაპორტამ გადაწყვეტილება მალე უნდა მიიღოს. პრეზიდენტს პრიმერა დივიზიონში გამარჯვების იმედი ჯერაც არ დაუკარგავს. ის დარწმუნებულია, რომ "ბარსას" ჩემპიონთა ლიგაში სერიოზული შანსები აქვს. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს სენიორ ჟოანის მთავარ პრობლემას. ის ჭოჭმანობს და არ იცის, როგორი ნაბიჯი გადადგას. ერთი მხრივ სურს, რაიკაარდს დრო მისცეს. ჰოლანდიელმა გუნდის შესაძლებლობების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობს და ვინ იცის, იქნებ შეძლოს "რეალთან" არსებული ჰანდიკაპის ამოქაჩვა. იქნებ, ჩემპიონთა ლიგაში მართლაც მიაღწიოს დიდ წარმატებას. ამ შემთხვევაში მისი გაშვება და მოურინიოს დანიშვნა, რა თქმა უნდა, დიდი სისულელე იქნება... თუმცა მეორე მხრივ, ცხადია, არსებობს აბსოლუტურად საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ რაიკაარდი ამ ყველაფერს ვერ შეძლებს და მისი მთავარი მწვრთნელის პოსტზე დატოვება გუნდს კიდევ უფრო დააზარალებს მაგრამ იმ დროისთვის მოურინიოს დანიშვნა შეუძლებელი იქნება, რადგან სეუ ჟოზე, სავარაუდოდ, უკვე სხვა გუნდის თავკაცის თანამდებობაზე იმუშავებს. მოკლედ, დილემა აშკარად არსებობს. პრეზიდენტი კი იმისთვისაა, რომ ამაზე რთული მდგომარეობიდანაც კი მარტივი გამოსავალი მონახოს.

"ბარსელონაზე" საუბარს კიდევ ერთი ახალი ინფორმაციით გავაგრძელებთ. "ელ პერიოდიკო დე კატალუნიის" სტატიაში ვკითხულობთ, რომ ამიერიდან **რონალდინიო** "ბარსას" ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი აღარ არის. საქმე მსოფლიო მასშტაბის პოპულარობას ეხება. გაუჩოს პირველობა **ლეო მესიმ** ჩამოართვა. ინტერნეტ გვერდის, www.lalistawip.com-ის მტკიცებით, პლანეტის სხვადასხვა ქვეყნის გულშემატკივართა კერპი სწორედ არგენტინელია. ამ ვებ-გვერდის მესვეურები სისტემატურად აწარმოებენ გამოკითხვებს სხვადასხვა დარგის ყველაზე პოპულარული ადამიანების გამოსავლენად. სხვათა შორის, რონალდინიოს პოპულარობის დაკნინებაზე "ბარსელონის" ოფიციალური მაღაზიის ვაჭრობის მონაცემებიც ნათლად მეტყველებს. დღეს ქომაგები ყველაზე ხშირად მესის მაისურას ყიდულობენ. მეორე ადგილზე **ტიერი ანრია**. გაუჩო მხოლოდ მათ შემდეგ მოდის. არადა, ჯერ კიდევ შარშან ბრაზილიელი ამ თვალსაზრისით ულაპარაკო ლიდერი გახლდათ. რამდენიმე თვეში რონალდინიოს მაისურებით ვაჭრობამ 40 პროცენტით იკლო.

www.lalistawip.com-ს დავუბრუნდებით და მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ვებ-გვერდის ცნობით, მესი გაუჩოს ინტერნეტ რეკლამების რაოდენობითაც ჯობნის. ინტერნეტ რეკლამაში ვებ-გვერდი ორ რამეს გულისხმობს: 1. კომერციული კონტრაქტები. ლეოს საკმაოდ სოლიდურ თანხას უხდიან, რათა დაინტერესებულ პირებს უფლება



დეკუ

მისცეს, მისი ფოტოები საკუთარი ინტერნეტ ვებგვერდებისა, თუ გამოცემის პოპულარიზაციისთვის გამოიყენონ. 2. მესის აბსოლუტურად უანგარო პოპულარიზაცია. ბანალურად და პრიმიტიულად რომ ვთქვათ, ინტერნეტ გვერდებზე ყველანაირი ფინანსური დაინტერესების გარეშე წერენ, რომ არგენტინელი ფორვარდი საუკეთესოა საუკეთესოთა შორის. მოკლედ, "ბარსას" ახალგაზრდა გენიალური თავდამსხმელი დიდი ნაბიჯებით მიიწევს წინ და რონალდინიოს შანსს აღარ უტოვებს. თუმცა მას დასამარცხებელი მეტოქე ჯერაც ჰყავს. მესის პირველობას **დევიდ ბექჰემი** ეცილება. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელი ელიტარული ფეხბურთიდან წავიდა და დაბალი დონის MLS-ში გადაბარგდა, პოპულარობასა და შემოსავლებს არ ჰკარგავს.

"ბარსელონაზე" საუბარს **დიდიე დროგბასთან** დაკავშირებული ამბით დავასრულებთ. მოგეხსენებათ, კოტიუარელმა ფორვარდმა ამ რამდენიმე ხნის წინათ განაცხადა, კარიერას სავარაუდოდ "მილანში", ან "ბარელონაში" გავაგრძელებო. ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **ჩიკი ბეგირისტაინი** "ჩელსის" მესვეურებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, თუმცა გუშინ "დიარიო ასში" გამოქვეყნებულმა წერილმა ყველაფერს ნათელი მოფინა. ბეგირისტაინი დროგბას თაობაზე "არისტოკრატებს" მართლაც დაუკავშირდა, მაგრამ მოლაპარაკებები არ დაწყებულა. კატალონიური გრანდის ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ დიდიეს გადაბირება არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს, რადგან ისინი **ბოიან კრკიჩზე** აკეთებენ არჩევანს. ლაპორტასა და ბეგირისტაინს სჯერათ, რომ ახალგაზრდა ფორვარდი "ბარსას" მრავალ სიკეთეს მოუტანს. ასე რომ, "დიარიო ასის" თქმით, ბარსელონელებმა აფრიკელის შეძენა გადაიფიქრეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

მამები და შვილები

# ფეხბურთი, როგორც ოჯახური ტრადიცია

## მალდინების დინასტია მალე გაგრძელდება, ჩეზარე შვილიშვილს უფრო დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს...

**სულ ცოტა ხნის წინათ, "ინტერის" თავკაცმა რობერტო მანჩინიმ მისი 17 წლის შვილი ფილიპო იტალიის თასზე, „რეჯინასთან" 3:0-ზე მოგებულ მატჩში, საკუთარი გუნდის განაცხადში შეიყვანა და თამაშის ბოლო 10 წუთი მოედანზე გამოსვლის შანსიც მისცა. ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, დადგება თუ არა შვილი მამის მსგავსი დიდი ფეხბურთელი, მაგრამ ფაქტი მაინც საყურადღებოა. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ თინეიჯერი ფეხბურთელი უკვე ლეგიონერი გახდა. სეზონის მეორე ნახევრიდან ის "მანჩესტერ სიტის" ღირსებას დაიცავს. მოდით, გავიხსენოთ სხვა იტალიური საფეხბურთო დინასტიებიც: ლორენცო და ჯანლუიჯი ბუფონები, ჩეზარე და პაოლო მალდინები, ფაბიო და კარლო კუდიჩინები, ასევე სხვებიც.**





მალდინების საფეხბურთო დინასტიის სამი თაობა: კრისტიანი, დინასტიის მამამთავარი ჩეზარე და პაოლო

ოჯახური საქმე - თავისი ბუნებით ეს ძალიან იტალიურია. ოჯახური ტრადიციებით სიამაყე არა მხოლოდ იტალიურ ფეხბურთს შეუძლია. ის ფესვგადგმულია ყველგან. თავის დროზე საკმაოდ კარგ ფეხბურთელად ითვლებოდა **რობერტო ვიერი**, მან მოასწრო და ითამაშა "ფიორენტინაში: "სამპდორიაში", "იუვენტუსსა" და "ბოლონიაში". ფეხბურთს თამაშობენ მისი შვილებიც, **მაქსი** ამჟამად სერია C1-ის "კალჩო ლეჩეში" აგორებს ბურთს და ცოტა ხნის წინათ დებიუტიც ჰქონდა ავსტრალიის ნაკრებში, ხოლო **კრისტიანი** თქვენ ყველამ კარგად იცით. მან მამის გზა გაიმეორა და "იუვენტუსსა" და "ფიორენტინაში" გააგორა ბურთი, თუმცა ბარე ორი სხვა კლუბიც მიაყოლა.

**ბრუნო კონტის** შვილებიც თამაშობენ, მაგრამ იმდენად უნდილად, რომ მათზე დიდი ხანი შეჩერება დროის დაკარგვა იქნებოდა. ისინი "რომას" სისტემაში კონკურენტუუნაროები აღმოჩნდნენ: **ანდრეა** C1-ში თამაშობს, ხოლო **დანიელე** ცოტა უფრო მაღალ დონეზე - "კალიარიში".

**ლორენცო ბუფონი** გასული საუკუნის შუა ხანებში ასპარეზობდა. ის მილანური გრანდების კარის დარაჯი იყო და 16-ჯერ იტალიის ნაკრების კარის დაცვაც ანდეს. ის მართალია **ჯანლუიჯის** პირდაპირი წინაპარი არაა, მაგრამ ოჯახი იტალიური გაგებით ხომ ძალიან ფართოა. დონ ლორენცო თანამედროვეობის უდიდესი მეკარის ბაბუის ბიძაშვილია.

წინაპრების კვალს მისდევენ, თუ მისდევდნენ შემდეგი იტალიელი ფეხბურთელებიც: **კრისტიან პანუჩი, ალესანდრო მელი, მასიმო კრიპა**. ამ ქვეყანაში ყველაზე სახელგანთქმული საფეხბურთო გვარებია: **მაცოლა, კუდიჩინი** და **მალდინი**.

კუდიჩინების დინასტიას საფუძველი "ჩელსის" გოლკიპერის ბაბუამ ჩაუყარა. ის გასული საუკუნის შორეულ 20-იან წლებში სერია A-ს "ტრიესტინაში" ასპარეზობდა, ოღონდ მცველის პოზიციაზე და არცთუ დიდი წარმატებით. პირველად მათი საგვარეულო დროშა ამაყად **კარლოს** მამამ, შავი ხოჭოდ (Ragna nero) წოდებულმა **ფაბიო კუდიჩინიმ** ააფრიალა. თავიდან თითქოს ისე ჩანდა, რომ არც ფაბიო უნდა ყოფილიყო დიდი ხვითო, რადგან 31 წლამდე "რომას" ძირითადში მოხვედრას ვერ ახერხებდა, მერე ცოტა ხანი "ბრეშაში" წავიდა სათამაშოდ, მაგრამ მალე ბედი ენია და დიდმა **ნერეო როკომ** "მილანში" მიიწვია და 1969 წლის ჩემპიონთა თასის ტრიუმფში მისი წილი ძალიან დიდი იყო. ფაბიო ექვსი წლის განმავლობაში გახლდათ იმ დიდი გუნდის ძირითადი მეკარე, რაც თავისთავად მეტყველებს, რომ ის მაღალი დონის ოსტატი იყო. მიუხედავად მაღალი კლასისა, ფაბიოს იტალიის ნაკრებში არასოდეს უთამაშია, რადგან მის ეპოქაში ბევრად უფრო დიდი მეკარეები თამაშობდნენ, **დინო ძოფი** და **ენრიკო ალბერტოზი**.

არც კარლო ყოფილა ოდესმე ბედისგან განებივრებული. 1992-1997 წლებში პრაქტიკულად ის მხოლოდ ვარჯიშობდა, ამდენი ხნის განმავლობაში 55 თამაშის ჩატარებას სხვა რა უნდა უნოდო ადამიანმა? "მილანში" ის ჯერ **სებასტიანო როსის** დუბლიორობას სჯერდებოდა, ხოლო შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო და მკურნალობდა. „ლაციოშიც" სცადა მოწყობა, მაგრამ იქაც სკამზე დასვეს. მხოლოდ 1999 წელს, "ჩელსიში" გადაბარგების შემდეგ გაიცნო ის საფეხბურთო სამყარომ, მას შემდეგ რაც მან თამაში დაიწყო. ლონდონში მან ადვილად დაძლია ავსტრალიელი **მარკ ბოსნიჩისა** და ჰოლანდიელი **ედ დე გუის** კონკურენცია. 2001-02 წლების სეზონის დასრულების შემდეგ ის "ჩელსის" საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ხოლო 2002-03-ის შემდეგ უკვე პრემიერლიგის საუკეთესო მეკარედ. სწორედ მაშინ, როცა ის საუკეთესო ფორმაში იყო, ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და მინდორს ისევ დიდი ხნით ჩამოშორდა. 2004-05 სეზონში "ჩელსიში" **პეტრ ჩეხი** მოვიდა, რაც თავისთავად ნიშნავდა, რომ კარლო ისევ სათადარიგოთა სკამს უნდა დაბრუნებოდა. ლონდონში გატარებული 8 წლის შემდეგ მის ანგარიშზე სულ 131 თამაშია, რაც, დაგვეთანხმეთ, ძალიან ცოტაა. იმის მიუხედავად, რომ ჩეხის ხელში მას ძირითადში მოხვედრის პრაქტიკული შანსი არ აქვს, ის მაინც არ ფიქრობს კლუბის დატოვებას. მეტიც, რამდენიმე წლის წინ, უკვე სათადარიგოდ ქცეულმა იტალიელმა კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელა, რამაც პოპულარულ ბრიტანულ ტაბლოიდ "დეილი ტელეგრაფს" საფუძველი მისცა, დაეწერა, რომ კუდიჩინი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე უამბიციო ფეხბურთელიაო.

*"ის ერთი - ნახევარი გუნდია,"* - თქვა დიდი ხნის წინათ "ტორინოს" მცველმა **მარიო რიგამონტიმ** მისი გუნდის კაპიტან **ვალენტინო მაცოლაზე**. "ტორინომდე" ის სამი წელიწადი „ვენეციაში" თამაშობდა. იქ მან იტალიის თასი და ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. სწორედ "ბრინჯაოს სეზონის" შემდეგ გახდა მისი ტრანსფერი დიდი დავიდარაბის მიზეზი. მისით "იუვენტუსი" დაინტერესდა და ვენეციელებთან თითქმის სრულად შეათანხმა კიდევ პირობები... მაგრამ "ტორინომ" 200 ათასი ლირა და ორი ფეხბურთელი შესთავაზა. მათთვის ეს პირობები სიტყვიერ შეთანხმებაზე უფრო წონადი არგუმენტი აღმოჩნდა, რათა ვალენტინოს ბედი საბოლოოდ გადაეწყვიტათ. "ტორინო" მოწინააღმდეგეთა რისხვად გადაიქცა - 1943-დან მოყოლებული 1949 წლის ჩათვლით იტალიის ჩემპიონობა 5-ჯერ მოიპოვა. აქედან 1946-49 წელი ოთხჯერ ზედიზედ.

1949 წელს, ეს ლეგენდარული გუნდი **ჟოზე ფერეირას** გამოსათხოვარი მატჩიდან შინ ბრუნდებოდა, როცა უბედური შემთხვევა მოხდა და თვითმფრინავი ჩამოვარდა... მაშინ მისი ვაჟი **ალესანდრო (სანდრო) მაცოლა** სულ 7 წლის იყო. როცა ის 19 წლის გახდა, უკვე "ინტერში" ჩაირიცხა. მისი გუნდი ისტორიაში "დიდი ინტერის" სახელით შევიდა, მასთან ერთად გუნდში თამაშობდნენ **ლუის სუარესი, ტარსიზიო ბურგნიჩი, ჯაჩინტო ფაკეტი** და **ჟაირი** და რაც მთავარია, გუნდს **ელენიო ერერა** წვრთნიდა. სანდრო მაცოლამ 4-ჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი, ორჯერ ჩემპიონთა თასი და საკონტინენტთაშორისო თასი, ერთხელ კი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. "ინტერის" შემადგენლობაში ასპარეზობდა ვალენტინო მაცოლას მეორე შვილი **ფერუჩიოც**, მაგრამ ძმაზე ნაკლები წარმატებით. შვილს მამაზე წარმატებული გამოუვიდა კარიერა ეროვნულ გუნდშიც. სანდრომ 70 თამაში (22 გოლი) ჩაატარა, მაშინ როცა ვალენტინოს ანგარიშზე სულ 12 თამაში (4 გოლი) იყო. ნაკრებთან ერთად 1968 წელს სანდრო მაცოლამ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო 2 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა, სადაც **პელესა** და **ჟაირზინიოს** ბრაზილიასთან უშანსოდ დამარცხდა (1:4). აღსანიშნავია, რომ მუნდიალზე იტალიელთა ნაკრების თავკაცის **ფერუჩიო ვალკარეჯის** პოლიტიკამ დიდი ზიანი მოუტანა არამხოლოდ მის გუნდს, არამედ ზოგადად ფეხბურთსაც. ცოცხალი თავით ის ერთად არ აყენებდა მაცოლასა და მეორე მაესტროს, ასევე ლეგენდარულ **ჯანი რივერას**. მათ ერთმანეთის მხარდამხარ ექვსი თამაშიდან პრაქტიკულად მხოლოდ წაგებული ფინალური მატჩის ბოლო 8 წუთი ითამაშეს. ახლა სანდრო მაცოლა ტელეკომპაია RAI-ს ეთერში საფეხბურთო მატჩების ანალიტიკოსად მუშაობს.

სხვა იტალიურ არხზე მატჩების ანალიზს მეორე ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი, 75 წლის **ჩეზარე მალდინი** აკეთებს - ადამიანი, ვინც "მილანში" 12 წელიწადი ითამაშა და მხოლოდ კარიერის მიწურულს წავიდა "ტორინოში". ის ეჭვმიუტანელი ავტორიტეტით სარგებლობდა ფეხბურთელობისას. იყო როგორც "მილანის" ისე იტალიის ნაკრების კაპიტანი. ჩეზარე თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი გახლდათ. სამწვრთნელო კარიერა მან "მილანის" მეორე მწვრთნელად დაიწყო. მისი კარიერის საუკეთესო პერიოდი 1986-დან 1996 წლამდე გაგრძელდა, როცა ის უცვლელად ედგა სათავეში იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს, სადაც მან სამჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. ამის შემდეგ ის ეროვნულ გუნდსაც ჩაუდგა სათავეში და 1998 წლის ჩემპიონატზე გუნდი 1\4 ფინალში გაიყვანა, სადაც მასპინძლებთან შეხვედრაში პენალტების სერიაში დამარცხდნენ. შემდგომ ჩემპიონატზე კი ის პარაგვაის ედგა სათავეში და 1\8-ში გავიდა. იქ კი გერმანიამ 1:0 მოუგო.

1996-1998 წლებში, იმ იტალიის კაპიტანი რომელსაც ჩეზარე წვრთნიდა, მისი ვაჟი **პაოლო** იყო. სამწუხაროა, მაგრამ ნაკრებთან ერთად პაოლომ ვერაფერი ვერ მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ 126 თამაში ჩაატარა. ყველაზე მნიშვნელოვანი რასაც მან "აძურიში" მიაღწია, ეს იყო 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაში, სადაც მატჩი სულ ბოლო წუთებზე დათმო. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მან საბოლოოდ განაცხადა ნაკრებიდან წასვლის თაობაზე და მას შემდეგ აზრი აღარ შეუცვლია. ბედის ირონიას უნდა მივაწეროთ, რომ ბოლო პერიოდის ყველაზე დიდი იტალიელი ფეხბურთელი კარიერას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის გარეშე დაასრულებს. კარიერის დასრულების შესახებ პაოლო მეორე წელიწადია საუბრობს და წლეულს ალბათ ეს მოხდება კიდეც. სავარაუდოდ, "მილანის" 3-ნომრიანი კვართი ხმარებიდან დროებით ამოვა... ამაზე ოდნავ ქვემოთ. პაოლომ ეს პატივი ნამდვილად დაიმსახურა "მილანში" ჩატარებული 850-ზე მეტი მატჩით. მან 8-ჯერ მოიგო სკუდეტო, 5-ჯერ ჩემპიონთა ლიგა, 1994 წელს კი გახდა პირველი მცველი, ვინც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. რაც ყველაზე საინტერესოა, პაოლოს შვილი, 12 წლის **კრიტიან მალდინი** "მილანის" ბავშვთა გუნდში თამაშობს და წინაპრების დარად, ისიც მცველია. ბაბუა ჩეზარე ამაყად ამბობს, რომ კრისტიანი ბევრად უფრო ნიჭიერია, ვიდრე მე თავად და პაოლო ვიყავით ერთად აღებულიო. "მილანის" ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, მამის 3-ნომრიან მაისურას კრისტიანს შეუნახავენ. როგორც ჩანს, მალდინების დინასტია მალე გაგრძელდება.

### მაროკომ მიშელი დაითხოვა

მაროკოს ნაკრებმა კარისაკენ მიუთითა ფრანგ მწვრთნელ **ანრი მიშელს**. მან გუნდი აფრიკის ერთა თასზე ჯგუფიდან ვერ გაიყვანა. მაროკოელებმა ჩემპიონატი რიხით დაიწყეს. მათ ნამიბია 5:1 გაანადგურეს, მაგრამ შემდეგ წააგეს გვინეასთან, 2:3 და მასპინძელ განასთან 0:2. მაროკოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ მიშელის გათავისუფლების მიზეზი, უსახური შედეგების გარდა, მწვრთნელის შეუფერებელი საქციელია. განიდან დაბრუნების შემდეგ მოსიე ანრი წინასწარ დაგეგმილ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა, ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში კი საკუთარი ფეხბურთელები მიწასთან გაასწორა. 2006 წლის აფრიკის ერთა თასზე ანრი მიშელი კოტ დივუარის ნაკრების თავკაცი იყო. მან გუნდი ფინალში გაიყვანა, სადაც მასპინძელიეგვიპტის ნაკრებთან დამარცხდა. მიშელი მაროკოელებს 1996-2000 წლებშიც ავარჯიშებდა. მისი დღევანდელი კონტრაქტი 2010 წლამდე იყო გაფორმებული. ფედერაციას მწვრთნელისათვის სოლიდური კომპენსაციის გადახდა მოუწევს. იმასაც შეგახსენებთ, რომ მაროკო აფრიკის თასის ორგზის გამარჯვებულია. მან კონტინენტის პირველობა 1976 და 2004 წლებში მოიგო.

სკანდალი

### რომარიო ვასკოს გამოეთხოვა

#### გადადგომის მიზეზი კლუბის პრეზიდენტია

**რომარიო** "ვასკო და გამას" გამოეთხოვა. ის სახელოვანი ბრაზილიური კლუბის მოთამაშე-მწვრთნელი აღარ არის: ლეგენდარულმა ფებურთელმა ამ პოსტზე ორ თვეზე ნაკლები დრო გაატარა. რომარიომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების მიზეზი პრეზიდენტი იყო. მისი თქმით, **ენრიკო მირანდა** უხეშად ერეოდა მწვრთნელის კონპეტენციაში და ძირითადი შემადგენლობის საკუთარი სურვილისამებრ დაკომპლექტებას მოითხოვდა. ასე მაგალითად, ოთხშაბათს, "ფრიბურგენსესთან" შტატის ჩემპიონატის კალენდარული მატჩის წინ მან ახალგაზრდა თავდამსხმელის, **ალან კარდესის** დაყენება მოითხოვა. მირანდას არ დაუმალავს, რატომ სურდა ამ ბიჭის საქმეში ნახვა. სტადიონზე კარდესის პოტენციური მყიდველები უნდა მისულიყვნენ. პრეზიდენტს კი სარფიანი გარიგების გაფორმება სურდა. რომარიომ მირანდას უარი შეუთვალა. თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მან თანამდებობა დატოვა. იმ საღამოს "ვასკომ" 0:2 წააგო. მოგვიანებით პრეზიდენტმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს კარდესის გაყიდვას აპირებდა. მან ჟურნალისტებს აუწყა, რომ ამ ბიჭის სანაცვლოდ არაერთხელ შესთავაზეს დიდი თანხა, მაგრამ ყველა მსურველი უარით გაისტუმრა.

რომარიო ახალბედა მწვრთნელი იყო. მისი კარიერა გასული წლის მიწურულს დაიწყო. იმავე პერიოდს დაემთხვა სკანდალი - 42 წლის ვეტერანი დოპინგის მოხმარებაში ამხილეს და 120-დღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ერთი კვირის წინ რომარიომ განაცხადა, რომ სასჯელის ამოწურვისთანავე უკანასკნელად მოირგებდა ვასკოს მაისურს და კარიერის უკანასკნელ მატჩს ჩაატარებდა. მას სურდა, მთელი დროს სამწვრთნელო საქმიანობისათვის დაეთმო, მაგრამ მას ამბიციების დაკმაყოფილება სხვაგან მოუწევს.



რომარიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგშელიძე ბათუმშიც ელოდა კურტანიძეს

## თუ ოლიმპიადაზე წასვლა უნდა, გამოვიდეს და დაეჭიდოს!

**ბათუმმა უკვე ზედიზედ მეორედ უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს. აჭარის დედაქალაქში გორელმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმაც იასპარეზეს მთავარი მწვრთნელისა და იმავდროულად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ ნუგზარ სხირელის ხელმძღვანელობით. მიუხედავად მოპოვებული ოქროს 2, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 2 მედლისა, ნუგზარ სხირელს მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს. ჩვენ გორში ვეწვიეთ და ვესაუბრეთ ბატონ ნუგზარს საკუთარი შეგირდების გამოსვლასა და სხვა საინტერესო საკითხებზე.**

- კარგია, რომ ქვეყნის ჩემპიონატი ბოლო ორი წელიწადია რეგიონში გადის და ბათუმში ტარდება, თანაც აჭარლები ორგანიზაციული თვალსაზრისითაც კარგად ართმევენ თავს მოვალეობას. წლევანდელ შეჯიბრებაზე ყველა რეგიონი თითო შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, თბილისისა და გორის გარდა. გამომდინარე ბოლო წლებში ნაჩვენები შედეგებიდან, დედაქალაქს სამი, ხოლო ჩვენ ორი შემადგენლობით გამოსვლის უფლება მოგვცეს. ჩემპიონატზე მომავლის გუნდი წავიყვანე, ანუ ამ ეტაპზე არაერთ გამოცდილ, მაგრამ შედეგებით არცთუ გამორჩეულ ფალავნებს, გამოუცდელი, თუმცა პერსპექტიული მოჭიდავეები ვარჩიე. 1991 წელს დაბადებულები დავით ბერძნიშვილი, თენგიზ ჩოჩიშვილი, დავით გალეგაშვილი და ლადო ხინჩიკაშვილი აქამდე ჭაბუკთა შორის საერთაშორისო სარბიელზეც კარგად გამოვიდნენ და იმედი მაქვს, მალე უფროსებშიც გამოიჩენენ თავს. სხვათა შორის, წლების წინათ 15 წლის დავით პოლოსიანი ქვეყნის ჩემპიონატზე უფროსებში პირველად რომ ვაჭიდავე, ასაკს ხელი არ შეუშლია გამარჯვების მოპოვებაში. ზემოთჩამოთვლილი ფალავნებიდან ვფიქრობ, ერთმა მაინც უნდა მიაღწიოს მნიშვნელოვან საერთაშორისო აღიარებას.

**- თქვენმა მოჭიდავეებმა მედლები კვლავინდებურად ისევ ძირითადად მსუბუქ წონებში მოიპოვეს...**

- ეს ჩვენი აღსაზრდელებისთვის დამახასიათებელი გახლავთ. სასიხარულოა, რომ 60 კილოში გორელებმა - გიორგი მაყიშვილმა და გიორგი ბალიაშვილმა II-III ადგილები დაიკავეს და პირველობისთვის პრეტენზიაც განაცხადეს. ვფიქრობ, ადვილი შესაძლებელი იყო 60 კგ-ში გორული ფინალის გამართვა.

**- კიდევ ერთი ბრინჯაო ამირან ელბაქიძეს ერგო...**

- ამირანი 55 კილოში ასპარეზობს და მისი კარიერა ძალიან დრამატულად წარიმართა. როცა 50 კგ წონითი კატეგორია არსებობდა, ელბაქიძე ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა და მომდევნო წელს მიღწეულს ევროპის ჩემპიონობაც დაუმატა. ათენის ოლიმპიადის შემდეგ ეს წონა გააუქმეს და ელბაქიძე, რომლის ბუნებრივი, სტაბილური წონა 54 კგ-ია, ფაქტობრივად, 55 კგ წონითი კატეგორიის ამარა დარჩა. ცნობილია, რომ მოჭიდავე ვერაფერს მიაღწევს, თუ შეჯიბრების წინ 3-4 კგ არ დაიკლო. ჭიდაობისთვის ეს აუცილებლად მოსაშორებელია, ფაქტობრივად, ზედმეტი წონაა. ელბაქიძე თავის წონაში როცა ჭიდაობდა, უფროსებშიც უწინასწარმეტყველებდნენ მსოფლიოს ჩემპიონობას. აშკარაა, რომ 55 კგ-ში ამირანი სათანადო შედეგს ვერ აღწევს, თანაც, აქ ბესიკ გოჩაშვილი ასპარეზობს.

**- რომელიც დიდი ხანია, ამ წონის გამოკვეთილი ლიდერია. მერამდენედ გახდა გოჩაშვილი საქართველოს ჩემპიონი?**

- სხვათა შორის, ამ დღეს მისი იუბილე გახლდათ და ბესიკმა შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა საკუთარ თავს - ზედიზედ მეშვიდე ჩემპიონობით! არადა, იმის გამო, რომ შარშან მან თბილისის საერთაშორისო ტურნირზე წაიფორხილა, მსოფლიო ჩემპიონატზე აღარ წაიყვანეს. მოულოდნელი იქნებოდა ახალგაზრდებსა და უფროსებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ და ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ ბესიკ გოჩაშვილს ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე რომ რვა საუკეთესოს შორის მოხვედრილიყო და ლიცენზია მოეპოვებინა?

**- ჩვენი ნაკრების ხელთ არსებული ორი ლიცენზიიდან ერთის მფლობელს, ოთარ თუშიშვილს კვლავაც არ უჭიდავია. როდის გამოვა იგი ხალიჩაზე?**

- ოთარი ახლაც ისვენებდა. არც მე და არც ნაკრების ხელმძღვანელობას მოცემულ ეტაპზე საჭიროდ არ ჩაგვითვლია მისი ბათუმში ასპარეზობა. თუშიშვილი ამჟამად ნაკრებთან ერთად სომხეთის ქალაქ წაჰკაძორში იმყოფება შეკრებაზე და გარკვეული ხნის შემდეგ დაუბრუნდება ხალიჩას. მის წონაში გორელებს ახალგაზრდული ნაკრების წევრი ზაურ აბრამიშვილიც გვყავს, რომელსაც ამჟამინდელი საქართველოს ჩემპიონატისთვის წონა არ დავაკლებინეთ და 74 კგ-ში ვაასპარეზეთ. ეს მისთვის უფრო გამოცდილების მისაღებად საჭირო შეჯიბრება იყო.

**- ახალგაზრდული ნაკრების კიდევ ერთ გორელ ფალავანს ზაალ მარტიაშვილს საკმაოდ პერსპექტიულ მოჭიდავედ თვლიდით. იგი იმ მხრივაც იყო საინტერესო, რომ გიორგი გოგშელიძესთან ერთად წარმატებების მოპოვება გორის ჭიდაობის დარბაზისთვის არადამახასიათებელ ზედა წონებში მასაც შეეძლო...**

- როდესაც მარტიაშვილმა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავა, მისი ჭიდაობის შემყურეს გამიხარდა, მისი სახით კიდევ ერთი, საკმაოდ პერსპექტიული, ფალავანის დანახვა. რასაკვირველია, ძალიან ცუდია, როცა ასეთი სპორტსმენი დარბაზში რაღაც ფორმალური ვარჯიშისთვის მოდის, ტურნირებზე ყოველგვარი ჟინის გარეშე ჭიდაობს და ა. შ... არ უნდა ამ კაცს ჭიდაობა და რას ვიზამთ?

**- რაც შეეხება გიორგი გოგშელიძეს. იგი ისევ ჩემპიონი გახდა, თუმცა ისევ არ შედგა მისი და კურტანიძის შერკინება.**

- გოგშელიძე ელოდებოდა, რომ ბათუმში კურტანიძეც იჭიდავებდა. ბურთის სიმრგვალისა არ იყოს, ხალიჩაც მრგვალია, ოღონდ სიბრტყეში და ცხადია, ვერ ვიტყვი, მოიგებდა თუ არა ჩემი შეგირდი ამ პაექრობას. ვითარების გასარკვევად მარტივი რამაა საჭირო: ეს ფალავნები ერთმანეთს უნდა დაეჭიდონ! ლუკა კი ისევ არ გამოვიდა საასპარეზოდ.

**- როგორც ვიცით, კურტანიძემ ავადმყოფობის გამო ვერ იჭიდავა...**

- შესაძლებელია, მაგრამ ვხედავ, რომ კურტანიძეს, სამწუხაროდ, აღებული აქვს კურსი, რომლითაც უნდა მისი უშუალო კონკურენტი მუდმივ ფსიქოლოგიურ დაძაბულობაში ამყოფოს.



ნუგზარ სხირელი

რასაკვირველია, სპორტულ კონკურენციას დადებითი შედეგი მოაქვს, მაგრამ აქ განსხვავებული ვითარებაა. კურტანიძემ დაანება აქტიურ სპორტს თავი, შემდეგ ისევ დაიწყო და ცხადია, ხელის შეშლის უფლება არავის ჰქონდა. ლუკა ყველა სახის მედიასაშუალებებით აცხადებს, რომ პეკინის ოლიმპიადაზე საასპარეზოდ დაუბრუნდა ჭიდაობას და რასაკვირველია, არც ესაა დასაძრახი, თუმცა საქმე ისაა, რომ თუ ოლიმპიადაზე გამოსვლა გინდა, უშუალო კონკურენტს საჭიდაო ხალიჩაზე არ უნდა აჯობო? ბოლო წლებში მთელ საქართველოს ლამის სანატრელი გაუხდა გოგშელიძე-კურტანიძის პაექრობის ხილვა. უამრავი შანსი იყო მათი დაჭიდებისა. გიამ ყველა იმ შეჯიბრებაზე იასპარეზა, სადაც შეიძლებოდა ლუკას შეხვედროდა. ეს უკანასკნელი კი უმეტესწილად ამ ტურნირებზე ჭიდაობას ვერ, თუ არ ახერხებს, ყოფილა შემთხვევა, როცა შეჯიბრების დაწყებამდე ერთი დღით ადრე უთქვამს უარი ჭიდაობაზე, ერთხელ აწონვაზეც იყო, მაგრამ მერე აღარ გავიდა ხალიჩაზე. როცა იჭიდავა - კერძოდ, საქართველოს შარშანწინდელ ჩემპიონატზე ფინალამდე ვერ გააღწია, რომ იქ გოგშელიძეს არ შეხვედროდა და მანამდე სეთურიძესთან წააგო, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე კი შეხვდა და გიამ გაიმარჯვა.

ახლა მე ვსვამ კითხვებს. საქართველოს ჩემპიონატზე გამარჯვებულმა გოგშელიძემ ევროპის ჩემპიონატზე არ უნდა იჭიდაოს ამ წონაში ლიცენზიის მოსაპოვებლად? და გიამ რომ ლიცენზია მოიპოვოს, ოლიმპიადაზე სხვა უნდა წავიდეს? ამიხსენით, სად არის ლოგიკა, როცა კაცი ხალიჩაზე საჭიდაოდ არ გადის (გნებავთ ობიექტური, გნებავთ სუბიექტური მიზეზებით) უხვად აქვს დათმობილი ტელევიზიით საეთერო დრო და გამუდმებით აცხადებს, ოლიმპიადაზე ჭიდაობა მინდაო. რა გზით აპირებს ოლიმპიადაზე მოხვედრას, გარდა საჭიდაო ხალიჩისა?

აქვე მინდა გავიხსენო ჩემი დამოკიდებულება ლუკას ტალანტისა და შესაძლებლობების მიმართ. როდესაც მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალური ორთაბრძოლა წააგო და საქართველოში ამას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, ტელევიზიის საშუალებით ყველას გასაგონად გავაჟღერე ჩემი მოსაზრება, რომ კურტანიძისთვის შანსი კიდევ უნდა მიეცათ, რომ ის აუცილებლად გახდებოდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაშინ ლუკამ გულითადი მადლობაც შემომითვალა ჩემი პოზიციის გამო. ისე აგიხდათ ყველაფერი, მეორე წელს იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ კურტანიძესთან პიროვნულად კარგის მეტი არაფერი მაკავშირებს, მაგრამ არასწორია მისი მხრიდან გოგშელიძის ასეთი გამუდმებული სტრესის ქვეშ ყოფნა, თანაც არა საჭიდაო ხალიჩის საშუალებით.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# ეროვნული ჩემპიონატი და სტუდენტური ლიგაც?

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის განახლების თარიღი მალე გაირკვევა. როგორც იცით, ჩემპიონატის პირველი ნახევარი შარშან, შემოდგომით დასრულდა, მაგრამ მისი განახლების ზუსტი ვადები დადგენილი არ იყო. როგორც გუშინ ჩვენთვის ცნობილი გახდა, ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **ზურაბ კაკაბაძე** სამშაბათს შეხვდება ეროვნულ და 1992-93 წლებში დაბადებულ ვაჟთა ჩემპიონატებში მონაწილე კლუბების ხელმძღვანელებს. შესაბამისად, სწორედ სამშაბათს უნდა გადაწყდეს ეროვნული და ასაკობრივი პირველობების განახლების თარიღი და კალენდარი.

როგორც იცით, ამასწინათ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** გააჟღერა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მალე დაიწყება სახელბურთო სტუდენტური ლიგა. აღნიშნულ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **თამაზ თევზაძეს**, რომელმაც ასეთი რამ გვითხრა:

- ეს პროექტი განხორციელდება ჩვენი ფედერაციის, სახელმწიფოს, საუნივერსიტეტო სპორტისა და სპორტი ყველასათვის ფედერაციების ერთობლივი ძალისხმევით. სტუდენტური ლიგა ძალიან წაადგება ქართული ხელბურთის განვითარებას. შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ პოსტსაბჭოურ ეპოქაში, როდესაც ასეთი ლიგები ტარდებოდა, სწორედ იქიდან მოვიდნენ დიდ ხელბურთში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი **ამბერკი ტაბიძე** და **გია ნარიმანიძე.** თუკი სტუდენტურ ლიგას ჩამოვაყალიბებთ და იქიდან ერთ-ორ მაღალი დონის ხელბურთელს მივიღებთ, ეს უკვე პროექტის დიდი წარმატება იქნება. ამასთან, ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრების წესს მიჰყვებიან და ესეც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია. რაც შეეხება ბაზებს, ეს ალბათ პრობლემა არ იქნება. თბილისში გვაქვს ასკ-ს, "ქარიშხალას", სტუ-სა და აგრარული უნივერსიტეტის დარბაზები. თუმცა, შეჯიბრება მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა ჩატარდეს და სხვა რეგიონებშიცაა კარგი დარბაზები - ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, სენაკში, დუშეთსა თუ თელავში...

**კობა ხატისაშვილი**






გამოვიდა ორნაწილიანი წიგნი „ცხელი ზაფხულის 40 დღე". წიგნში მოთხრობილია 2005 წელს, უშბასა და შხელდაზე დატრიალებული ტრაგედიების რეალური ისტორია. იმ ავბედით წელს, 40 დღის შუალედში დატრიალებულმა ორმა ტრაგედიამ შეძრა ქართული ალპინისტური და არა მხოლოდ ალპინისტური საზოგადოება. წიგნის პრეზენტაცია-გაყიდვა გაიმართება 2008 წლის 18 თებერვალს, 17 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა). წიგნის გაყიდვიდან შემოსული თანხა გადაეცემა ამ ტრაგედიის დროს დაღუპული ორი მთამსვლელის, მერაბ ხაბაზისა და მიხეილ ჩაჩანიძის (კასალაპას) ოჯახებს.

# ქართული სპორტის ქრონიკები

**უცხო სიტყვათა ლექსიონში "ქრონიკა" ასეა განმარტებული:**

*ქრონიკა (ბერძნ. chronikos დროსთან დაკავშირებული) - 1. მიმდინარე ცხოვრების ამსახველი ცნობების, ახალი ამბების განყოფილება (გაზეთში, ჟურნალში...). 2. დოკუმენტური კინოფილმი (ჩვეულებრივ მოკლემეტრაჟიანი, რომელშიც ასახულია მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე მოვლენები, ამბები. 3. (ისტ.) საზოგადოებრივი მოვლენების, ამბების ქრონოლოგიური აღნუსხვა; მატიანე. 4. ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც გადმოცემულია რაიმე საზოგადოებრივი ან ოჯახური ამბების ისტორია.*

*ქრონიკიორი (ფრანგ. CHRONIGUER) - გაზეთის, ჟურნალის, რადიოს, ტელევიზიის თანამშრომელი, რომელიც აგროვებს მასალას ქრონიკისთვის.*

ასეთია განმარტება სიტყვისა, რედაქციამ შესაბამისი საგაზეთო მასალების ქუდად რომ აქცია. ერთად თავმოყრილი ასეთი ინფორმაციები დაეხმარება მკითხველს , მომავალ მკვლევარებსაც, თემატიკის ორიენტაციაში. ვიმედოვნებთ, ჩვენი ქრონიკიორი (ვთქვათ, ქართულად - მცნევარი) მკითხველს არ მოაკლებს საინტერესო ინფორმაციებს - დღევანდელი თუ წარსულის ცხოვრებიდან.

## მილანში ლელოს გავლით

ა.წ. 31 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე სპორტული კინოსა და ტელევიზიის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქ. მილანში ტარდება სპორტული ფილმების 26-ე საერთაშორისო ფესტივალი. "Sport Movier end tv 2008".

ქართველ კინემატოგრაფისტებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ფილმები შესარჩევ კომისიაში ა.წ. 1 ივლისამდე. შერჩეული ფილმები საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის სახელით გაიგზავნება მილანის ფესტივალის სასელექციო კომიტეტში.

შესარჩევი კომისია მუშაობს "ლელოს" რედაქციაში. პირობების გასაცნობად დარეკეთ: 895 542272 ან 899 554897.

*საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაცია*

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** სპორტული რეკორდი საქართველოში აღირიცხა მძლეოსნობაში 1922 წელს. რეკორდების ცხრილი გაიხსნა **ბორის დიაჩკოვის** წარმატებით, რომელმაც 100 მ. 12.4 წამში გაირბინა.

**პირველმა,** მძლეოსნებიდან საქართველოს ოლიმპიური ოქროს მედალი მოუტანა **რობერტ შავლაყაძემ**, რომელმაც, რომში 1960 წელს ბრწყინვალედ დაძლია პლანეტის უძლიერეს სიმაღლეზე მხტომელთა წინააღმდეგობა, მათ შორის მოუგო ლეგენდარულ ამერიკელ ათლეტს, მსოფლიო რეკორდსმენ ჯონ თომასს.

**პირველად** საქართველოს მძლეოსნებიდან ოქროს მედალი ოლიმპიურ თამაშებზე სამხტომში **ვიქტორ სანეევმა** მოიპოვა 1968 წელს. შემდეგ ეს წარმატება მან კიდევ ორჯერ გაიმეორა - 1972 წელს მიუნხენში და 1976 წელს მონრეალში. თავის მეოთხე ოლიმპიადაზე კი 1980 წელს, მოსკოვში, ვერცხლის მედალს დასჯერდა.



რობერტ შავლაყაძე




## 2006 წლის სპორტული მატიანე

ვაჟა დანელიას კარგად იცნობს ჩვენი სპორტული სამყარო. მისი წერილები და წიგნები მუდამ საინტერესოდ იკითხება და, რაც მთავარია, ქართული სპორტის ისტორიისთვის გაწეულ გარჯაში ბევრი ვერ შეედრება. ბოლო ხანებში ავტორმა კალენდარული წლის სპორტული ღონისძიებების ქრონოლოგიურ დაფიქსირებას მიჰყო ხელი და კარგი საქმეც გააკეთა - გადაშლით, მაგალითად, გასული წლის ბოლოს გამოცემულ მის ახალ წიგნს "კვალი ჩაუქთა" და შესავალშივე შეიტყობთ, რომ თქვენს წინაა რუდუნებით შედგენილი ქართული სპორტის 2006 წლის წარმატებათა კრებული. "საქართველოს სპორტსმენებმა 2006 წელს საერთაშორისო სარბიელზე მრავალ წარმატებას მიაღწიეს. წიგნში სწორედ იმ ათლეტებზეა მოთხრობილი, რომლებმაც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებსა თუ პირველობებზე ისახელეს თავი. აქვე გაეცნობით სახელოვან ვეტერანთა საინტერესო თავგადასავლებს", - ვკითხულობთ ავტორის წინასიტყვაობაში.

გამოცემა უხვადაა ილუსტრირებული. ახლავს ფერადი ფოტოების ჩანართი. დავძენთ, რომ ამ წიგნისთვის, მისივე ავტორობით გამოცემულ მეორე ნაშრომთან - "ევროპული ოდისეა" ერთად ვ. დანელიამ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიერ გამოცხადებულ ა. ციბაძის სახელობის ლიტერატურულ კონკურსში პრემია დაიმსახურა.

ავტორი ახლა 2007 წლის ქართული სპორტის მიღწევების აღნუსხვაზე მუშაობს.

კონკურსი

## ვულოცავთ ლაურეატებს

შეჯამდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს ოლიმპიური ფონდისა და საქართველოს ოლიმპიური აკადემიის მიერ პროფ. ა. ციბაძის სახელობის 2007 წლის კონკურსი მიძღვნილი ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური განათლებისა და სპორტის საკითხებისადმი. კონკურსი მიზნად ისახავდა აგრეთვე საუკეთესო სამეცნიერო, სამეცნიერო მეთოდური, პუბლიცისტური ნაწარმოებების, სახელმძღვანელოების გამოვლენას, რომლებიც გამოქვეყნდა 2007 წელს. სპეციალურმა ჟიურიმ (ე. ბერიშვილი - თავმჯდომარე, თ. გაჩეჩილაძე, ლ. ვარდოსანიძე, ლ. აფციაური, ნ. მესხი, დ. კინწურაშვილი) გამოავლინა გამარჯვებულები ცალკეულ ნომინაციებში. ესენი არიან:

- **ავთანდილ გურასაშვილი,** ნაშრომისთვის "ოთხი სიხარული", "ტოკიო-1964", "მეხიკო-1968";
- **დ. კინწურაშვილი,** ნაშრომისთვის "ოლიმპიური საქართველო";
- **ვ. დანელია,** ნაშრომებისთვის "კვალი ჩაუქთა" და "ევროპული ოდისეა";
- **თ. გიორგაძე,** ნაშრომისთვის "ჭადრაკის ერთგულნი";
- **გ. მახარაძე,** ნაშრომისთვის "ჭადრაკი და ცოტა რამ";
- ავტორთა ჯგუფი: **ა. ალთაბაევი, ა. კაზანჯიანი, მ. ტულუში,** სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომისთვის "კალათბურთი";
- ავტორთა ჯგუფი: **ნ, პაპუკაშვილი, ნ. ბერიანიძე, ნ. ლეშკაშელი,** სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომისთვის "ბატუტზე ხტომა";
- ავტორთა ჯგუფი: **მ.გ. ტულუში და მ.ა. ტულუში,** სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომისთვის "მძლეოსნობა";
- ავტორთა ჯგუფი: **ლ. აფციაური, მ. ტულუში,** სახელმძღვანელოსთვის "ფიზკულტურა I და II კლასებისთვის" (მასწავლებელთა წიგნი);
- ავტორთა ჯგუფი: **შ. ბუაძე, ო. ვახანია, მ. ტულუში, გ. კახიძე** (პროფესორ გიული კახიძის საერთო რედაქციით) სახელმძღვანელოსთვის "სპორტის თეორია", III ნაწილი);
- ავტორთა ჯგუფი: **ნ. ჭაბაშვილი, ზ. კახაბრიშვილი, ზ. სოფრომაძე, პ. კასრაძე, გ. ელიავა, თ. სვანიშვილი, ლ, თათარაძე, ა. გოგელია, მ. მათიაშვილი,** ნაშრომისთვის "სპორტული მედიცინის საფუძვლები" და "რეაბილიტაცია-აღდგენითი მკურნალობა".

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულებს გადაეცემათ კონკურსის პირობებით გათვალისწინებული ფულადი პრემია.

ვულოცავთ ლაურეატებს!

წარსულთან კავშირი

## კოლხები ბრწყინვალე გმირებს იგონებდნენ

გამოჩენილი ბერძენი მწერალი აპოლონიუს როდოსელი (ძვ.წ.ა. III ს.) ეხება რა კოლხების ასპარეზობებს ქუთაისთან ახლოს გაშლილ ველზე, წერს: "არესის ველი, ქალაქის პირისპირ მდებარეობდა და მდინარის ნაპირს ოდნავ იყო მოშორებული. არასის ველზე ვრცელი ასპარეზობები იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბენასა და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ ხოლმე".

უდავოდ მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელი ისტორიული ცნობაა. ამგვარი წარსულით, ცხადია, იამაყებდა ნებისმიერი ერი. თანაც ნუ დაგვავიწყდება, როდოსელი "არგონავტიკაში" ძვ. წელთაღრიცხვის VIII საუკუნის ამბებს აღწერს.

ტურიზმი

## მთის მოყვარულთა კავშირის თაოსნობით

*"საქართველოში, როგორც ტურიზმის თვალსაზრისით მიმზიდველ ქვეყანაში, ახლო მომავალში, მოსალოდნელია წელიწადში მილიონზე მეტი ტურისტის შემოსვლა-გადაადგილება. ასეთი რაოდენობის სტუმრის მიღებას დასჭირდება სულ მცირე 200 ათასი კვალიფიციური კადრი, რომელთა მომზადება დღეს აუცილებელ პირობად იქცა",* - ვკითხულობთ ახალ პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტურისტული მომსახურების ქსელში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას.

პროექტის შემუშავებისა და განხორციელების ინიციატორია საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი (სმმკ). ამ ორგანიზაციამ მოსახლეობის გააქტიურების, სათანადო საუბრების, ტრენინგების, კონსულტაციების ჩატარების, სპეციალური სახელმძღვანელოების გემოცემისა და მისი უსასყიდლოდ დარიგების გეგმა უკვე შეიმუშავა.

*საკ. ინფორმაცია*

ფოტო ლელოს არქივიდან



1951 წელი. თბილისი. ე.წ. პეტრეს დარბაზი. მარცხნიდან: დავით ციმაკურიძე, გივი კარტოზია, ვასილ ილურიძე

## ვიქტორინა

1. რომელი წლიდან გამოდიან საქართველოს სპორტსმენები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში?

ა - 1948 წლიდან
ბ - 1952 წლიდან
გ - 1964 წლიდან

2. ვინ დაარღვია პირველმა ამერიკელთა ჰეგემონია სიმაღლეზე ხტომაში ევროპიდან?

ა - ვალერი ბრუმელმა
ბ- იაცეკ ვშოლამ
გ - რობერტ შავლაყაძემ

3. რომელ წელს გაიხსნა თბილისის "დინამოს" სტადიონი?

ა - 1935 წელს
ბ - 1936 წელს
გ - 1937 წელს

4. რომელ წელს დაარსდა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი?

ა - 1935 წელს
ბ - 1938 წელს
გ - 1948 წელს

5. რას ნიშნავს სიტყვა სპორტი?

ა - თამაშს, გართობას
ბ - შეჯიბრებას, პაექრობას
გ - შესაძლებლობის დემონსტრირებას

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ა, 4 - ბ, 5 - ა

## თერილი

**ირინა გერასიმოვა.** დაიბადა 09.02.1964, ქუთაისი. ცურვა, თავისუფალი სტილი, კომპლექსური. მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1982 - კომპლექსური 200 მ), ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1983 - კომპლექსური 200 მ), მსოფლიო უნივერსიადის ოთხგზის ჩემპიონი (1983 - თავისუფალი სტილით 100 მ და 200 მ, კომპლექსური 200 მ, ესტაფეტა 4X100 მ თავისუფალი სტილით). სსრკ 18-გზის ჩემპიონი (1980-84) თავისუფალი სტილით (100, 200 მ), და კომპლექსურ (200, 400 მ) ცურვაში. სსრკ 13-გზის რეკორდსმენი. 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილე (ესტაფეტა 4X100 მ თავისუფალი სტილით, წესების დარღვევის გამო სსრკ ნაკრები წინასწარი გაცურვის შემდეგ შეჯიბრებიდან მოხსნეს). საუკეთესო პირადი შედეგები: თავისუფალი სტილით 100 მ - 56,4 წმ, 200 მ - 2.01,13 წთ; კომპლექსური 200 მ - 2.16,72 წთ, 400 მ -მ 4.50,30 წთ. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.



## ინტერვიუ გიორგი ნიკოლაძესთან

# მადა ჭამაში მოდის, ჩემპიონობისთვის!

**გიორგი ნიკოლაძე**

დაიბადა: 1978.15.04.

კლუბი: თბილავიამშენი.

ამპლუა: მცველი.

სიმაღლე: 188 სმ.

წონა: 78 კგ.

კლუბები: თსუ (1994-95), სდასუ (1995-96), დინამო (1996-97), თსუ (1997-98), დინამო (1998-2000), ბასკო (2000-01), თსუ (2001-02), ბასკო (2002-03), სტუ (2003-04), თბილავიამშენი (2004-დღემდე).

პირველი მწვრთნელი: გურამ მეგრელაძე.

ჰობი: ცურვა, კითხვა, ინტერნეტი.

სტატისტიკა სუპერლიგა 2007/08-ში: ქულა – 19.1, მოხსნა – 3.4, პასი – 3.6, ჩაჭრა – 0.95, დაფარება – 0.23

**- გიორგი, წლევანდელი სეზონი შენს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესოა. იხსენებ ამაზე წარმატებულ სეზონს?**

- კარგი სეზონი მქონდა სტუ-შიც, თუმცა, სტატისტიკიდან გამომდინარე, წლევანდელი სეზონი მართლაც გამორჩეულია. მთავარი მაინც გუნდის წარმატებაა და ჩემი სტატისტიკაც "თბილავიამშენს" წარმატების მიღწევაში უნდა დაეხმაროს.

**- გუნდმა ძალიან ცუდად დაიწყო რეგულარული. რა იყო ამის მიზეზი?**

- პირველ რიგში, თავისთავად შეუთამაშებლობა და ამასთან ერთად, გუნდის ლიდერების ცუდ ფორმაში ყოფნა. ჩვენს გუნდში ბევრი რამ კოტე ტულუშზეა დამოკიდებული და თავიდან კოტეს თამაში რომ არ ნაუვიდა, ეს გუნდის გამოსვლაზეც აისახა. ასევე, ირაკლი ხოშტარიაც ვერ იყო ფორმაში, რისი მიზეზიც ირაკლის რამდენიმე ტრავმა იყო.

**- როგორ გგონია, კოტე და ირაკლი ახლა საუკეთესო კონდიციებში იმყოფებიან?**

- ხოშტარია ალბათ, ახლოსაა საუკეთესო ფორმასთან, ტულუშს კი, თამაშის გაუმჯობესების მიუხედავად, მაინც ბევრი უკლია საუკეთესო ფორმამდე.

**- "თბილავიამშენს" სუპერლიგის მონაწილეთა შორის, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავს.**

- ჩემი აზრით, ერთ-ერთი კი არა, საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავს. მგონი, ეს ჩვენი თამაშიდანაც ჩანს.

**- ზედიზედ ორი ტურნირის მოგების შემდეგ გუნდის მიზანი კვლავაც ჩემპიონობაა?**

- თავისთავად, მადა ჭამაში მოდის. საკუთარი თავის დიდი რწმენა გვაქვს და გვჯერა, რომ ამ შემადგენლობით ჩემპიონობას მოვიპოვებთ.

**- დაგვეთანხმე, რომ ქორქია/საკანდელიძის მემორიალსა და საქართველოს თასზე თქვენს მთავარ კონკურენტს, "ენერჯი ინვესტს", გიორგი გამყრელიძის სახით დიდი ძალა დააკლდა.**

- გიორგი ამ გუნდის საუკეთესო მოთამაშე და ჩემი აზრით, სუპერლიგის საუკეთესო უკანახაზელიცაა. გადაჭრით ვერ ვიტყვი, რა მოხდებოდა, გამყრელიძეს რომ ეთამაშა, მაგრამ ჩვენ ჩემპიონობის შანსები მაინც გვექნებოდა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ რუსთაველები მეტწილად სწორედ გამყრელიძეზე არიან დამოკიდებულნი.

**- გიორგი, არც შენ და არც კოტე ნომინალური გამთამაშებლები არ ხართ. თქვენს გუნდს, პრაქტიკულად, ფლეიმეიქერის გარეშე უწევს თამაში.**

- მეც და კოტეც უფრო მსროლელები ვართ, თუმცა მგონია, რომ კოტე მაინც კარგად ართმევს თავს გამთამაშებლობას. ეს მის სტატისტიკაზეც აისახება. ხანდახან მეც მიწევს პირველ ნომერზე ყოფნა, თუმცა ძირითადად ფლეიმეიქერი კოტეა, ვისთანაც საერთო ენა დიდი ხნის წინათ გამოვნახე.

**- საუკეთესო მექულეებში გიორგი შერმადინის შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფები. როგორ გგონია, რამდენად რეალურია, რომ გიორგი ნიკოლაძე სუპერლიგის პირველი მექულე გახდება?**

- მთავარი მაინც გუნდის შედეგია და ბომბარდირობა კი მეორეხარისხოვანია. "მაკაბიში" მთელი თამაში გიორგი შერმადინზეა აწყობილი და აქედან გამომდინარე, რთული იქნება მისი გადასწრება.

**- იქნებ, წლევანდელი სეზონის საუკეთესო ხუთეული დაასახელო.**

- გიორგი გამყრელიძე, კოტე ტულუში, იოვან სტეფანოვი, რიჩარდ მათიაშვილი და გიორგი შერმადინი.

**- კალათბურთში შენი კერპი დაასახელე.**

- კობი ბრაიანტი და შარუნას იასიკიავიჩუსი.

www.gbf.ge

## ინტერვიუ დავით ბარბაქაძესთან

# ავიას სკამიდან ენერჯის რისხვამდე

**იანვარში** თსუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა მომგებიანი ტრანსფერი განახორციელა - "ავიამშენიდან" დავით ბარბაქაძე გადაიყვანა. მას შემდეგ თსუ რუსთავურ გრანდ "ენერჯი ინვესტს" ორჯერ შეხვდა და ორჯერვე ბარბაქაძის ზუსტი ტყორცნის წყალობით დაამარცხა. ჯერ საქართველოს თასზე სირენამდე ერთი წამით ადრე დათომ თანაგუნდელებს ორქულიანით მოაგებინა, ახლახან კი მისმა სამქულიანმა რუსთაველებს საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატში პირველი მარცხი აგემა.

საინტერესოა, რა დაუშავა "ენერჯიმ" ბარბაქაძეს... ამის შესახებ თავად კალათბურთელი ინტერვიუში გვესაუბრება.



- რა მნიშვნელობა აქვს მეტოქის სახელს, ჩემთვის მთავარი თსუ-ს წარმატებაა. "ენერჯისთან" მე-12 ტურის მატჩში ერთი ქულის სხვაობით ვმარცხდებოდით, სირენამდე რამდენიმე წამით ადრე ბურთი მივილე და დრიბლინგის განხორციელებას ვაპირებდი, მაგრამ ბურთი ხელში იმდენად კარგად ვიგრძენი, მივხვდი - რომ მესროლა, არ ავაცილებდი. საბედნიეროდ, ასეც მოხდა. დარჩენილ 6 წამში რუსთაველებმა ვერაფერი მოასწრეს და გამარჯვება თსუ-ს დარჩა.

**- თასზე წამით ადრე კომბინაციის გათამაშება როგორ მოასწარით?**

- გვერდიდან ბურთი დავით ბერიშვილმა შემოიყვანა, რუსთაველებს ეგონათ, რომ ირაკლი კეიდიას გადააწვდიდა, მარცხენიდან მარჯვენა ფრთაზე გადავედი და დათომ ბურთი სწორედ მე ჩამომიგდო. დაუფიქრებლად ვისროლე და მაშინაც გამარჯვების ორქულიანი ჩავაგდე. არ ვიცი რუსთაველებს როგორ გადავურჩები...

**- წელან ჟურნალისტები ვარკვევდით შენს ამპლუას, მაგრამ ჩიხში შევედით. იქნებ, დაგვეხმარო და გვითხრა, თსუ-ში რა პოზიციაზე თამაშობ?**

- ცენტრადაც, მძიმე და მსუბუქ ფორვარდადაც. მწვრთნელს სადაც დავჭირდები, იქ მაყენებს.

**- შენს საუკეთესო თამაშს თუ გაიხსენებ...**

- ძნელი სათქმელია. "ენერჯისთან" ორივე მატჩი კარგად გამომივიდა, მაგრამ მათთვის საუკეთესოს იარლიყის მიწებება არც მიფიქრია.

**- მაშინ გაგახსენებ - ქუთაისში თამაშისას ერთ შეხვედრაში ათამდე სამქულიანი ჩააგდე...**

- გამახსენდა. ქუთაისში სსუ-ს ვუმასპინძლეთ და 39 ქულა მოვაგროვე. ოღონდ, რამდენი სამქულიანი ჩავაგდე, აღარ მახსოვს.

**- თსუ-ში გადასვლა სწორი ნაბიჯი იყო?**

- რა თქმა უნდა. "ავიაში" ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. თსუ-ში კი შესაძლებლობების გამოვლენის კარგი შანსი მაქვს.

**- თსუ-სა და მის მიზნებზე რას იტყვი?**

- გუნდში "სახალხო ბანკის" სახით სპონსორი მოვიდა და მიზნებს იგი უფროსობასთან ერთად გაარკვევს. ჩემი ფუნქცია თამაშია. რაც შეეხება თსუ-ს, პირდაპირ ვიტყვი: იგი გუნდი არ არის - ერთი დიდი ოჯახია. ერთი მამის შვილები არ ვართ, თორემ სხვა მხრივ ძმებივით ვართ. ერთმანეთს მხარში ვუდგავართ. სწორედ ეს განაპირობებს თსუ-ს წარმატებას საქართველოს ჩემპიონატში. ამჟამად მეორე ადგილზე ვიმყოფებით და არა მგონია, რეგულარული ჩემპიონატის ბოლომდე სატურნირო ცხრილში ქვემოთ დავეშვათ.

**- აზერბაიჯანის ნაკრებში გაქვს ნათამაშები. საქართველოს ნაკრებს რომ დასჭირდე, რას იზამ?**

- მეორე წელიწადია, აზერბაიჯანელთა ეროვნული გუნდის მაისური არ ჩამიცვია. როგორც ვიცი, ნაკრებიდან ნაკრებში გადასვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შუალედში რამდენიმე წელს გამოვტოვებ. ნეტავ საქართველოს ნაკრებში გამომიძახონ და...

**- ეროვნულ ჩემპიონატზე რა აზრისა ხარ?**

- მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ გუნდს ფინანსურად ძალიან უჭირს, აზერბაიჯანის პირველობასთან შედარებით თვალშისაცემია კალათბურთელთა მაღალი კლასი. პირობები რომ იყოს, გაცილებით უკეთესი მოთამაშეები გვეყოლებოდა და მაღალი დონის ჩემპიონატი გვექნებოდა.

**- ბოლოს შენს ძმაზე გკითხავ. იგი იერუსალიმის "ჰაპოელში" მიდიოდა...**

- გიგის ყველა საბუთი წესრიგში აქვს და ისრაელში მალე გაფრინდება. თავიდან "ჰაპოელის" დუბლებში ივარჯიშებს, ხოლო როცა სათანადო დონეზე ავა, პირველ გუნდში მაშინ ათამაშებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ჩოგბურთი

## ბალდატისს მწვრთნელი აღარ ჰყავს

მსოფლიო კლასიფიკაციის მე-17 ნომერი, კვიპროსელი **მარკოს ბალდატისი** მწვრთნელის გარეშე დარჩა. ამ ჩოგბურთელთან თანამშრომლობაზე უარი თქვა დევისის თასზე კვიპროსის ნაკრების კაპიტანმა **იანოს ჰაჯიგეორგიუმ** და ეს გადაწყვეტილება პირადი პრობლემებით ახსნა.

*"ამ რთული გადაწყვეტილების მიღება ოჯახურმა გარემოებებმა მაიძულა. ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. მე დავარწმუნე მარკოსი იმაში, რომ ყოველთვის შეუძლია ჩემი დახმარების იმედი ჰქონდეს"*, - განაცხადა მწვრთნელმა.

ჯერჯერობით უცნობია, ვისთან იმუშავებს კვიპროსელი ჩოგბურთელი.

ჰოკეი

## საკიკი მატჩში დაბრუნდება

"კოლორადო ეველანშის" ვეტერანმა ფორვარდმა **ჯო საკიკმა** მსუბუქი ვარჯიშები დაიწყო. როგორც ცნობილია, კოლორადოელთა კაპიტანს დიდი ხანია არ უთამაშია რეგულარულ ჩემპიონატში, ვინაიდან სეზონის დასაწყისში ოპერაცია გაიკეთა.

როგორც "ეველანშის" შეფობა ვარაუდობს, საკიკი მარტის დასაწყისში შეუერთდება გუნდს. ამას გარდა, დიდია ალბათობა იმისა, რომ საკიკი უფრო ადრე ჩაერთოს რეგულარულ ჩემპიონატში.

კალათბურთი

## კასელი კლიპერსში დარჩება

ცოტა ხნის წინათ ვწერდით იმის შესახებ, რომ "ლოს ანჯელეს კლიპერსის" მცველი **სემ კასელი** "ბოსტონ სელტიქსში" აპირებდა გადასვლას. ახლა კი ირკვევა, რომ ვეტერანი კალათბურთელი თავის ამჟამინდელ კლუბში ჩაამთავრებს სეზონს.

"კლიპერსი" არ აპირებს კასელის კონტრაქტის გამოსყიდვას, რომლის მიხედვითაც, მცველმა წელიწადში 6.1 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. თავად კასელი ამ თანხის შემცირებას არ თანხმდება.

## კარტერი საოპერაციოა?

"ნიუ ჯერსი ნეტსის" პრეზიდენტი **როდ ტორნი** აცხადებს, რომ გამორიცხული არ არის, მისი გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, **ვინს კარტერს** ზაფხულში ტრავმირებულ მარჯვენა ფეხზე ოპერაცია გაუკეთონ.

*"მსგავს ზომებს უკიდურეს შემთხვევაში მივმართავთ. იმედი გვაქვს, ისევე მოხდება, როგორც გასულ წელს და ვინსი თამაშებისგან თავისუფალ დროს იმკურნალებს. კარტერს დიდი ხანია ეს ტრავმა აწუხებს, მაგრამ ახლა გაცილებით უკეთ გრძნობს თავს"*, - ამბობს ტორნი.

## იტურბე რეალში დაბრუნდა

იტალიური "ფორტიტუდოს" ესპანელი ფორვარდი **იკერ იტურბე** სამშობლოში ბრუნდება. ის მადრიდის "რეალში" გააგრძელებს კარიერას, კლუბში, სადაც 1998-2002 წლებში თამაშობდა.

32 წლის კალათბურთელმა სამეფო კლუბში ტრავმირებული **ლაზაროს პაპადოპულოსი** და **ვინსენტ ჰემილტონი** უნდა შეცვალოს. ეს მოთამაშეები ხანგრძლივი დროით გამოაკლდნენ "რეალს".

ამ სეზონში იტურბე საშუალოდ მატჩში 7.6 ქულასა და 2.8 მოხსნას აგროვებს.

## ჩიკაგომ ხრიაპა მოიშორა

"ჩიკაგო ბულზმა" თავისი რუსი ლეგიონერის, **ვიქტორ ხრიაპას** კონტრაქტი გამოისყიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფორვარდს რომელ კლუბშიც მოესურვება, იქ გააგრძელებს კარიერას.

როგორც ვარაუდობენ, ხრიაპა, რომელიც იშვიათად ხვდებოდა ილინოისური კლუბის შემადგენლობაში, სამშობლოში დაბრუნდება და მოსკოვის ცსკა-ში გააგრძელებს კარიერას. არმიელთა კლუბს ორი ტანმაღალი კალათბურთელი - **ალექსეი სავრასენკო** და **მატიაშ სმოდიში** აკლია და ხრიაპაც სწორედ ამისთვის სჭირდება.

## ჟალგირისმა სენეგალელი დაიმატა

კაუნასის "ჟალგირისმა" შეთანხმებას მიაღწია საბერძნეთის "პანელინიოსთან" და ამ გუნდიდან არენდის სახით სენეგალელი ცენტრი, **მამადუ ნ'დიაიე** დაიმატა. ხელშეკრულება ამ დღეებში გაფორმდება და აფრიკელი ლიტველთა რიგებში სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

212 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრმა ULEB-ის თასზე 8 მატჩი ჩაატარა. მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 9.1 ქულას, 5.8 მოხსნასა და 1.3 დაფარებას უდრიდა.

## ლატვიელი ეკაბსონე საუკეთესო ევროპელია

2007 წლის შედეგების მიხედვით, ევროპის საუკეთესო ქალი კალათბურთელის ტიტული მოსკოვის "დინამოს" ფორვარდ **ანეტ ეკაბსონს** ერგო. ლატვიელმა კალათბურთელმა FIBA-Europe-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში გაიმარჯვა, რომელშიც 25 ქვეყნის გულშემატკივრები და სპეციალისტები იღებდნენ მონაწილეობას.

მეორე ადგილზე გავიდა ესპანელი **ამაიე ვალდეიორო**, მესამეზე აღმოჩნდა ამ პრიზის ორგზის მფლობელი, რუსი **მარია სტეპანოვა**.

ამ სეზონში, ეკაბსონემ ლატვიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა. ამ ტურნირზე ფორვარდი საშუალოდ 17.2 ქულას, 3.3 მოხსნასა და 3.2 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. გარდა ამისა, ლატვიელი მოსკოვის "დინამოს" ევროპის თასის მოპოვებაში დაეხმარა.

დოპინგი

## პეკინში მკაცრი კონტროლი იქნება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** განაცხადა, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტსმენებს უმკაცრესი დოპინგ-კონტროლი ელით.

*"პეკინში დოპინგ ზე შემოწმება იმაზე გაცილებით მკაცრი იქნება, ვიდრე ეს წინა თამაშებზე იყო. მაგალითად, სინჯების რაოდენობა, რომელსაც ოლიმპიელებისგან აიღებენ, 3.5 ათასიდან 4.5 ათასამდე გაიზრდება"*, - ეს სიტყვები როგემ ბაქოში ვიზიტისას წარმოთქვა. როგორც იცით, ეს ქალაქი 2016 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობაზე აცხადებს პრეტენზიას.

ფორმულა 1

## ჰაკინენი ცოლს გაეყარა

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფინელი **მიკა ჰაკინენი** მეუღლეს ეყრება. ეს მას შემდეგ, რაც მიკამ და ერიამ 10 წელი იცხოვრეს ერთად.

ჰაკინენებს ორი შვილი ჰყავთ: ხუთი წლის **ჰუგო** და ორი წლის - **ანა-ჯულია**. ფორმულა 1-ში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ წყვილად აღიარებული მიკასა და ერიას გაყრის შესახებ ინფორმაცია გერმანულმა გაზეთმა "ბილდმა" გაავრცელა.



NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ადელმანმა დილემა გადაჭრა



სკოლა გიბსონს უფარებს

"კლივლენდთან" საშინაო შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე, "როკეტსის" ლიდერი **ტრეისი მაკგრეიდი** ცუდად გახდა, მუცლის არეში მწვავე ტკივილები იგრძნო და თითქოსდა, მატჩში მონაწილეობა არ უნდა მიეღო. თუმცა გასახდელში, მთავარ მწვრთნელ **რიკ ადელმანთან** კონსულტაციის შემდეგ, მოედანზე გასვლა მაინც გადაწყვიტა.

კიდევ კარგი, "ჰიუსტონს" იმ დღეს მოწინააღმდეგის რიგებში ერთადერთი კაცის წინააღმდეგ თამაში მოუხდა - "კლივლენდში" **ლებრონ ჯეიმსის** გარდა, თამაშის იშტაზე ყოფნისა არავის არაფერი ეტყობოდა.

მაკგრეიდიმ უბრალოდ, გუნდის წინაშე ვალი მოიხადა, რადგან პრაქტიკულად არც არაფერი გაუკეთებია. მან 11 სროლიდან მხოლოდ 3 გამოიყენა და შეხვედრა 8 ქულით, 7 მოხსნითა და 4 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

*"თავს საშინლად ვგრძნობდი, თუმცა მაინც გავრისკე და ვითამაშე. მგონი, ჩემებისთვის დიდი ზარალი არ მიმიყენებია"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ტრეისი, რომლის გუნდმაც ბოლო 10 შეხვედრიდან მეცხრე მოიგო და ნელ-ნელა წინ მიიწევს.

ადელმანმა კი მგონი, საბოლოოდ გადაჭრა დილემა, რომელიც არგენტინელი **ლუის სკოლასთვის** სოლიდური სათამაშო დროის მინიჭებას გულისხმობდა. არგენტინელი ვეტერანი თავს უკვე მშვენივრად გრძნობს და ჩინელ **იაო მინთან** ერთად ფარქვეშეთში დიდ პრობლემებს უქმნის მოწინააღმდეგეებს.

26 წუთში არგენტინელმა ფორვარდმა 9 სროლიდან 5 გამოიყენა და სოლიდურად იდგა დაცვაში. სკოლა, რომელიც მიმდინარე რეგულარულისას 8.3 ქულასა და 5.2 მოხსნას უყრის თავს, თავიდან ადელმანის გეგმებში ვერ ჯდებოდა, მაგრამ ნელ-ნელა რიკმა იგი შემადგენლობას გაუშინაურა და დღესდღეობით, ლუისი იაო მინთან და მაკგრეიდისთან ერთად. ძალიან კარგ დაცვით ტრიოს ქმნის.

აბა, რა პრობლემა უნდა შექმნოდა "ჰიუსტონს" მეტოქესთან, რომელსაც ტრავმების გამო ძირითადის სამი კაცი (**დრიუ გუდენი, ანდერსონ ვარეჟაო** და **საშა პავლოვიჩი**) აკლდა? ჰოდა, არც შექმნია, რაკი დანარჩენებიდან სროლა მხოლოდ ჯეიმსსა და გარკვეულწილად, **ლარი ჰიუზს** თუ წაუვიდათ.

ბევრი ვერაფერი გააკეთა "კლივლენდის" ლიტველმა ჟირაფმა **ჟიდრუნას ილგაუსკასმა**, რომელმაც 35 წუთში 8 ქულა იკმარა და მეორე ნახევარში გადამეტებული ფოლების გამო, დაცვაში პასიურად იდგა, რამაც მასპინძლებს სამწამიანიდან უამრავი ქულა მოახვეჭინა.

ლებრონი კი აგრძელებს არაჩვეულებრივი სტატისტიკის ჩვენებას. ჯეიმსმა ამჯერადაც გააწამა მეტოქე, მაგრამ თავისი წილი ქულების მოპოვების მიუხედავად, სხვები ვერ აიყოლია და **მაიკ ბრაუნის** გუნდი დამარცხდა.

მასპინძლებმა მეტოქეს გადამწყვეტი დარტყმა მესამე მეოთხედში მიაყენეს - **შეინ ბეტიემ** და მაკგრეიდიმ სამიანებით, სკოლამ ეფექტური ჩატენვით და **რაფერ ალსტონმა** ასევე სლემ-დანქით 10:2 გაქცევა გააკეთეს და "ჰიუსტონი" წინ 15 ქულით გაიჭრა.

■ ■ ■

უსუსტეს აღმოსავლეთში კი, საპლეიოფო შანსებს თითქმის ყველა გუნდი ინარჩუნებს. დიახ, უდროოდ გარდაცვლილი და უშაკოდ დარჩენილი "მაიამიც" კი იქნებ გაძვრეს რვა საუკეთესოში, ხოლო "ჩიკაგოს" კი ფლორიდელებთან შედარებით მთლად "აწყობილი" აქვს საქმე- გუნდს უკვე 20 გამარჯვება აქვს და მიუხედავად 29 წაგებისა, ილინოისელები მერვე ადგილზე მყოფ "ნიუ ჯერსის" წამოეწივნენ და მხოლოდ პირადი ურთიერთშეხვედრებით თუ ჩამორჩებიან **ჯეისონ კიდსა** და კომპანიას.

მორიგ შეხვედრაში "ბულზი" კალიფორნიაში ჩაბრძანდა და "გოლდენ სტეიტს" მოუგო, რაც რამდენიმე წამყვანი მოთამაშის (**კირკ ჰაინრიხი, ლუოლ დენგი, ბენ გორდონი**) გარეშე გააკეთა.

"ჩიკაგო" საოცარი გუნდია, რომელიც აგერ, უკვე მესამე სეზონია ცდილობს რომელიმე ძლიერი მაღალი მექულის დამატებას, მაგრამ თავისუფალი აგენტები რატომღაც უარობენ **მაიკლ ჯორდანის** ყოფილ გუნდში გადასვლას და "ბულზიც" საკუთარი მედრაფტეებით გადის ფონს.

ზესწრაფ კალათბურთში სტუმრებს მშველელად ახალგაზრდა, ნიჭიერი, მაგრამ "გამოსათლელი" **ტაირუს ტომასი** მოევლინა, რომელმაც ბოლო მეოთხედში შეცვალა **ბენ უოლასი** და ამ დროში გუნდს 13 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი შესძინა. სტუმრებმა ბოლო 10 შეტევიდან, ცხრაჯერ ზუსტი სროლით დაამწუხრეს მოწინააღმდეგე.

იბობოქრა **კრის დიუჰონმა**, ვისაც ჰაინრიხის ტრავმამ სასტარტო ხუთეულში ადგილი გამოუთავისუფლა და ამ ახალგაზრდამაც 34 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა და დაცვაშიც მაგრად დაუდგა **ბაირონ დევისს**, რომელმაც 24 სროლიდან მხოლოდ რვაჯერ ივარგა. სხვათა შორის, აქამდე, დიუჰონს წლევანდელ მატჩებში მაქსიმუმ 13 ქულა დაუგროვებია, "გოლდენ სტეიტთან" კი მან ეს ნიშნული უკვე პირველ მეოთხედში გადალახა.

კარგი იყო თავის დროზე დრაფტზე პირველ ნომრად არჩეული და მერე კი იმედგაცრუებად ქცეული **ჯო სმიტი**. ბებერმა ფორვარდმა 27 ქულა გააკეთა და დაცვაში კიდევ ერთ ვეტერანს, ლიგის დამსახურებულ მილიონერ **კრის უებერს** სისხლი გაუშრო.

დიახ, უებერი 13-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა თავის ყოფილ გუნდს, თუმცა ამ უნივერსალ კალათბურთელს უთამაშებლობა ნაღდად ეტყობოდა - კრისი ზანტად მოძრაობდა და დაცვაში ჩასვლასაც ვერ ასწრებდა, რის გამოც "გოლდენ სტეიტის" თავკაცმა, **დონ ნელსონმა** იგი მხოლოდ 12 წუთი ათამაშა და ამ მოკრძალებულ დროში კრისმა გუნდს 4 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი და ერთიც ჩაჭრა შესძინა.

*"კრისი საუკეთესო კონდიციებს დაიბრუნებს. მას "გოლდენ სტეიტისთვის" დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია და გვჯერა, რომ უებერთან კონტრაქტის გაფორმება შეცდომა არ ყოფილა"*, - ამბობს ნელსონი. "ჩიკაგოს" კი მომდევნო ორ შეხვედრაში საკმაოდ სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს, რადგან მეტოქეებად შესანიშნავ ფორმაში მყოფი "იუტა" (ზედიზედ 10 მოგება) და დასავლეთის კიდევ ერთი წინწასული გუნდი, **კრის პოლისა** და **პეჟა სტოიაკოვიჩის** "ნიუ ორლეანი" ეყოლება.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ჰიუსტონი–კლივლენდი 92:77**

23:19, 17:20, 32:20, 20:18

**ჰიუსტონი:** მინი (22 ქ. 12 მ. 4 პ), ალსტონი (17 ქ. 9 პ. 5 მ), ბეტიე (15 ქ. 8 მ. 2 დ), უელსი (13 ქ. 10 მ. 4 პ), სკოლა (10 ქ. 7 მ. 4 პ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (32 ქ. 7 მ. 6 პ. 2 ჩ. 2 დ), ჰიუზი (13 ქ. 4 მ).

**ფილადელფია–მაიამი 101:84**

30:24, 24:26, 21:22, 26:12

**ფილადელფია:** იგუოდალა (25 ქ. 8 მ. 4 პ. 3 ჩ. 3 დ), ა. მილერი (21 ქ. 7 პ. 6 მ), უ. გრინი (14 ქ), ტ. იანგი (11 ქ. 7 მ), რ. ევანსი (8 ქ. 14 მ. 3 ჩ).

**მაიამი:** უეიდი (19 ქ. 9 პ. 6 მ), დ. რაიტი (16 ქ. 10 მ. 3 პ), ბლაუნტი (15 ქ. 10 მ), ჯეისონ უილიამსი (14 ქ. 5 პ. 3 მ).

**გ. სტეიტი–ჩიკაგო 114:108**

23:32, 24:18, 30:27, 31:37

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (25 ქ. 4 პ. 2 ჩ), ბ. დევისი (22 ქ. 8 პ. 4 ჩ), ე. ჰარინგტონი (20 ქ. 4 მ. 3 ჩ), ს. ჯექსონი (19 ქ. 6 მ. 4 პ), ბიედრინსი (12 ქ. 18 მ).

**ჩიკაგო:** დიუჰონი (34 ქ. 9 პ. 3 ჩ), ჯო სმიტი (27 ქ. 8 მ), ტაირუს ტომასი (15 ქ. 5 მ. 3 დ. 2 ჩ), ბ. უოლასი (10 ქ. 8 მ), სეფოლოშა (9 ქ. 7 მ. 5 პ. 2 დ).



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი–ანაჰაიმი 1:4**

0:1, 1:2, 0:1

გოლები: 0:1 შნაიდერი-7 (სატერბი-1, პაროსი-4), 1:1 კალაჰანი-2 (მ. ეივერი-12, ბეტსი-4), 1:2 პერი-28 (შნაიდერი-19), 1:3 კუნიტცი-16 (პრონგერი-27, სელიანე-2), 1:4 ბერტუცი-12 (გეტცლაფი-40).

**ატლანტა–ვანკუვერი 1:2**

0:0, 1:0, 0:2

გოლები: 1:0 დიუპიუი-10 (ენსტრიომი-29, ვიაჩ. კოზლოვი-15), 1:1 დ. სედინი-24 (ოლუნდი-9, სალო-8), 1:2 ბაროუზი-6 (პიატი-16, კესლერი-11).

**მინესოტა–დალასი 0:1**

0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 ჰაგმანი-20 (ლ. ერიქსონი-11, ი. იოკინენი-11).

**მონრეალი–ტორონტო 2:4**

1:1, 0:2, 1:1

გოლები: 1:0 პლეკანეცი-20 (კოვალიოვი-29, ა. მარკოვი-28), 1:1 ნიუბერი-1 (დ. მური-5, დევერო-9), 1:2 ტაკერი-7 (სტაიანი-12, ჯ. ბლეიკი-24), 1:3 ველვუდი-6 (ტ. კაბერლე-25, სუნდინი-35), 2:3 კოვალიოვი-25 (პლეკანეცი-32, გორჯესი-4), 2:4 ტაკერი-8.

**ოტავა–ფლორიდა 5:4**

0:1, 4:3. 1:0

გოლები: 0:1 ბუტი-15, 1:1 ჰიტლი-26 (სპეცა-43, რედენი-25), 2:1 შუბერტი-5, 3:1 კორვო-6 (სპეცა-44, ჰიტლი-32), 3:2 მაკლინი-7 (ო. იოკინენი-28, ზედნიკი-10), 3:3 ჰორტონი-15 (გ. კემპბელი-6, კრეპსი-11), 4:3 ფილიპსკი-5 (ფიშერი-23, ვოლჩენკოვი-9), 4:4 ო. იოკინენი-27 (ბოუმისტერი-12, ზედნიკი-11), 5:4 ჰიტლი-27 (რედენი-26, სპეცა-45).

**პიტსბურგი–აილენდერსი 4:3**

1:1, 2:1, 1:1

გოლები: 0:1 კომრი-15 (ჰილბერტი-6, გერინი-11), 1:1 რაიან უიტნი-10 (სიკორა-19, მალკინი-36), 2:1 მელოუნი-16 (რაიან უიტნი-16, მალკინი-37), 2:2 ფედოტენკო-9 (ჰანტერი-20, მეიერი-4), 3:2 რაიან უიტნი-11 (მალკინი-38, გონჩარი-37), 3:3 კომრი-16 (პარკი-13, მეიერი-5), 4:3 ლეტანგი-3.

**დეტროიტი–ლოს ანჯელესი 3:5**

2:1, 1:0, 0:4

გოლები: 1:0 კოპეცკი-4 (სამუელსონი-20, რაფალსკი-36), 1:1 კალდერი-7 (ჰანძუში-11), 2:1 ზეტერბერგი-32 (ლიდსტრიომი-46), 3:1 ზეტერბერგი-33 (კლირი-20, სამუელსონი-21), 3:2 ო'სალივანი-13 (ბ. სტიუარტი-11, პრისინგი-12), 3:3 ფროლოვი-14 (კალდერი-10, დ. არმსტრონგი-18), 3:4 ბ. სტიუარტი-5 (დ. არმსტრონგი-19, ფროლოვი-29), 3:5 კოპიტარი-22 (ბ. სტიუარტი-12, ფროლოვი-30).

**ნეშვილი–ტამპა ბეი 1:2 (ო)**

1:0, 0:1, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 რადულოვი-21 (არნოტი-30, დიუმონი-28), 1:1 ბ. რიჩარდსი-17 (სენტ ლუისი-46, ლეკავალიე-40), 1:2 პროსპალი-23 (ბ. რიჩარდსი-30, დ. ბოილი-5).

**კალგარი–ჩიკაგო 1:3**

0:0, 1:2, 0:1

გოლები: 0:1 კეიტი-7 (ლანგი-21, კეინი-34), 1:1 ა. ოკუანი-8 (ტანგეი-32, იელე-6), 1:2 შარპი-25 (ჰავლატი-15, ბარკერი-4), 1:3 ი. პერო-7 (შარპი-15, ლანგი-22).

**ფინიქსი–კოლამბუსი 1:2**

0:2, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ჩიმერა-10 (მალორტა-12, ჰეიდა-10), 0:2 ჟერდიოვი-22 (ჰეინსი-20, ნოვოტნი-12), 1:2 იორკი-6 (რაინპრეხტი-22, პ. მიულერი-19).

ქვემძიმე წონა

# ჰოპკინსი კალძაგეს ემუქრება

საშუალო წონის ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი **ბერნარდ ჰოპკინსი** იქადნის, რომ კარიერაში პირველ მარცხს აწნევს ზესაშუალო წონის აბსოლუტურ ჩემპიონს, უელსელ **ჯო კალძაგეს**. თავის მხრივ, კალძაგე იქადნის, რომ ჰოპკინსს კარიერის დასრულებას აიძულებს.

მოკლედ, 19 აპრილს გაირკვევა, ვინ უფრო მაგარია ამ ორი მოკრივედან, რომლებსაც ერთად თავიანთი ტიტულები 41-ჯერ აქვთ დაცული. ოღონდ, ისიც სათქმელია, რომ ამჯერად არცერთ მათგანს რინგზე საჩემპიონო ქამარი არ გამოაქვს და ისინი ქვემძიმე წონაში იბრძოლებენ.

კალძაგეს თავისი ტიტულები 21-ჯერ აქვს დაცული, მაგრამ ჰოპკინსის მსგავსი ძლიერი მეტოქე იშვიათად ჰყოლია (თუ საერთოდ ჰყავდა), ჰოპკინსს კი ისეთ მაგარ ბიჭებთან უბრძოლია, როგორებიც არიან **ოსკარ დე ლა ჰოია, როი ჯონს უმცროსი, ფელიქს ტრინიდადი, ანტონიო ტარვერი, ვინკი რაიტი** და **ჯერმეინ ტეილორი** (ამ უკანასკნელთან ზედიზედ ორი წაგებით, საშუალო წონაში თავის ტიტულებს საბოლოოდ გამოემშვიდობა).

*"მიხარია, რომ ჯოს ჩემთან შეხვედრამდე ერთი წაგებაც არ აქვს. კარგია, რომ მას რაღაც ინტერესი გააჩნია - უნდა, რომ პროფესიული რინგი წაუგებელმა დატოვოს. მისთვის ეს ტიტულზე მეტია. თანაც, ის მიიჩნევს, რომ ქვემძიმე წონა მისი შესაფერისია და რომ ამ წონაში რამდენიმე წლის წინათაც შეეძლო გადმოსვლა. მეც თითქმის იგივე გზა მაქვს გამოვლილი - საშუალო წონაში 13 წელი დაუმარცხებელი ვიყავი. მაგრამ ეს პერიოდი დასრულდა. ვიმედოვნებ, რომ მის წაუგებელ სერიას წერტილს მე დავუსვამ"*, - ლონდონში ჩატარებულ საპრომოუტერო პრესკონფერენციაზე განაცხადა ჰოპკინსმა, ვისაც საშუალო წონაში თავისი ტიტულები ოცჯერ აქვს დაცული.

შეგახსენებთ, რომ ქვემძიმე წონაში თავისი პირველი ბრძოლა ჰოპკინსმა ორი წლის წინათ, ტარვერთან გამართა (ნოკაუტით მოიგო), რის შემდეგაც სპორტიდან წასვლა ინება. თუმცა, უქმად დიდხანს ვერ გაძლო, დაბრუნდა და რაიტი ქულებით დაამარცხა.

ამერიკელი 43 წლისაა მისი ოპონენტი კი მასზე შვიდი წლით უმცროსია. უელსელი ფიქრობს, რომ ასაკში სხვაობის ხარჯზე, ის უფრო სწრაფად იმოქმედებს. *"სისწრაფე და ასი დარტყმა რაუნდში - ეს ჩემი ორი არგუმენტია, რომელსაც ჰოპკინსი ვერ გაუძლებს. წინასწარ შემიძლია ვთქვა, თუ როგორ მოხდება ყველაფერი. მთავარი კი ისაა, რომ ბრძოლას მე მოვიგებ და ამის შემდეგ, ბერნარდს კარიერის დასრულება მოუწევს. პროფესიულ რინგზე 17 სეზონი გავატარე და ჯერ ერთი ბრძოლაც არ წამიგია. მას კი ჩემნაირი მეტოქე არასოდეს ჰყოლია. რა თქმა უნდა, ისიც მრავალი წლის განმავლობაში იყო ჩემპიონი და მის მიმართ პატივისცემით ვარ განწყობილი, მაგრამ რინგზე ამაზე ფიქრით თავის შეწუხებას არ ვაპირებ. ამერიკელი მაყურებლის წინაშე პირველად ვიბრძოლებ და ცოტას ვნერვიულობ კიდეც, მაგრამ ეს უკეთესიცაა. ესე იგი, თავს ყურადღების მოდუნების საშუალებას არ მივცემ და ბრძოლის შემდეგ კრივის ლეგენდა გავხდები"*, - იქადნის კალძაგე.

ჰოპკინსი და კალძაგე პირველად ერთმანეთს პირისპირ **რიკი ჰატონისა** და **ფლოიდ მეივეზერ უმცროსის** ბრძოლის დროს შეხვდნენ მაშინ ამერიკელმა თქვა, რომ თეთრ მეტოქესთან არასოდეს წაუგია და არც წააგებს. ამაზე აყოლა კალძაგემ არ ისურვა. მაგრამ ლონდონში შეხვედრისას, ამერიკელმა ეს თემა კვლავ წამოსწია და მომავალი მეტოქისგან კომენტარს დაელოდა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, გაცხარდა, თუმცა თავისივე ნათქვამის კომენტირებას თავადვე აარიდა თავი:

*"გაიგეთ, რაც ვთქვი? მე ის ვთქვი, რაც ვთქვი. ხალხმა იცის, რაც ვთქვი. ვინც ეს დაწერა, მათ კარგად იციან, რაც ვთქვი. და რა მნიშვნელობა აქვს, ვნანობ ამას თუ არა. ვთქვი და მორჩა. მოვიდეს ჯო და რინგზე დამიმტკიცოს, რომ ასე არ იქნება. ეს პრობლემების მოგვარების საუკეთესო საშუალებაა. და ეს კანონიერია. ადრე ბევრი მიცემია, რისთვისაც ციხე მომისაჯეს. ახლა კი ამას ისე ვიზამ, ფულს, დიდ ფულს გადამიხდიან. სწორედ ამიტომ მიყვარს ამერიკა"*.

უელსელი კი იმაზე ოცნებობს, რომ ლეგენდარული **როკი მარჩიანოს** მიღწევა გაიმეოროს და პროფესიული რინგიდან წაუგებელი წავიდეს. ამასთან დასძენს, რომ ჰოპკინსის შემდეგ, კიდევ ორ ბრძოლას გამართავს და თავის ხელთათმანებს ლურსმანზე დაკიდებს. *"მარტო ფულისთვის კი არა, სახელისთვისაც ვიბრძვი. მინდა, მარჩიანოს მსგავსად, კრივიდან დაუმარცხებელი წავიდე"*, - ამბობს კალძაგე.

ბრძოლას ლას ვეგასის "ტომას ენდ მეკ სენტერის" არენა უმასპინძლებს, რომლის ტრიბუნაც 18 000 მაყურებელს იტევს. ბრძოლის სატელევიზიო ჩვენების უფლება ტელეკომპანია HBO-ს აქვს ნაყიდი, რაც შეეხება დასასწრები ბილეთების ფასებს, ისინი 250-დან 1 500 დოლარამდე მერყეობს.



ჰოპკინსი (მარცხნივ) და კალძაგე ლონდონურ პრომო-პრესკონფერენციაზე

## TV სპორტი

### 9 თებერვალი. შაბათი

**I არხი**

01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა.
15:10 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ნიუკასლი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-რედინგი (LIVE).
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:20 პირდაპირი ხაზი.
22:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ჰერენვეენი (LIVE).
00:25 სასტვენი.
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:30 სპორტდოსიე.
08:59 გოლფი. მიმოხილვა.
09:29 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:13 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
12:00 ფეხბურთი. Barca TV.
12:08 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. ფინალი. მანჩესტერი-ბაიერნი.
14:00 სპორტის სამყარო.
14:28 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ანაჰაიმი.
16:14 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ნიუკასლი (LIVE).
18:44 სპორტული ისტორია.
21:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ვიგანი.
22:50 ფეხბურთი. Barca TV.
22:58 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-რეჯინა (LIVE).
01:26 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. ნოროესტე-ბრაგანტინო.
03:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ანაჰაიმი.
05:00 სპორტდოსიე.
05:30 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. ფინალი. მანჩესტერი-ბაიერნი.
07:20 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
07:48 სპორტკლუბი.

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
12:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/2 ფინალი. მიმოხილვა.
12:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 10 კმ. ოტეპია. ესტონეთი (LIVE).
13:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ლიბერეცი. ჩეხეთი.
14:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სპრინტი. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
15:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. სესტრიერე. იტალია.
16:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
16:45 მულტისპორტი.
17:15 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სპრინტი. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
18:45 მულტისპორტი.
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
20:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/2 ფინალი. განა .
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. მე-3 ადგილისთვის. განა-კოტ დ'ივუარი. განა (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი.
00:00 სნუკერი. მალტის თასი. 1/2 ფინალი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. მე-3 ადგილისთვის. განა-კოტ დ'ივუარი. განა.
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
03:00 ბრძოლა წესების გარეშე.
04:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 სნოუბორდი. შვეიცარია.
14:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი.
15:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 15 კმ. ოტეპია. ესტონეთი (LIVE).
16:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
16:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/2 ფინალი. განა.
18:00 სნუკერი. მალტის თასი. 1/2 ფინალი (LIVE).
21:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).
22:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)-ლეონი (ესპანეთი).
23:30 ახალი ამბები.
00:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. მე-3 ადგილისთვის. განა-კოტ დ'ივუარი. განა.
01:45 ახალი ამბები.
02:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. რუსეთი.
03:00 ახალი ამბები.

### 10 თებერვალი. კვირა

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:15 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ნიუკასლი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
15:15 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
23:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-მარსელი (LIVE).
01:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:05 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ინდეპენდიენტე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ნიუკასლი.
09:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა.
11:42 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:13 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ვალენსია. ესპანეთი.
14:32 სპორტკლუბი.
14:51 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
15:21 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. ნოროესტე-ბრაგანტინო.
17:06 ფეხბურთი. Barca TV.
17:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი (LIVE).
19:48 სპორტული ისტორია.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალიადოლიდი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ატლეტიკო.
01:56 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. სან პაულუ-სანტოსი.
03:42 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ვალენსია. ესპანეთი.
05:59 ბილა. ჩემპიონთა თამაშები.
06:57 ფეხბურთი. Barca TV.
07:04 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
07:31 გოლფი. მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ლიბერეცი. ჩეხეთი.
13:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სპრინტი. ოსტერსუნდი. შვედეთი.
14:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერ-გიგანტი. სესტრიერე. იტალია (LIVE).
15:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
15:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები, ქალები. სპრინტი. ოტეპია. ესტონეთი (LIVE).
17:00 მულტისპორტი.
17:15 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
19:45 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. კარლსრუე. გერმანია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ფინალი. ეგვიპტე-კამერუნი. განა (LIVE).
23:00 სნუკერი. მალტის თასი. ფინალი (LIVE).
01:00 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ფინალი. ეგვიპტე-კამერუნი. განა.
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
02:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ფინალი. ეგვიპტე-კამერუნი. განა.
04:00 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. მე-3 ადგილისთვის. განა-კოტ დ'ივუარი. განა.
14:30 სნოუბორდი. შვეიცარია.
15:30 ახალი ამბები.
15:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. I ტური.
17:00 სნუკერი. მალტის თასი. ფინალი (LIVE).
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბლენსბურგი (გერმანია)-ჰამბურგი (გერმანია).
21:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. გუდმე (დანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
22:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ტორონტო.
23:30 ახალი ამბები.
00:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ფინალი. ეგვიპტე-კამერუნი. განა.
01:45 ახალი ამბები.
02:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-არისი.
03:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| რუსენბორგი-შახტარი | 0:2 |
| **ინგლისი. ჩემპიონატი** | |
| ჩარლტონი-კრ. პალასი | 2:0 |
| **გერმანია** | |
| აინტრახტი-არმინია | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-ოფენბახი | 3:1 |
| კაიზერი-მიუნხენი | 1:2 |
| სტ. პაული-კარლ ცაისი | 2:2 |
| **საფრანგეთი. II დივიზიონი** | |
| ამიენი-გინგამი | 3:1 |
| ანჟერი-ბულონი | 2:1 |
| ბასტია-ტრუა | 1:0 |
| შატორუ-დიჟონი | 2:0 |
| კლერმონი-ლიბურნი | 1:1 |
| მონპელიე-ნიორი | 1:0 |
| რეიმსი-გენიონი | 2:1 |
| სედანი-აიაჩო | 2:1 |
| ჰავრი-გრენობლი | 0:0 |
| **ჰოლანდია** | |
| ტვენტე-ჰერაკლესი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ტოპ ოსი | 1:2 |
| დენ ჰააგი-ტელსტარი | 3:0 |
| დენ ბოში-ვაალვეიკი | 1:1 |
| დორდრეხტი-ეინდჰოვენი II | 1:1 |
| ვოლენდამი-მაასტრიხტი | 1:0 |
| ფორტუნა-ემენი | 3:3 |
| ჰელმონდი-აპელდოორნი | 5:0 |
| როსენდალი-ჰაარლემი | 1:1 |
| ვეენდამი-ომნივორლდი | 1:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ესპანეთის თასი** | |
| ხუვენტუდი-ვალენსია | 84:59 |
| რეალი-ჟირონა | 73:60 |
| **იტალიის თასი** | |
| ბიელა-დ'ორლანდო | 75:72 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| რუანი-შოლე | 63:85 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-ტრშინეცი | 4:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **WTA. პარიზი** | |
| ჰანტუხოვა-შავაი | 6:7, 1:6 |
| დემენტიევა-კ. ბონდარენკო | 7:5, 6:2 |
| ბარტოლი-რაზანო | 6:1, 7:6 |
| მორესმო-ჩაკვეტაძე | 6:3, 3:6, 3:6 |
| **WTA. პატაია** | |
| მანასიევა-ბიჩკოვა | 6:4, 6:7, 3:6 |
| კრეიბასი-კლეპაჩი | 6:4, 6:4 |
| ა. რადვანსკა-ტანასუგარნი | 6:2, 6:3 |
| ამანმურადოვა-ჩანი | 6:1, 7:6 |
| **დევისის თასი** | |
| **რუსეთი-სერბეთი** | **2:0** |
| იუჟნი-ჯოკოვიჩი | 2:6, 6:3, 6:2, 6:4 |
| დავიდენკო-ტროიცკი | 6:1, 1:6, 6:3, 1:6, 6:2 |
| **ჩეხეთი-ბელგია** | **2:0** |
| ბერდიხი-ვლიგენი | 6:3, 6:1, 6:1 |
| შტეპანეკი-დარსისი | 6:4, 7:6, 7:6 |
| **არგენტინა-ბრიტანეთი** | **2:0** |
| ნალბანდიანი-ბეიკერი | 6:1, 6:3, 6:3 |
| კალერი-ბოგდანოვიჩი | 6:3, 6:1, 6:1 |
| **ისრაელი-შვედეთი** | **1:1** |
| სელა-ბიორკმანი | 7:6, 6:3, 6:1 |
| ლევი-ტ. იოჰანსონი | 1:6, 1:6, 3:6 |
| **გერმანია-კორეა** | **1:1** |
| კოლშრაიბერი-ანი | 6:2, 6:2, 6:2 |
| მაიერი-ლი | 5:7, 3:6, 6:1, 7:6, 3:6 |
| **რუმინეთი-საფრანგეთი** | **0:2** |
| ჰანესკუ-გასკე | 6:7, 4:6, 5:7 |
| პაველი-ცონგა | 7:6, 4:6, 4:6, 4:6 |
| **ავსტრია-აშშ** | **0:2** |
| მელცერი-როდიკი | 4:6, 6:4, 3:6, 7:6, 3:6 |
| კუბეკი-ბლეიკი | 7:5, 5:7, 2:6, 2:6 |

ATP-ის ტური

# ჯადოსნური ერთიანი

## ილიე ნასტასედან როჯერ ფედერერამდე

თითქოს ერთიანი ჩვეულებრივი ციფრია, მაგრამ ჩოგბურთში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის ნებისმირი პროფესიონალის ოცნებაა. მამაკაც ჩოგბურთელთა ისტორიაში, მხოლოდ 23 მოთამაშეს შეუძლია თავის თავს "პირველი" უწოდოს. მოდით, ერთად გავიხსენოთ ისინი, ვინც დიდი ხნით ან სულაც ერთი კვირით მოახერხეს საჩოგბურთო ოლიმპზე ასვლა.

რეალურად, მსოფლიო რეიტინგში ლიდერობა აბსტრაქტული ცნებაა და ამისთვის არც დამატებით ქულებს განიჭებს ვინმე და არც ზედმეტი ჰონორარებით განებივრებენ. ეს ტიტულიც არ არის, რაღაც უფრო მეტია. *"სულერთია, მეორე იქნები, მესამე თუ მეოთხე,* - თქვა ერთხელ **ბორის ბეკერმა**. *- მთავარია იყო პირველი!"* ლეგენდარული გერმანელის მწვრთნელმა **ბობ ბრეტმა**, რომელმაც 1991 წელს, ბეკერი რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, დაამატა: *"მნიშვნელობა არ აქვს, ერთი წელი, ერთი თვე თუ ერთი კვირა იყავი მწვერვალზე. მთავარია, რომ ეს მიღწევა მთელი ცხოვრების განმავლობაში გაგყვება".*

### პირველი პირველებს შორის

თანამედროვე კომპიუტერული რეტინგის დაბადების დღედ 1973 წლის 23 აგვისტო ითვლება. სწორედ მაშინ, ფლორიდის შტატის ქალაქ პონტე-ვერდაში მდებარე შტაბ-ბინაში დაყენებულმა კომპიუტერმა, IBM-მა გამოიტანა ციფრებისა და გვარების გრძელი სვეტი. ეს იყო ჩოგბურთის ისტორიაში პირველი კომპიუტერული რეიტინგი. მაშინ მას სათავეში ექსცენტრული რუმინელი **ილიე ნასტასე** ჩაუდგა, რომელმაც კარიერაში 53 ტურნირი მოიგო, მათ შორის "დიდი სლემის" ორი ჩემპიონატი. ნასტასემ რეიტინგის მწვერვალზე 40 კვირა დაჰყო.

მომდევნო წლებში, მსგავსი პატივი კიდევ 22 ჩოგბურთელს ერგო - **კონორსსა** და **ბორგს**, **მაკინროისა** და **ლენდლს**, **სამპრასსა** და **აგასის**, ბეკერს, **კურიესა** და სხვებს. განსხვავებული ხასიათის მოთამაშეები, რომლებმაც საკუთარი ეპოქა შექმნეს ჩოგბურთის ისტორიაში. პირველებს შორის იყვნენ აგრეთვე **რიოსი, მუსტერი, კუერტენი, მოია, ჰიუიტი, ფერერო**, მაგრამ ისინი პირველ პოზიციაზე დიდხანს ვერ დამკვიდრდნენ. მაგალითად ის, რომ ავსტრალიელი **პატრიკ რაფტერი** მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, მის სამშობლოშიც კი ბევრს აღარ ახსოვს - ქვინსლენდელი ჩოგბურთელი რეიტინგის ლიდერი ხომ სულ ერთი კვირით იყო.

### ფედერერი ყველაზე დიადია?

ვინ არის ყველაზე ბუმბერაზი ბუმბერაზთა შორის? ბევრი იმ აზრამდე მიდის, რომ ეს გახლავთ კლასიფიკაციის დღევანდელი ლიდერი **როჯერ ფედერერი**. როგორც ჩანს, მისი ბატონობა კიდევ დიდი ხანი გაგრძელდება. ყოველ შემთხვევაში, შვეიცარიელი ჯერ არ აპირებს კარიერის დასრულებას. თავად ფედერერიც აღიარებს: *"მიყვარს სხვებზე წინ ყოფნა. როცა რეიტინგში ლიდერობ, მოსაწყენად აღარასოდეს გცალია. ყველა, ვინც უკანაა, შენს დამარცხებას ცდილობს".*



როჯერ ფედერერი

ფედერერი კლასიფიკაციას 2004 წლის 2 თებერვლიდან უდგას სათავეში - რეიტინგული გაგებით, ეს მთელი ეპოქაა. უახლოეს მდევართან დისტანცია მართალია ოდნავ შემცირდა, მაგრამ შვეიცარიელს მაინც დიდი უპირატესობა აქვს და ეს პრესასა და თავად მოთამაშეებსაც აღელვებთ. *"მართალია, ქულათა ისეთი მარაგი მაქვს, რაც ადრე ლიდერობისთვის საკმარისი იქნებოდა, მაგრამ დღემდე მეორე ჩოგნად ვრჩები",* - წუწუნებს **რაფაელ ნადალი**.

### რატომ კლავდა ივანიშევიჩი სამპრასს

კომპიუტერული რეიტინგის ისტორიაში რამდენიმე გამოკვეთილი ლიდერი არსებობდა. ხანდახან ისე ჩანდა, რომ ისინი მუდმივად იქნებოდნენ პირველ პოზიციაზე. "ჯიმბო" კონორსი კლასიფიკაციის სათავეში 268 კვირა იმყოფებოდა. ივან ლენდლმა ამერიკელის შედეგი ორი კვირით გააუმჯობესა, მაგრამ ყველას აჯობა პიტ სამპრასმა, რომელიც ყველაზე დიდხანს დომინირებდა მსოფლიო ჩოგბურთში. ბევრ ბრწყინვალე ჩოგბურთელს შეუძლია დაიწუწუნოს თავისი ბედის გამო, რადგან მათ სამპრასის ეპოქაში მოუწიათ თამაში. *"მე მეორე ვიყავი, მაგრამ სამპრასის გასასწრებად ისლა მრჩებოდა, ტყვია დამეხალა მისთვის",* - ჩვეული შავი იუმორით ამბობდა **გორან ივანიშევიჩი**.

სამპრასის სარეიტინგო რეკორდები დღემდე არ არის მოხსნილი: 268 კვირა ედგა ის სათავეში კლასიფიკაციას. ზედიზედ 6 წელი (1993-98) ამერიკელი პირველი ჩოგანის რანგში ასრულებდა სეზონს. ბუნებრივია, მსგავსი ბატონობა დამთრგუნველად მოქმედებდა კონკურენტებზე, ხშირად ისინი ნერვებს ველარ თოკავდნენ. *"არ შეიძლება მსოფლიოში პირველი ნომერი იყო ბიჭი, რომელიც თოკიდან თოკზე მოხტუნავე მაიმუნს ჰგავს".* როგორ ფიქრობთ, ვის ეკუთვნის ეს ფრაზა? თქვენ წარმოიდგინეთ, სამპრასის მეგობარს და მის ყველაზე სახიფათო კონკურენტს, ანდრე აგასის. თუმცა მოგვიანებით, ანდრემ ბოდიში მოუხადა პიტს ამ ნერვიული ჩავარდნის გამო.

სხვათა შორის, ერთხელ ვერც სამპრასმა მოზომა. ის ძალიან გაალიზიანა ავსტრიელი ტომას მუსტერის მედიდურმა ტონმა, რომელმაც კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე გასვლის შემდეგ, საკუთარ თავს ყველაზე დიადი და უძლეველი პროფესიონალი უწოდა. *"ის მხოლოდ თიხნარზეა საუკეთესო. მხოლოდ თიხნარზე! საერთოდ მას გაუმართლა, რომ პირველი გახდა",* - ამბობდა პიტი. *"მე გამარჯვებული ვარ, გამარჯვებულებს კი, არ ასამართლებენ",* - იგერიებდა მუსტერი.

### რეიტინგის ხუმრობები

ისეთი პერიოდებიც არსებობდა, როცა სარეიტინგო კიბეზე სივიწროვე იყო. და მაშინ, 52-კვირიანი კლასიფიკაციის საკმაოდ რთული სისტემა (რომლის მიხედვით, ითვალისწინებენ ბოლო 52 კვირის, ანუ კალენდარული წლის განმავლობაში ჩოგბურთელის მიერ მოპოვებულ და დაცულ ქულებს) პარადოქსულ შედეგებს აფიქსირებდა. ასე მაგალითად, 1999 წელს, როცა სამპრასმა უიმბლდონის ფინალში აგასი დაამარცხა, ახალ რეიტინგში პირველ ადგილზე ანდრე აღმოჩნდა, თანაც მან უკან თავად უიმბლდონის ახალ ჩემპიონს დაახევინა. 1991 წელს, ასევე უიმბლდონის ფინალში, გერმანელმა **მიხაელ შტიხმა** თანამემამულე ბორის ბეკერს მოუგო. ამ უკანასკნელს შეეძლო თავი იმით ენუგეშებინა, რომ წაგების მიუხედავად, რეიტინგის პირველ საფეხურზე დაბრუნდა.

დაუხვეწავი რეიტინგი, რომელიც ხშირად ასეთ კურიოზებს გვთავაზობს, მოთამაშეებისა და ჟურნალისტების გაკვირვებას იწვევს. მაგრამ უფრო ხშირად გულშემატკივრები რჩებიან პირდაღებულნი - მხოლოდ ცოტა მათგანი თუ ერკვევა რთულ რეიტინგულ მათემატიკაში. სანამ ATP-ის ხელმძღვანელობა მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს მოიფიქრებდა, სამპრასის "ეპოქა" "დროებითმა" ლიდერებმა ჩაანაცვლეს. სამი წლის განმავლობაში, კლასიფიკაციის პირველ ადგილს გემო გაუსინჯეს - ჩილელმა მარსელო რიოსმა, ესპანელმა კარლოს მოიამ, რუსებმა **ევგენი კაფელნიკოვმა** და **მარატ საფინმა**, ავსტრალიელებმა პატრიკ რაფტერმა და ლეიტონ ჰიუიტმა... ლიდერების ხშირმა ცვლამ და ჩოგბურთიდან დიდი ჩემპიონების - სამპრასის, ლენდლის, აგასის, ბეკერის, კურიეს წასვლამ, ერთგვარად დააკნინა პირველი ჩოგანის აბსტრაქტული ტიტულის მნიშვნელობა.

### ჩაფლავებული რევოლუცია

რევოლუციური იდეა, რომელსაც გულშემატკივრებისთვის მაქსიმალურად გასაგები უნდა გაეხდა სარეიტინგო მექანიზმი, ATP-ის ჩინოვნიკებს 90-იანი წლების ბოლოს მოუვიდათ თავში. ასე დაიბადა "ATP-ის საჩემპიონო რბოლა". სეზონის სტარტიდან რეიტინგის ათვლა ნულიდან იწყებოდა. ვინც სეზონის ბოლოს ყველაზე მეტ ქულას დააგროვებდა, ჩემპიონად ის გამოცხადდებოდა. მაგრამ ATP-ში არც ძველი სისტემა დაივიწყეს - მას დღემდე იყენებენ ტურნირებზე (მათ შორის, "დიდი სლემის" ჩემპიონატებზე) განთესილების გამოსავლენად.

სამწუხაროდ, სარეიტინგო რეფორმამ უკუეფექტი გამოიწვია - გაჩნდა ორი საკვალიფიკაციო რეიტინგი და ველარავინ ხვდებოდა, ვინ იყო სინამდვილეში პირველი ჩოგანი. წლის დასაწყისში, რბოლის ლიდერები ყოველ კვირას იცვლებოდნენ და გულშემატკივრებს ამდენი ცვლილებისგან თავბრუ ეხვეოდათ. ამიტომაც, ისინი სულ უფრო ხშირად იხედებოდნენ ძველ კლასიფიკაციაში, რომელმაც წლებს გაუძლო და საიმედოობა შეინარჩუნა.

### ლიდერობა ძნელია

ბოლო წლებში როჯერ ფედერერის დომინირების გამო, პირველი ჩოგანის საკითხი თავისთავად მოიხსნა დღის წესრიგიდან. და თუ შვეიცარიელს დავუჯერებთ, მას სრულებითაც არ უქმნის დისკომფორტს მისი დღევანდელი მდგომარეობა. სამაგიეროდ, გასული წლების პირველი ნომრებიდან ზოგიერთისთვის, რეიტინგში ლიდერობა მათ ერთგვარ უხერხულობის მომენტს უქმნიდა. *"ვერ წარმომიდგენია, რომ შეიძლება ხუთი წელი პირველი ვიყო",* - აღიარა ბეკერმა მას შემდეგ, რაც 1991 წელს, ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ პირველად ჩაუდგა სათავეში რეიტინგს. მან ამ სტატუსით მხოლოდ 12 კვირა გაძლო. ამერიკელმა ჯიმ კურიემ უფრო მეტი - 58 კვირა იბატონა, მაგრამ როგორც კი პირველი ჩოგანი გახდა, მოტივაცია დაკარგა: *"ეს ქალთან ურთიერთობას ჰგავს: დიდი ხანი დასდევ მას და ეს სიამოვნებას განიჭებს, მაგრამ როგორც კი, საწადელს მიაღწევ, სიცარიელის გრძნობა გეუფლება".*

შვედი **მატს ვილანდერისთვის**, რომელმაც 1988 წელს ოთხიდან "დიდი სლემის" სამი ჩემპიონატი მოიგო, მთავარი მიზნისკენ მიმავალი გზაა და არა თავად მიზანი. 20 კვირა ლიდერობის შემდეგ, ვილანდერმა ძალიან მალე მოულოდნელად დატოვა პროფესიული სპორტი.



ილიე ნასტასე

**ATP-ის ყველა ლიდერი**

| | |
|---|---|
| 1. ილიე ნასტასე (რუმინეთი) | 23.08.1973, 40 |
| 2. ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია) | 03.06.1974, 8 |
| 3. ჯიმი კონორსი (აშშ) | 29.07.1974, 268 |
| 4. ბიორნ ბორგი (შვედეთი) | 23.08.1977, 109 |
| 5. ჯონ მაკინროი (აშშ) | 03.03.1980, 170 |
| 6. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) | 28.02.1983, 270 |
| 7. მატს ვილანდერი (შვედეთი) | 12.09.1988, 20 |
| 8. სტეფან ედბერგი (შვედეთი) | 13.08.1990, 72 |
| 9. ბორის ბეკერი (გერმანია) | 28.01.1991, 12 |
| 10. ჯიმ კურიე (აშშ) | 10.02.1992, 58 |
| 11. პიტ სამპრასი (აშშ) | 12.04.1993, 286 |
| 12. ანდრე აგასი (აშშ) | 10.04.1995, 101 |
| 13. ტომას მუსტერი (ავსტრია) | 12.02.1996, 6 |
| 14. მარსელო რიოსი (ჩილე) | 30.03.1998, 6 |
| 15. კარლოს მოია (ესპანეთი) | 15.03.1999, 2 |
| 16. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 03.05.1999, 6 |
| 17. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 26.07.1999, 1 |
| 18. მარატ საფინი (რუსეთი) | 20.11.2000, 9 |
| 19. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 04.12.2000, 43 |
| 20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 19.11.2001, 80 |
| 21. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 08.09.2003, 8 |
| 22. ენდი როდიკი (აშშ) | 03.11.2003, 13 |
| 23. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 02.02.2004, ? |

*შენიშვნა:* მოცემულია თარიღი, როცა ჩოგბურთელი პირველად გახდა რეიტინგის პირველი ნომერი და ჯამში კვირების რაოდენობა, რაც მან კლასიფიკაციის უმაღლეს საფეხურზე გაატარა.

საქართველოს სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა